აზერბაიჯანის რესპუბლიკის

შეიარაღებული ძალების  სამხედრო აკადემია



გოგიტიძე მ., ჰუსეინოვაი., ალიევი ნ.

# აზერბაიჯან-საქართველოს  თანამშრომლობის ჩამოყალიბება სამხედრო სფეროში

(ისტორიული ნარკვევი)

**ბაქო– 2019**

სამხედრო კონსულტანტი:
ფირიევი გ.კ.,

გენერალ-ლეიტენანტი, დოცენტი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიის უფროსი

**რედაქტორი:**

**გოგოლაძე მ.ი.,**

რეზერვის ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე

**რეცენზენტები:**

**ახმედოვი ს.ა.**

მეცნიერებათა დოქტორი ფილოსოფიაში,
აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული ისტორიის მუზეუმის განყოფილების გამგე

**ამირბეგოვა ნ.შ**

ფილოსოფიის დოქტორი ისტორიაში, დოცენტი
აზერბაიჯანის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ა.ა.ბაქიხანოვის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

**ბეჟიტაშვილი გ.ა.**

ისტორიის აკადემიური დოქტორი, რუსთაველის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე

გოგიტიძე მ.,ჰუსეინოვა ი., ალიევი ნ.,აზერბაიჯან-საქართველოს თანამშრომლობის ჩამოყალიბება სამხედრო სფეროში (ისტორიული ნარკვევი), ბაქო, 2019.263 გვ.

წიგნი,,აზერბაიჯან-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება სამხედრო სფეროში 1918-1921 წწ. (ისტორიული ნარკვევი),, ეძღვნება აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სამხედრო-დიპლომატიური ურთიერთობების დღიდან დამყარების 100 წლისთავს.

მასში გაშუქებულია ძირითადი სამხედრო-ისტორიული მოვლენები, რომლებიც ხდებოდა აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე მათ მიერ 1918 წლის მაისში მოპოვებული დამოუკიდებლობის პერიოდში.

ძირითადი ადგილი დათმობილი აქვს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის საკითხების ჩასახვის ისტორიას, სისტემატიზირებულია მონაცემები და პირველადაა საერთო სახით წარმოჩენილი 55 აზერბაიჯანელის ბიოგრაფია - აზერბაიჯანის სამ ეროვნულ გმირზე, საბჭოთა კავშირის ერთ გმირზე, წმინდა გიორგის ორდენის და ოქროს იარაღის კავალრებზე, დიდების ორდენის ორ სრულ კავალერზე და სამხედრო მოღვაწეებზე, რომელთა ცხოვრება დაკავშირებული იყო საქართველოსთან.

ასევე წარმოდგენილია სიები ქართველი ეროვნების 6 გენერალზე, 64 უფროს და უმცროს ოფიცერზე და რამოდენიმე სამოქალაქო პირზე, რომლებიც 1918-1920 წლებში მსახურობდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯარში.

წიგნი მომზადებულია აზერბაიჯანელ და ქართველ სამხედრო კოლეგებთან ურთიერთობაში და წარმოადგენს გაერთიანებულ ისტორიულ მასალას მოცეულ თემატიკაში.

წიგნი განკუთვნილია მკვლევარებზე, რომლებიც იკვლევენ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების საკითხებს, ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკის უმაღლესი ჰუმანიტარული დაწესებულებების და სპეციალური დანიშნულების სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებისათვის, სტუდენტებისა და კურსანტებისათვის.

წიგნი

ეძღვნება აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სამხედრო-დიპლომატიური ურთიერთობების დღიდან დამყარების

100 წლისთავს

## წინასიტყვაობა

*«ჩვენი ყველაზე სანუკვარი სურვილია მივაღწიოთ მშვიდობას აზერბაიჯანში, მთელს კავკასიის რეგიონში და მთელს მსოფლიოში. არის რა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, აზერბაიჯანს სურს ურთიერთგაგება, კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოებსა და ხალხებთან, განსაკუთრებით კი თავიანთ მეზობლებთან.»*

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის მიმართვიდან მსოფლიოს ყველა აზერბაიჯანელისადმი**
**1997 წლის 25 დეკემბერი**

აზერბაიჯანისა და საქართველოს თანამშრომლობის ისტორია თავისი ფესვებით ღრმა საუკუნეებში მიდის.

სამხედრო-ისტორიული მოვლენები, რომლებიც ხდებოდა კავკასიის რეგიონში გასული ორიათასწლეულის მანძილზე, აღსანიშნავია თავიანთი სიმდიდრით და დრამატიზმით.

ეს იყო დაკავშირებული იმასთან, რომ კავკასიის რეგიონი იყო მოსახერხებელი სატრანსპორტო გზა, რომელიც აკავშირებდა არა მხოლოდ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ინდოეთსა დ აჩინეთს ევროპასთან.

მისი მეშვეობით მიმდინარეობდა ფართო ვაჭრობა, რომელიც იზიდავდა უამრავ მოგზაურს, მეზღვაურს, ვაჭარსა და დამპყრობელს.

ანტიკური პერიოდიდან დაწყებული და ვიდრე დღემდე, აზერბაიჯანი და საქართველო იყვნენ და კვლავაც რჩებიან მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის მწვავე გეოპოლიტიკური ასპარეზობის ცენტრში.

მღელვარე პოლიტიკური და სამხედრო მოვლენები, რომელიც მოხდა აზერბაიჯანსსა და საქართველოში, როგორც საუკუნის წინ, ასევე შედარებით არც ისე შორეულ წარსულშიც,

ღრმა გავლენა იქონია არა მხოლოდ ორი ერის ხალხზე, არამედ ჰქონდა შორს მიმავალი შედეგები მთელი რეგიონის ხალხისთვის.

მრავალრიცხოვან და მრავალწლიან სისხლიან ომებში უცხოელ დამპყრობლებთან აზერბაიჯანელმა და ქართველმა ხალხმა მოახერხა არა მხოლოდ გადარჩენა, არამედ შეენარჩუნებინა და განავეთარებინა თავიანთი ნაციონალური თვითმყოფადობა და კულტურა, მაგრამ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში თამაშობდნენ დომინირებულ როლს სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებში, რომლებიც ვითარდებოდა რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

ეს ხდებოდა შესაძლებელი მხოლოდ ჩვენი ქვეყნების შვილების მხედრული სულისკვეთების, მამაცობისა და გამბედაობის წყალობით, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან აქვთ თანდაყოლილი ამ ქვეყნების შვილებს.





შემთხვევითი არა რის, რომ მე-XX საუკუნეში, 1918-1921 წლებში აზერბაიჯანის და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში, აგრეთვე ამ სახელმწიფოთა თანამედროვე ისტორიაში, არსებობდა და არსებობს სამხედრო თანამშრომლობის სამომავლო განვითარების გეგმები, ორივე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მშენებლობის გზების ძიება.

როგორც ცნობილია, ყოველი ერი იტევს თავის თავში უამრავ მოვლენას, დიდსა თუ პატარას, რომლებიც ქმნიან თაობათა ერთიან ისტორიულ უწყვეტ კავშირს.

მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებს, რომელთა ქარტეხილებში ერი უძლებს სასტიკ გამოცდას გამძლეობაზე და ერთიანობაზე, იცავს თავისუფლებას არსებობაზე და აყვავებაზე.

ეს ურთულესი ისტორიული გზა გაიარეს აზერბაიჯანელმა და ქართველმა ხალხმა, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით და მოსახლეობით წარმოადგენდნენ სიძლიერეს.

ორი ხალხის უმდიდრესი სამხედრო-ისტორიული თანამშრომლობის ყოვლისმომცველი და სიღრმისეული შესწავლა, რომელიც ითვლის რამოდენიმე ათეულ საუკუნეს, განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა აზერბაიჯანს და საქართველოს, რომლებიც დგანან ნამდვილი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე, ორივეს უწევს აწარმოოს აგრესიული მეზობლების მიერ თავს დახვეული მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლა თავიანთი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისათვის.

აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის ძმური მეგობრობის ისტორიის დრამატული და ამავე დროს, ღირსშესანიშნავი ფურცლების მთელი სისრულით აღდგენა, 1918 წელს, დამოუკიდებლობის პერიოდში, ბაქოსა და ტფილისთან (თბილისთან) სამხედრო სფეროში დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, ფაქტებისა და მოვლენებისადმი ნამდვილი ისტორიული მიდგომის, დიპლომატიური ხერხებისა და მოქნილობის გამოყენებით- ეს არის იმ მთავარი საკითხების წრე, რომლებსაც აყენებდნენ ამ წიგნის ავტორები მოცემული თემის გაშუქებისას.

იმ პერიოდში ორივე ქვეყანა თვლიდა თავიანთ თავს 1918-1921 წლებში სამხრეთ კავკასიაში განვითარებული გეოპოლიტიკური მეტოქეობის მძევლად.

ზუსტად ამ პერიოდში, როცა შეიქმნა რეალური საფრთხე ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, წყდებოდა ორი ხალხის ბედი, ნათლად ჩანს, გაგება იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მათთვის ურთიერთპოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა.

მკვლევართა და მკითხველთა ფართო წრეებისათვის განკუთვნილ წიგნში წარმოდგენილია აზერბაიჯან-საქართველოს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ისტორიული ასპექტები და პირველადაა შეჯამებული სახით ნაჩვენებია - აზერბაიჯანის სამი ეროვნული გმირების, საბჭოთა კავშირის ერთი გმირის, დიდების ორდენის ერთი კავალერის, წმინდა გიორგის ორდენის და ოქროს იარაღის კავალერის და საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელი სამხედრო მოღვაწეების 55 ბიოგრაფია. ასევე წარმოდგენილია სიები ქართველი ეროვნების 6 გენერალზე, 64 უფროს და უმცროს ოფიცერზე და რამოდენიმე სამოქალაქო პირზე, რომლებიც 1918-1920 წლებში მსახურობდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯარში.

აზერბაიჯანელები, რომლებიც დაიბადნენ საქართველოში, ყოველთვის თვლიდნენ და თვლიან ამ ქვეყანას თავიანთ სამშობლოდ, ღირსეულად წარმოაჩინეს თავიანთი თავი სამხედრო სამსახურში, როგორც წინა საუკუნეებში, ასევე შემდგომ პერიოდშიც.

მე-XIX საუკუნის ბოლოს დ ამე-XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ცხოვრობდა 100 ათას აზერბაიჯანელზე ცოტა მეტი. ამ პერიოდში ტფილისშიც ხოვრობდა დ ამუშაობდა აზერბაიჯანელი ინტელიგენციის საკმაოდ აქტიური ფენა, რომელმაც შემდგომში ჰპოვა თავისი ნათელი გამოხატულება აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის (ადრ) შექმნის ისტორიაში.

მის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცნობილმა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიამ ქ. გორში, რომელიც დაამთავრეს იმ პერიოდის აზერბაიჯანელმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა.

როგორც აღნიშნვდა აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი, ჰეიდარ ალიევი:

"ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ათასი ფაქტი, და მაგალითი რომელიც ადასტურებს, მთელი ისტორიის  მანძილზე ჩვენს მეზობლად მცხოვრები ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის ძმური მეგობრობის შესახებ,,

ტფილისში დაიბადნენ ნარიმან ნარიმანოვი, ტაგი-ზადე ჰაჯიბეგოვი (ნიაზი), რაშიდ ბეიბუთოვი და აზერბაიჯანის მრავალი სხვა ცნობილი პოლიტიკური, კულტურული და საზოგადო მოღვაწე, ამ ქალაქთანაა დაკავშირებული აზერბაიჯანელ ისეთ მოაზროვნეთა ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი ნაწილი, როგორებიცაა აბას ყული აღა ბაქიხანოვი, მირზა ფატალი აჰუნდოვი და სხვ.

ტფილისში არსებობს აზერბაიჯანში უაღრესად პატივსაცემი მირზა ფატალი აჰუნდოვის, პოეტ მირზა შაფი ვაზეჰის, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრის ფატალი ხან ჰოისკის და სხვათა საფლავები.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ტფილისში 1918 წლის 28 მაისს გამოცხადდა მუსლიმურ აღმოსავლეთში პირველი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. მაშინვე შედგა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზეც იქნა მიღებული აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

პირველ თვეებში, სწორედ ტფილისში ფუნქციონირებდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

აზერბაიჯანელი ინტელიგენციის წარმომადგენელთა უმრავლესობა ხშირად იმყოფებოდა საქართველოში, ხოლო ზოგიერთებისათვის ეს ქვეყანა მშობლიურიც იყო.

მას შემდეგ, რაც 1918 წელს გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დამყარდა საკმაოდ თბილი ურთიერთობები ამ ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამხედრო ელიტებში. მისი შედეგი გახდა 1919 წლის  16 ივნისს აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მოწერილი

შეთანხმება თანამშრომლობა ზესამხედრო სფეროში, ხოლო უკვე 27 ივნისს აზერბაიჯანის პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება.

იმ დროს აზერბაიჯანის არმიის რიგებში მსახურობდა 6 გენერალი საქართველოდან - გენერალ-მაიორი ზაქარია ვასილის-ძე ამაშუყელი, გენერალ-მაიორი ვასილ დიმიტრის-ძე კარგალეთელი, გენერალ-მაიორი აბელ გაბრიელის-ძე მაყაევი, გენერალ-ლეიტენატი გენადი ნიკოლოზის-ძე თარხანოვი, გენერალ-მაიორი ალექსანდრე მიხეილის-ძე ფურცელაძე, გენერალ-მაიორი კონსტანტინე დავითის-ძე ჩხეიძე, და 60-ზე მეტი უმცროსი და უფროსი ქართველი ოფიცერი და აგრეთვე რამოდენიმე სამოქალაქო პირი.

გასაბჭოების შემდეგ1920 წლის აპრილში, ისინი ვინც არ იყო რეპრსირებული ბოლშევიკების მიერ, გაიქცნენ სპარსეთსა* და თურქეთში, ზოგიერთი კი შევიდა აზერბაიჯანის წითელი არმიის სამსახურში.

საერთო ჯამში, ოფიციალური კვლევები გვიჩვენებენ, რომ, 1920 წლის ბოლშევიკურ-დაშნაკური ტერორის შედეგად განადგურდა 15 გენერალი, 27 პოლკოვნიკი და პოდპოლკოვნიკი, 46 კაპიტანი და შტაბს-კაპიტანი, პორუჩიკი დაპოდპორუჩიკი, 148 პრაპოშჩიკი და პოდპრაპორშჩიკი, აგრეთვე 226 სხვა მაღალი თანამდებობის სამხედრო მოსამსახურე და აზერბაიჯანის ეროვნული არმიის 20 ათასი ჯარისკაცი.

სამხრეთ კავკასიის ორ სახელმწიფოს ურთიერთობათა ისტორიაში გახდა მოვლენები, რომლებიც განვითარდა 1920 წლის აპრილის ბოლოსა - და მაისის დასაწყისში.

ამ დროს ქართული არმიის გენერალმა გიორგი კვინიტაძემ (1874-1970), დაამარცხა რა წითელი არმიის ნაწილები, ცდილობდა დახმარებოდა აზერბაიჯანს, რომელიც უკვე ოკუპირებული იყო ბოლშევიკების მიერ, მაგრამ, 1920 წლის 7 მაისს, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის გაფორმებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ ამ გეგმების რეალიზებას საშუალება არ მისცა.

------------------------------------------------------------

- სპარსეთი (1935 წლამდე, 1935 წლიდან -ირანი)

უფრო მეტიც, 1921 წლის თებერვალში წითელი არმია შემოიჭრა საქართველოში, სადაც გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება.

1922 წლის დეკემბერში, ორივე სახელმწიფო გახდა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკა და, კვლავ ინარჩუნებდა კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.

თანამედროვე პერიოდის კავკასია, უნიკალური კულტურულ-ეთნიკური მრავალფეროვანი რეგიონია, განიცდის თავისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და პასუხსაგებ პერიოდს. ეთნიკური კონფლიქტები კავკასიაში თანამედროვე ეტაპზე - არის ტოტალიტარული რეჟიმის მემკვიდრეობა, კავკასიის ხალხების მასობრივი დეპორტაციისა და გადასახლების პოლიტიკის შედეგი.

რუსეთის იმპერიის და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების კავკასიურმა პოლიტიკამ, რომელიც თითქმის 200 წელზე მეტი გრძელდებოდა, მკვეთრად გაართულა რეგიონის ეთნო-დემოგრაფიული ლანდშაფტი, რამაც თანამედროვე ეტაპზე გამოიწვია მრავალრიცხობრივი ეროვნებათაშორისო კონფლიქტი, აქცია რეგიონი მკაცრი კონფრონტაციის, აგრესიული სეპარატიზმის და ნაციონალიზმის არენად.

უდანაშაულო ადამიანების დაღუპვა, ეთნიკურიწმენდა, ასიათასობით მოქალაქის ლტოლვილებად ქცევამ შობლიურ მიწაზე, გახდა მძიმე შედეგი კონფლიქტებისა, რომლებსაც ჰქონდათ ადგილი კავკასიის რეგიონში.

ამჟამად კავკასია - გამოდის საერთო ევროპული და რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის გაძლიერების მნიშვნელოვან ელემენტად. დღეს, როდესაც ისტორიული არსებობის კონკრეტული, თვალსაჩინო რეალობა განსაზღვრავს სახელმწიფოთა პოლიტიკას, ურთიერთდახმარების გარანტიების სისტემის შექმნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

კავკასიაში მშვიდობის განმტკიცების ნათელი მაგალითია აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობები.

აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტების მიერ გატარებული მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვანი

ნათელი მაგალითია კავკასიის ხალხთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და განვითარებისათვის.

ამოცანაა - გადაიქცეს კავკასია მსიფლიოს მშვიდობისა და ურთიერთგაგების რეგიონად - განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თავისი უნიკალური გეოპოლიტიკური პოზიციის თვალსაზრისით, აქეთაა მომართული მსოფლიოს მრავალ დიდ სახელმწიფოთა მზერა.

ჩამოყალიბებული ახალი გლობალური წონასწორობის ძალების ცვალებადი ცენტრები, ქმნიან ეფექტურ პირობებს კავკასიის გარდაქმნისათვის ერთიან ეკონომიკურ, კულტურულ და, საბოლოოდ პოლიტიკურ სივრცეში. რეგიონში მიდის რთული, მაგრამ მაინც მშვიდობიანი ძიება გონივრული კომპრომისებისთვის, რაც უზრუნველჰყოფს კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები ხალხის გრძელვადიან მშვიდობასა და ნორმალურ ცხოვრებას.

1992/1993 წლების აფხაზეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს მასში მიიღო მონაწილეობა 1000-ზე მეტმა საქართველოში დაბადებულმა აზერბაიჯანელმა, 56 მათგანი დაეცა გმირის სიკვდილით ბრძოლის ველზე, 13-ი მათგანი დაჯილდოვდა ,,ვახტანგ გორგასლის,, სამხედრო ორდენით და სხვა საბრძოლო ჯილდოებით.

თავის დროზე აზერბაიჯანის და საქართველოს ლიდერები ჰეიდარ ალიევი (1923-2003) და ედუარდ შევარდნაძე (1928-2014) იქცნენ მშვიდობის დამყარების ინიციატორებად მთელ კავკასიაში და რეგიონში.

ამის ნათელი მაგალითი გახდა 1996 წლის 8-10 მარტს საქართველოში საერთო ნაციონალური ლიდერის, ჰეიდარ ალიევის უდიდესი მნიშვნელობის ვიზიტი.

თბილისის სამიტმა მნიშვნელოვანი ეტაპი მოხაზა მეზობელ ქვეყნებს შორის ტრადიციული კავშირების ახალი შინაარსით შევსებასა და მოდერნიზაციაში.

ვიზიტის ფარგლებში, ორმა დახვეწილმა პოლიტიკოსმა - ჰეიდარ ალიევმა და ედუარდ შევარდნაძემ, განიხილეს საკითხთა

ფართო წრე, რომლებიც განზოგადებული ფორმით კლასიკურ ფორმულაში მოექცა: ომი და მშვიდობა კავკასიაში.

არსებითად, მათ მოახერხეს ყველა აზრის ახლად აშეხედულებების გაერთიანება საერთო კავკასიის შესახებ პროცესების სისტემატიზირებაში, რეგიონში დიალოგის, თანამშრომლობისა და კეთილდღეობის გზის მოძებნაში, რომელსაც თვლიდნენ უპერსპექტიოდ გაერთიანების თვალსაზრისით.

1996 წლის 8 მარტის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა «კავკასიის რეგიონში სტაბილურობის, უსაფრთხოების და მშვიდობის», აზერბაიჯანულ-ქართულ ერთობლივ დეკლარაციას, რომელმაც ჰეიდარ ალიევის წინადადებით, მიიღო ,,თბილისის დეკლარაციის,, სახელწოდება.

ალიევ-შევარდნაძის დეკლარაციაში ხაზგასმულია, ერთგულება საერთო მიზნებისადმი, მშვიდობისა და სტაბილურობისადმი რეგიონში, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობისა და მათზე ნებისმიერი ხელყოფის დაუშვებლობა, მათ თანმიმდევრულ დაცვას და სუვერენიტეტის პრინციპების პატივისცემას რეგიონში, აღიარებს რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ყველა დავებისადმი ერთგულებას, აღიარებს, რომ აუცილებელია განვითარდეს ურთიერთსასარგებლო და სამართლიანი ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა დსთ-სთან, ევროკავშირთან, ნატო-სთან ეტაპობრივი ინტეგრაცია ღია საერთაშორისო სისტემაში და ა.შ.,

რეგიონის ყველა დაპირისპირებისა და შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ვალდებულება, დეკლარაციის თანახმად, კავკასიის საერთო სახლი უნდა აშენდეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უნივერსალური პატივისცემის, ეროვნული უმცირესობების, საფუძველზე, მიუხედავად კონფესიური და ეთნიკური წარმომავლობისა. თბილისის დეკლარაცია გახდა პირველი ნაბიჯი მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიისათვის საერთო მოძრაობაში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტია, რომელმაც

საფუძველი ჩაუყარა კავკასიის საერთო სახლის იდეის ფუნდამენტს.

კავკასიის ხალხთა შორის, მომწიფდა აზრი იმაზე, რომ რეგიონში ერთობლივად უნდა მოქმედებდეს თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ერთიანი სისტემა. სამხრეთ კავკასიის ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა, ამით შექმნეს კავკასიის რეგიონისათვის, რომელიც სავსეა კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით, მშვენიერი პრეცედენტი კეთილმეზობლური, ცივილიზებული თანამშრომლობისათვის, საკუთარი სუვერენიტეტებისადმი ადაპტაციისა და სხვათა პატივისცემისადმი.

მართლაც, ამ შეხვედრის შემდეგ ცხოვრებამ აჩვენა, რომ იდეებმა, რომლებიც წამოაყენეს ჰეიდარ ალიევმა და ედუარდ შევარდნაძემ, ჰპოვეს თავისი ასახვა პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ორ ქვეყანას შორის 1996 წლის მარტში, ხელმოწერილი ხელშეკრულებები და შეთანხმებებში, აგრეთვე საბუთები, რომლებიც ხელმოწერილია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის დროს 1997 წლის თებერვალში აზერბაიჯანში, შექმნეს კარგი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის, იქცა მნიშვნელოვან წვლილად მშვიდობიანი კავკასიის იდეების განხორციელების საქმეში.

1997 წლის თებერვალში აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, გამოდიოდა რ ამ.ე.რასულ-ზადეს სახელობის ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივის წინაშე, აღნიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის განსაკუთრებული როლი კავკასიაში მშვიდობისა და მშვიდობის დამყარების საქმეში:

«პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი იყო პირველი სახელმწიფო მეთაური, რომელმაც მხარი დაუჭირა სამშვიდობო ინიციატივას კავკასიაში. თბილისის დეკლარაციამ გამოიწვია დიდი საპასუხო რეაქცია მსოფლიოში, პატივისცემით აღიარებული და განვითარებული. მის გაგრძელებად იქცა ქ.კისლოვოდსკში

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და რუსეთი სსახელმწიფოთა და კავკასიის რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების ხელმძღვანელთა მიერ მოწერილი დეკლარაცია «კავკასიაში მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ»

დეკლარაციაში ჩაწერილია:

«კავკასია - ჩვენი საერთო სახლია. ჩვენი ვალია, გავხადოთ ის მშვიდობიანი, აყვავებული რეგიონი, რომელშიც ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ამაყობენ თავიანთი ისტორიით და იმედით უყურებენ მომავალს. დღეისათვის, კავკასიაში თანამშრომლობის და მშვიდობის გამტკიცების საკითხები არის ორი ქვეყნის პრეზიდენტების ყურადღების ცენტრში.

დიდი «აბრეშუმის გზის» აღორძინების ერთობლივმა ნაბიჯებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი- ენერგეტიკის სფეროში - ესაა ნავთობისა და გაზსადენის მშენებლობა რეგიონში, ტრანს-ანატოლიური გაზსადენის თანამედროვე პროექტის რეალიზება (TANAP) და სამხრეთის გაზის დერეფნის გახსნა (12 ივნისი 2018), როლებთაც აქვთ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ახალი ეკონომიკური, სატრანსპორტო ტრანზიტის დასავლეთი-სამხრეთის ფორმირებაში სატრანზიტო პროგრამების სექტორში და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო დერეფნის გახსნა (30 ოქტომბერი 2017), აგრეთვე სხვა საინვესტიციო პროგრამები, რომლებიც ასე ხელიხელჩაკიდებულები აფართოებენ თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ თავიანთი გონებით, სიბრძნით, მდიდარი სახელმწიფო და პოლიტიკური გამოცდილებით, აზერბაიჯანის დღევანდელი ხელმძღვანელი, თავისი მამის ღირსეულ და სწორუპოვარ გამგრძელებელს, პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და საქართველოს პრეზიდენტს, გამოცდილ დიპლომატსა და პოლიტიკოსს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს შესწევთ უნარი, გამოიყვანონ კავკასიის ხალხები მჭიდრო თანამშრომლობის და დიალოგის გზაზე, შექმნან

აღმშენებლობის და მშვიდობის ატმოსფერო ამ ასეთ არასტაბილურ რეგიონში,,

ამდენად, სახელმწიფოებრივი ისტორიის ერთობლიობის და შესწავლის აქტუალობა, მათ შორის 1918-1921 წლებში აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სამხედრო-დიპლომატიურ ურთიერთობებში და მოცემული თემატიკის არასაკმარისმა დაუმუშავებლობამ ისტორიოგრაფიაში, თავის მხრივ, განაპირობა ჩვენს ქართველ კოლეგასთან, საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარესთან, ისტორიის აკადემიურ დოქტორთან, პროფესორ, პოლკოვნიკ მამუკა გოგიტიძესთან მოცემული ერთობლივი ნაშრომის მიზანმიმართული შერჩევა. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საერთო-მოცულობით ისტორიულ მასალას აღნიშნულ თემატიკაში.

**ჰუსეინოვა ირადა**
ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
«კავკასიის ხალხთა ისტორიის»კათედრის გამგე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სოკრატეს პრემიის ლაურეატი,
(დამსახურებისათვის მეცნიერების, ინოვაციების და
განათლების სფეროში)
თურქული სამყაროს კვლევის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი)

# აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობების ისტორიული ასპექტები სამხედრო სფეროში (1918-1921)

1918-1921 წლებში ბაქო და ტფილისი (თბილისი) იყვნენ დამოუკიდებელი აზერბაიჯანისა და საქართველოს დედაქალაქები, რომლებიც რუსეთსა და თურქეთს შორის იყვნენ მოქცეულნი, ამ რეგიონალურ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ასპარეზობდნენ სამხრეთ კავკასიაში ბატონობისათვის, ჩვენმა ქვეყნებმა გაიარეს ჩამოყალიბების ურთულესი წლები, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები 1918 წელს და, აგრეთვე რესპუბლიკებისათვის მძიმე დროში, ამყარებდნენ თანამშრომლობას სამხედრო მშენებლობასა და უსაფრთხოების სფეროში.

როგორც ისტორიკოსები, რომლებიც იკვლევენ აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობებს, აღნიშნავენ, რომ 1991 წლამდე, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა ისტორიის მათი დამოუკიდებლობის პერიოდს სწავლობდნენ ძირითადად დასავლეთში.

ეროვნული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის და ეთნიკური იდენტობის საკითხები ამ რეგიონში მე-XIX - მე-XX საუკუნეებში იხილებოდა ფ.ქაზემ-ზადეს, ტ.სვეტოხოვსკის, ა.ალტშტადტის, რ.ფაიფსის, რ.სუნის, ვ.ციურერისა და ე.-მ-აუჰის ნამუშევრებში.

1918-1920 წლების პერიოდის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კავკასიისა და კავკასიის ინტელიგენციის ემიგრანტებმა. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ა.ნიკურამის,ჰილალ მუნშის, მირ-იაგუბის, ნოე ჟორდანიას და მამედ ემინ რასულ-ზადეს ნაშრომები: მათი ავტორები იყვნენ ისტორიის ცოცხალი მოწმეები რადგან თავად უშუალოდ მონაწილეობდნენ რეგიონის პოლიტიკურ პროცესებში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს სამხრეთ კავკასიაში, აზერბაიჯანელი და ქართველი ისტორიკოსები იხილავდნენ 1918-1920 წლების დამოუკიდებლობის პერიოდს ოფიციალური კომუნისტური იდეოლოგიის თვალსაზრისით.

მხოლოდ 1988-1989 წლებში გამოჩნდა პირველი სამეცნიერო სტატიები დამოუკიდებელი რესპუბლიკების მოკლე არსებობის ანალიზის მცდელობებით რომელიმე იდეოლოგიური კონტექსტის გარეშე.

1990 წელს, აზერბაიჯანელმა ისტორიკოსმა ნასიბ ნასიბ-ზადემ ერთ-ერთმა პირველმა გამოაქვეყნა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის (ადრ) ისტორია.

1993 წელს გამოვიდა მისი კოლეგის კამილა ჰასანლის (ჰასანოვას), ნაშრომი რომელიც ეძღვნება აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას.

1918-1921 წლებში აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში, სამხედრო მშენებლობისა და თანამშრომლობის პრობლემებს ეძღვნება აზერბაიჯანელ ისტორიკოსების ზაურ ჰასიმოვის (2007 წ.) და პოლკოვნიკ ათამალი შაჰბაზოვის (2018წ.) სამეცნერო პუბლიკაციები.

მრავალი ქართველი ისტორიკოსი - ვ.გურული, ა. მენთეშაშვილი, აწ განსვენებული ლ.ურუშაძე, მ.ბახტაძე, ო.ჯანელიძე და სხვები - სწავლობენ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ეთნიკური პრობლემების პოლიტიკას საქართველოში მე-XX საუკუნის დასაწყისში , ქართულ-გერმანულ კავშირებს და ა.შ.

2001 წელს, თურქი მეცნიერის სერფილ სურმელის რედაქტორობით, იქნა გამოცემული ძირეული კვლევა, რომელიც ეძღვნება 1918-1920 წლების ქართულ-თურქულ ურთიერთობებს.

მეფის რუსეთის ბატონობის დროს, მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში აზერბაიჯანი და საქართველო, ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები, განიცდიდნენ ეროვნული ფორმირებისა და თვითდამკვიდრების მღელვარე პროცესებს.

ინტელიგენციის უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი სამხრეთ კავკასიაში - იყო ალექსანდრე III დროს ეროვნული სასწავლო დაწესებულებების ლიკვიდაცია და ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ჩახშობა. მაშინვე მთელი

რეგიონი იქცა ბუნებრივი რესურსებისა და ენერგომატარებელთა წყაროდ.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის დასავლეთ ნაწილიდან გადასახლდა ათობით ათასი ადამიანი. აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებს იყენებდნენ როგორც რეჟიმის პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისა და რუსეთის ევროპული ნაწილიდან გადახვეწა-გადასახლების ადგილად.

და მაინც, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, ქართველ და აზერბაიჯანელ ინტელიგენციაში ჩამოყალიბდა კავკასიური ინტელიგენცია, როგორც დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფი. მისი ასეთი წარმომადგენლები, როგორც ი.ჯავახიშვილი და ი.ჭავჭავაძე ან მ.აჰუნდზადე (რუსულენოვან ლიტერატურაში ცნობილია, როგორც აჰუნდოვი) აზერბაიჯანში, გახდნენ განათლების ეროვნული და კულტურული თვითდამკვიდრების გმირები. ისინი არა მხოლოდ აკრიტიკებდნენ იმდროინდელ გაბატონებულ სოციალურ ტენდენციებბს, არამედ მხარს უჭერდნენ საზოგადოებრივ ინიციატივებს ეროვნული ხალხური ხელოვნების აღორძინებაში და განათლების განვითარებაში.

მე-XX საუკუნის დასაწყისისთვის რუსეთში დამდგარი შედარებითი ლიბერალიზაციის წყალობით, ბაქოსა და ტფილისში (განსაკუთრებით) ჩამოყალიბდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ადგილობრივი კულტურა. გარდა ამისა, იზრდებოდა სკოლების რაოდენობა, სულ უფრო მეტ კავკასიელს მიეცათ საშუალება ესწავლათ სანქტ-პეტერბურგის, ოდესისა და ვარშავის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

ბაქოში ნავთობის ბუმი და ტფილისის განვითარება ხელს უწყობდა რეგიონის ,,ახალ გახსნილობას,, დასავლეთთან მიმართებაში.

მასშტაბური გარდაქმნების პერიოდში, რუსეთის იმპერიის ევროპულ ნაწილში, 1905 წლის მოვლენების შემდეგ, ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი იზიარებდა სოციალისტურ განწყობებს, რომლებიც მოიცვა მაშინ ევროპის ქვეყნები. მისი ასეთი წარმომადგენლები, როგორც ნ.ჟორდანია,

ე.გეგეჭკორი, ა. ჩხენკელი, რუსეთში სოციალურ-დემოკრატიული იდეების განვითარებას აკავშირებდნენ იმედებს შედარებით ლიბერალიზაციაზე.

აზერბაიჯანში, უამრავმა ნაციონალ-დემოკრატმა, რომლებიც შემოიკრიბნენ პარტია ,,მუსავატის,, გარშემო, მიიღეს არჩევნები რუსეთის სათათბიროში, როგორც საშუალება, არა მარტო პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობისა, არამედ გამოეწვია იმპერიის ხელისუფალთ მეტი ყურადღების მიქცევა კავკასიის მუსლიმთა კულტურული განვითარებისათვის.

კავკასიაში პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს ამგვარი ოპტიმიზმისთვის ცოტა მიზეზი არ ჰქონდათ.

რუსეთის სახელმწიფო დასუსტდა, დიდწილად პირველი მსოფლიო ომის მოვლენების შედეგად, ხოლო 1917-1918 წლებში კარგავდა კონტროლს თავის პერიფერიაზე და კოლონიებზე. ქვეყანაში გაჩაღდა უღრმესი პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც გადაიზარდა სამოქალაქო ომშიბ ოლშევიკებსა და თეთრ ძალებს შორის.

რუსეთის სისუსტე და ცვლილებები გეოპოლიტიკურ მდგომარეებაში, ისეთ რეგიონალურ ზესახელმწიფოებისა, როგორიცაა თურქეთი და სპარსეთი, ასევე ბევრ ევროპულ სახელმწიფოში, უპირველეს ყოვლისა გერმანიისა და დიდი ბრიტანეთისა, აიძულეს კავკასიას დაეწყო აზროვნება საგარეო პოლიტიკის ტერმინებით. მაგრამ საერთო რეგიონული იდენტობა კავკასიაში არ შეიქმნა, რაც გახდა დესტაბილიზაციის ფაქტორი, რომელიც არ აძლევდა ხალხს რეგიონში ერთობლივად და ერთნაირად რეაგირება მოეხდინა პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობდა მასში და მის გარშემო.

რუსეთის ბოლშევიზაცია 1917 წელს, პირველი მსოფლიო ომის გერმანულ-თურქული ალიანსის დამარცხება და სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური თვითგამორკვევის პროცესები სერიოზული გამოწვევა გახდა აზერბაიჯანელი და ქართველი ინტელიგენციის მიმართ. სინამდვილეში, კავკასიის ხალხი იბრძოდა ეროვნული ავტონომიისა და კულტურული

უფლებებისთვის, მაგრამ მხოლოდ 1918 წელს გამოაცხადა საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

1918 წლის აპრილში რუსეთთან საუკუნოვანი საერთო თანაცხოვრების შემდეგ, რეგიონის ხალხი გამოეყო მას და შექმნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც მოწოდებული იყო ემართა აზერბაიჯანელების, ქართველებისა და სომხების ფედერაციული გაერთიანება. მაგრამ ერთი თვის შემდეგ, მაისის ბოლოს, ამ ხალხთა შორის იმძლავრა განსხვავებებმა საგარეო პოლიტიკის მიდგომებში, პრიორიტეტებსა და საგარეო პოლიტიკურ სიმპათიებში, რომლებმაც აიძულეს ფედერაცია დაშლისაკენ.

გეოპოლიტიკური ფაქტორების აღწერისას, რომლებმაც ზეგავლენა იქონია იმ პერიოდის ამ ხალხთა ბედზე, აუცილებელია ხაზგასმით ავღნიშნოთ, რომ დაწყებულ 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დროს, კავკასიას ბოლო ადგილი არ ეკავა მოწინააღმდეგე სამხედრო-პოლიტიკური ჯგუფების - "ანტანტას,,-ა და ,,სამთა კავშირი,,-ს გეგმებში.

რუსეთის საპასუხოდ, "კონსტანტინოპოლზე მართლმადიდებლობის დროშის აღმართვის სურვილით" ოსმალეთის იმპერია მიისწრაფვოდა ხელში ჩაეგდო კავკასია და ყირიმი, ოცნებობდა გაერთიანებინა ყველა მუსლიმური ქვეყანა, მათ შორის თურქულენოვან- მოსახლეობიანი" ვოლგისა და კამას მდელოებით". გერმანიას უკვე ჰქონდა თავისი შეხედულებები კავკასიაზე, მის ბუნებრივ რესურსებზე.

წიგნში "კავკასია მსოფლიო ომის დროს," რომელიც გამოქვეყნდა 1916 წელს ვაიმარში, აღნიშნული იყო, რომ "ჩვენმა პოლიტიკოსებმა უნდა იფიქრონ იმაზე, რომ რუსეთის დამარცხების შემდეგ, მოხდეს ქრისტიანული საქართველოს ორგანიზება, სამხრეთ-კავკასიაში ბუფერული სახელმწიფოს სახით", რომელიც იქნებოდა"ნეიტრალური კავკასიის მუსლიმურ ქვეყანასთან, რუსეთის და თურქეთის საზღვრების სიახლოვეში,, ამასთან ერთად, გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ "თურქეთი გერმანიის დახმარებით შეძლებდა ძალით გამოეგლიჯა რუსების კლანჭებიდან კავკასია,,

მთლიანობაში კავკასია თამაშობდა მნიშვნელოვან როლს გერმანელების მიერ პროექტირებულ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაღდად-ჰამადან-თეირანის რკინიგზაში.

ამიერკავკასიის სამხედრო მოქმედებათა თეატრი, რომელიც გადაჭიმული იყო ჩრდილოეთიდან დიდი კავკასიონის ქედიდან თურქეთის და სპარსეთის საზღვრებამდე, აღმოსავლეთით კასპიის, და დასავლეთით შავ ზღვასთან, რომელიც მოიცავდა ბაქოს, ელისავეთპოლის, ტფილისის, ქუთაისის, ერევნი სგუბერნიების, აგრეთვე ბათუმისა და ყარსის ოლქების და ზაქათალას ოლქის ტერიტორიებს.

სამხედრო მოქმედებების თეატრის საერთო ფართობი დაახლოებით უდრიდა 190 ათას კვადრატულ კილომეტრს. თუმცაღა, კავკასიის ფრონტი პირველ მსოფლიო ომის დროს თამაშობდა მაინც მეორეხარისხოვან როლს, რადგან ომის დამთავრება წყდებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ფრონტებზე.

ამასთან ერთად, თურქეთის მცდელობამ ომის საწყის პერიოდში კავკასიის მიმართულებით ინიციატივა ხელში ჩაეგდო - განიცადა წარუმატებლობა.

1914 წლის ბოლოს - 1915 წლის დასაწყისში, რუსულმა კავკასიურმა არმიამ წარმატებით განახორციელა სარიყამიშის ოპერაცია. გარდა ამისა, 1915 წლის იანვრის ბოლოს რუსმა ჯარმა დაიკავა თურქების მიერ დაკავებული თავრიზი და მალევე განდევნა ისინი სამხრეთ აზერბაიჯანიდანაც. იმავე წელს რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა, კავალერიის გენერლის გენერალ ნ.ნ.ბარატოვის სარდლობით როგორც კი გადმოსხა თავისი ჯარები ენზელიში, დაიკავა ჰამადანი, ყუმი და მიუახლოვდა ისფაჰანს. სპარსეთის სამხრეთი კი, უფრო ადრე ბრიტანეთის ჯარმა დაიკავა.

1916 წლის გაზაფხულზე, დაიწყეს რა შეტევა მთელს კავკასიის ფრონტზე, რუსულმა ჯარებმა აიღეს ერზერუმი, შემდეგ კი ტრაპიზონი. იმავე წლის ზაფხულში, კავკასიის ფრონტმა გადაიწია თურქეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 250 კილომეტრით.

ზოგადად, კი 1916/1917 წლების კავკასიის ფრონტზე მნიშვნელოვანი ოპერაციები არ იყო.

გრანდიოზული სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმები რუსეთში, დაიწყო 1917 წლის თებერვლის რევოლუციით და მიიყვანა ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, ყოფილი გიგანტური იმპერიის ფართობებზე, რომლებმაც გამოიწვია "მსხვრევის" დასაწყისი და შორებულ რეგიონებში, მათ შორის ამიერკავკასიისაც.

უფრო მეტიც, თუ ადგილობრივმა ბოლშევიკებმა მოახერხეს ბაქოში 1917 წლის 31 ოქტომბრამდე გამოეცხადათ საბჭოთა ხელისუფლება, მაშინ ტფილისში ნოემბრის თვეში კოალიციურმა ამიერკავკასიის კომისარიატმა, ხოლო შემდგომ 1918 წლის 23 თებერვალს -ამიერკავკასიის სეიმმა, რომელიც შედგებოდა ქართველი მენშევიკების წარმომადგენლებისაგან, აზერბაიჯანულ ეროვნულ ორგანიზაციებისგან და სომეხ დაშნაკებისაგან, აიღეს კურსი მხარის განცალკევებაზე ,,წითელი,, რუსეთისაგან.

ჩრდილოეთ კავკასიაში ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა თავისებური ,,კაზაკთა ფრონდა,, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა ფართომასშტაბიან ,,თეთრ,, მოძრაობას. ეს ყველაფერი საკმაოდ აქტიურად იქნა მხარდაჭერილი, ძირითადად, ,,ანტანტისა,, და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური სახსრებით. და ყველა ეს მოვლენები ხდებოდა რუსული არმიის მიერ კავკასიის ფრონტის ნაწილების მასობრივი გაყვანის ფონზე, სადაც საბჭოთა რუსეთის მიერ თურქეთთან იქნა დადებული ზავი.

რაც შეეხება ,,თეთრი,, მოძრაობის ლიდერთა პოზიციას, რომლებიც მოცემულ რეგიონთან მიმართებაში გამოდიოდნენ ,, ერთიანი და განუყოფელი რუსეთის,, აღდგენის იდეით, ისინი მთლიანობაში ემთხვევოდა ბოლშევიკური რევოლუციის ბელადების პოლიტიკას, რომლებიც ერთგულნი იყვნენ ,,მსოფლიო რევოლუციის,, ლოზუნგებისადმი -ნებისმიერ ფასად შეენარჩუნებინათ ამიერკავკასია რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში.

მიმდინარე ომის პირობებში, მწვავე გეოსტრატეგიული ბრძოლა ,,ანტანტასა,, და ,,სამთა კავშირს,, შორის და ორივე დაჯგუფებასთან მტრულად განწყობილი, ახალი სამხედრო - პოლიტიკური ფაქტორის - საბჭოთა რუსეთის გამოჩენამ, ბრძოლა მთელს კავკასია - კასპიის რეგიონზე თავისი კონტროლის დამყარებისკენ, იძენდა პრიორიტეტულ ხასიათს შუა აღმოსავლეთშიც.

ამ გეოსტრატეგიული მიზნის მისაღწევი გასაღები იყო - ბაქო- კავკასიის უმსხვილესი სამრეწველო ცენტრი, რომელიც ომამდე იძლეოდა დაახლოებით 80% რუსეთის და 15% მსოფლიოს ნავთობს. კავკასიის ამ უდიდესი სამრეწველო-საფინანსო ცენტრის და პორტის ხელში ჩაგდება, ფართო პერსპექტივებს ხსნიდა კასპიისპირეთში და კასპიის ზღვის აკვატორიაში კონტროლის სრული დამყარებისათვის.

უკვე 1918 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. ტფილისში დაფუძნებულმა კოალიციურმა მთავრობამ უარი თქვა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ცნობაზე და ცდილობდა დამოუკიდებლად ეწარმოებინა მოლაპარაკებები ტრაპიზონში, ხოლო აპრილ-მაისში ბათომში, თუმცა საკმაოდ წარუმატებლად, თურქეთთანაც. კავკასიის ფრონტიდან რუსეთის არმიის ნაწილების გაყვანის შემდეგ, და 1918 წლის 12 მარტს თურქული 36-ე დივიზიის მიერ ერზერუმის დაკავებით, თურქეთის ჯარებს გზა გაეხსნათ ამიერკავკასიის შუაგულისკენ.

მარტის ბოლოს თურქეთის ჯარები 1914 წლის ყოფილ სახელმწიფო საზღვარს მიუახლოვდა. 14 აპრილს, თურქეთის არმიამ დაიკავა ბათომი, ხოლო აპრილ-მაისის განმავლობაში - ყარსი, არდაგანი, ალექსანდროპოლი და აგრძელებდა მოძრაობას ჩრდილოეთით, სოხუმისაკენ.

იმავდროულად, 1918 წელს 14 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიმართა გერმანიას ოფიციალური თხოვნით, რომ მისმა ჯარებმა, რომლებმაც ოკუპაცია გაუკეთეს უკრაინის ნაწილს, ყირიმს და როსტოვს, აგრძელებდნენ რა თავის მოძრაობას

ჩრდილოკავკასიისაკენ და, მიუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს, უზრუნველჰყოთ მისი დაცვა გარეშე საფრთხისაგან.

უკვე 25 მაისს ფოთში შემოვიდა 3 ათასი გერმანელი ჯარისკაცი, ხოლო 30 მაისს ტფილისში ჩამოვიდა გერმანიის დიპლომატიური მისია. მალევე საქართველოს ყველა რკინიგზა და წყლის ტრანსპორტი, და ასევე ჭიათურის მანგანუმის საბადოები, აღმოჩნდა გერმანელების კონტროლის ქვეშ.

საქართველოში ჯარების შეყვანა, გენერალ ერიჰ ლიუდენდორფის (1865-1937) მოწმობით აძლევდა გერმანიას "საშუალებას, თურქეთისგან დამოუკიდებლად მოხვედრილიყო კავკასიის ნედლეულთან და მოეპოვა გავლენა გზის ექსპლოატაციაზე, ტფილისის გავლით. ამ რკინიგზას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ჩრდილოეთ სპარსეთში ომის წარმოებისას, და მისი ექსპლუატაცია გერმანიის კონტროლის ქვეშ იქნებოდა უფრო წარმატებული, ვიდრე თურქეთის ხელშეწყობით. საბოლოოდ, ჩვენ უნდა გვეცადა გაძლიერება ქართული ჯარებით რომლებიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ინგლისის წინააღმდეგ ".

სიტუაციის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ გერმანია, თავის მხრივ, ეჭვის თვალით უყურებდა თურქეთის გეგმებს დაეკავა ბაქო.

ბაქოს დაპყრობა შედიოდა გერმანიის სამხედრო სარდლობის სტრატეგიულ გეგმებშიც, რადგან საწვავის მარაგის ამოწურვა იძულებულს ხდიდა გერმანელებს, გენშტაბის უფროსის ე.ლიუდენდორფის აღიარებით, რომ:

,,რაც შეიძლება მალე დაეწყოთ "ბათომ-ტფილის-ბაქოს რკინიგზის ექსპლოატაციის ორგანიზება....მაგრამ ძირითად საკითხად ამ ყველაფერში, მაინც, იყო ბაქოს ხელში ჩაგდება,,

1918 წლის მაისის ბოლოდან საქართველოში დამკვიდრებული გერმანელები გეგმავდნენ ბაქოს დაკავების შემდეგ, კასპიის მხარეში გადაესროლათ თავიანთი ძალები, ინგლისელების მიერ კონტროლირებად ჩრდილოეთ-სპარსეთის პორტ ენზელიში, ერაყში თანმიმდევრული შეჭრით და ბასრის რაიონში გასვლით სპარსეთის ყურეში, რომელიც იქნებოდა

უმლიერეს დარტყმად ინგლისელების პოზიციებზე შუა აღმოსავლეთში.

თუმცა, საკუთარი ძალების ნაკლებობამ კავკასიაში და მდგომარეობის გამწვავებამ დასავლეთის ფრონტზე არ მისცა გერმანელებს საშუალება გაეტარებინათ თავიანთი გეგმები ცხოვრებაში. მათ ვერა და ვერ მოასწრეს ამ პერიოდში დაესრულებინათ ამიერკავკასიაში თავისი ჯარების გადასროლა ბაქოზე შეტევაში მონაწილეობისათვის (ორი დივიზიისა და რამდენიმე პოლკის).

"ნურიმ დაიკავა ბაქო მანამ, სანამ ჩვენ მოვასწარით ჩვენი ჯარების გადასროლა,-წუხდა ე.ლიუდენდორფი,- და შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ბულგარეთში გვაიძულა ეს ნაწილები გაგვეგზავნა რუმინეთში."

კავკასიის ხალხთა ისტორიაში 1918 წლის მაისი გახდა ეპოქალურ წყალგამტარედ: რუსეთის საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, მათ საბოლოოდ მიაღწიეს ეროვნულ დამოოუკიდებლობას, მას შემდეგ, რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკამ, და ერთი დღის შემდეგ - 28 მაისს - აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ თავიანთი დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ამიერკავკასიაში შეიქმნა თვისობრივად ახალი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია.

სრული ქაოსის ატმოსფეროში, რომელიც სუფევდა რეგიონში 1918 წლის გაზაფხულზე, ამ ქვეყნების შიდა პოლიტიკურ რიტორიკაში ჭარბობდა სიხარული რუსეთის საუკუნო ბატონობისაგან განთავისუფლებასთან დაკავშირებით და უკეთესი მომავლის ახლად გაჩენილი მედებთან.

1918 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვებით, თავისი შესაძლებლობებით შეექმნათ მეტნაკლებად უნარიანი სახელმწიფოები, საქართველო და აზერბაიჯანი, უნდა უმადლოდენ სოციალურ პროცესებს რეგიონში, წინა ათწლეულების განმავლობაში, ამასთან ერთად ითამაშეს უდიდესი როლი ეროვნული ინტელიგენციის ფორმირებაში და რიგ სხვა ფაქტორებში.

1917-1918 წლებში (როგორც 1989-1991 წლებში) ავტონომიისათვის მამოძრავებელი ,,ძრავა,, რომელიც დაგვირგვინდა ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებით (1918 წ.) , იყო კავკასიის ინტელიგენცია.

ეს გახდა ერთგვარი რეზერვუარი, საიდანაც ივსებოდა პოლიტიკური ელიტის კადრები. აი რატომაა მნიშვნელოვანი გაანალიზდეს საფრთხეების შეგრძნება ეროვნული დამოუკიდებლობისა და საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაციონალური მოძრაობების ლიდერებისათვის (ალიმარდან-ბეგ თოფჩიბაშევი, მამედ-ემინ რასულ-ზადე, ფათალი-ხან ხოისკი, ნოე ჟორდანია და სხვები).

ისინი ეკუთვნოდნენ განათლებული კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებიც არ იყვნენ მოწყვეტილნი თავის ხალხისგან, და დევნილობაშიც აქტიურად განაგრძობდნენ (1921-1922) გამოსვლებს ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ.

თავად აზერბაიჯანი და საქართველო მთავარ საფრთხეს თავისთვის ხედავდნენ ,,მოხალისეთა,, არმიაში, მეფის არმიის ყოფილი გენერლის ანტონ დენიკინის სახით, რომელიც იბრძოდა ,,ერთიანი და განუყოფელი რუსეთისათვის,, და ბოლშევიკებში, რომლებმაც განამტკიცეს თავიანთი ძალაუფლება მოსკოვში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

მართალია ვ. ლენინმა განაცხადა ერების თვითგამორკვევის უფლებების შესახებ, ბოლშევიკები კი სულ უფრო შეუწყნარებლობას ავლენდნენ "მუსავათისტურ" აზერბაიჯანსა და "მენშევიკურ" საქართველოს მიმართ. ტიფლისსა და ბაქოს მოსკოვის ოფიციალურ პოლიტიკურ წრეებში ხშირად უწოდებდნენ "საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებად", და იმის გამო, რომ 1918 წელს ბოლშევიკებმა იგრძნეს ბაქოს ნავთობის ნაკლებობა, აქტიურად დაიწყეს საუბარი სამხრეთ კავკასიის ხელში ჩაგდების შესაძლებლობაზე.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა სუვერენიტეტის გამოცხადება, და აგრეთვე აზერბაიჯანისა და საქართველოს მცდელობა გაეტარათ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა გახდა დამატებითი მუქარა ,,რეგიონალური წესრიგის,,

დამყარებისა და ბოლშევიკური სამომავლო ექსპანსიის გეგმებისათვის.

1917 წლის ბოლოს, ბოლშევიკებმა შექმნეს რუსეთში ავტორიტარული რეჟიმი, დაფუძნებული ტოტალიტარულ კომუნისტურ იდეოლოგიაზე.

აზერბაიჯანი და საქართველო, ყველა თავისი ეკონომიკური სირთულეებით და სახელმწიფო ბიუროკრატიის გამოცდილების არარსებობის გამო, არ იყვნენ ავტორიტარულ დიქტატურულ ქვეყნებად.

ამდენად, ურთიერთობები მოსკოვსა და სამხრეთ კავკასიის დედაქალაქებთან, უფრო იყო ურთიერთობები ავტოკრატულად მმართველ ყოფილ მეტროპოლიასთან, რომელიც ამზადებდა პერმანენტურ მსოფლიო რევოლუციას, ,,ჩამოყალიბების პროცესში ,, მყოფ სუსტ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან,,.

ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია 1918-1920/21 წლების აზერბაიჯან-რუსული და ქართულ-რუსული ურთიერთობებისა. საქმეთა ასეთი მდგომარეობა

საქმეთა ასეთი მდგომარეობა ქმნიდა სერიოზულ საფრთხეს სამხრეთ კავკასიის დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის და ავიწროებდა მათ დიპლომატიური შესაძლებლობების აქტივობას.

ეროვნული უსაფრთხოების და სამხედრო მშენებლობის კითხვების გამოვლენისას, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობების ძირითადი ძალისხმევა იყო მიმართული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის დამყარებასთან და რეგულარული არმიების შექმნასთან. აქ აზერბაიჯანის დ ათურქეთის ინტერესები დაემთხვა.

აზერბაიჯანი და საქართველო გაჩნდნენ, როგორც სახელმწიფოები რუსეთის იმპერიის პერიფერიის ნანგრევებზე და აღმოჩნდნენ აღმოსავლეთ ევროპის პერიფერიაზე.

1918 წლიდან ამ ორ ახალგაზრდა რესპუბლიკებს უწევდათ საკუთარი კურსის გაკაფვა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, რომლებიც მათთვის ჭეშმარიტად "საგარეო" იყო.

ტფილისისა და განჯის მთავარი დიპლომატიური ამოცანა იყო ურთიერთობების დამყარება ორივე სამხედრო ბლოკთან -

ანტანტასთან, და გერმანია-თურქეთის კავშირის ქვეყნებთან. მაგრამ ამავე დროს მათ უწევდათ ყველაზე რთული ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცება და დიდი სახელმწიფოებისგან აღიარების მოპოვება.

ახალი სახელმწიფოები ყალიბდებოდნენ დაუმთავრებელ სამხედრო კონფლიქტების, საზღვრების შესახებ ცხარე კამათების და ბოლშევიკებისგან მომავალი მუდმივი საფრთხის პირობებში.

ამ რესპუბლიკების მთავრობები ცდილობდნენ შეექმნათ ეროვნული არმიები, რომლებიც შეძლებდნენ თავიანთი სახელმწიფოებრიობის დაცვას და თავიანთი ქვეყნების მოსახლეობის დაცვას.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა ქალაქური და ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში უფრო მაღალ დონეზე იყო, რომლის დედაქალაქი, ტფილისი, მე-XIX საუკუნის დასაწყისში, გახდა რეგიონის პოლიტიკური ცენტრი. ქართველებს შეეძლოთ სამხედრო განათლების მიღება რუსეთში, მათ იწვევდნენ მეფის არმიაში, ასე რომ სასტარტო პირობები ჯარის მშენებლობისათვის, საქართველოს ბევრად უკეთესი ჰქონდა, ვიდრე აზერბაიჯანს.

როგორც მუსლიმური ერის წარმომადგენლებს, აზერბაიჯანელებს (იშვიათი გამონაკლისით) არ ჰქონდათ უმაღლესი სამხედრო განათლების მიღების შესაძლებლობა რუსეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საქართველომ გერმანიის დახმარებით შეძლო ოფიცერთა კორპუსის მომზადების მიზნით რამდენიმე სამხედრო სკოლის შექმნა. აზერბაიჯანი კი განიცდიდა, ოფიცერთა სრულ უქონლობას, თუმცა 1918 წელს განჯაში გაიხსნა აზერბაიჯანულ-თურქული სამხედრო სკოლა გაიხსნა.

"ქართული არმიის ფორმირება დაიწყო ჯერ კიდევ კომისარიატის არსებობის დროს , ქართული სახელმწიფოს გამოცხადებამდე,,-წერს თავის მემუარებში ნოე ჟორდანია.- ამიერკავკასიის სახელმწიფოს სჭირდებოდა შეიარაღებული ძალები, რომლებიც შედგებოდა სამი ქვეყნის ხალხის

წარმომადგენლებისაგან და ერთიანი გენერალური შტაბის ხელმძღვანელობით".

აზერბაიჯანი და საქართველო ყველანაირი მალებით მიისწრაფვოდა შეენარჩუნებინათ სამხრეთ კავკასიის ერთიანობა ერთიანი სახელმწიფოს ჩარჩოებში, რომელსაც ეყოლებოდა თავისი ძლიერი არმია.

ნოე ჟორდანიამ უარყო სამხედრო ნაწილების ფორმირების იდეა ეროვნულ საფუძველზე, და მხარი დაუჭირა ჯარის მშენებლობას "ტერიტორიული პრინციპით გაწვევაზე".

ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე (1918 წლის 24 მარტს), ამ პრინციპს, ხმა მისცა დეპუტატების უმრავლესობამ. ამავე სესიაზე იხილებოდა რეგიონის ყველა მოქალაქის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის საკითხიც. თუმცა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ფედერაციის ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა.

გამოაცხადა რა თავისი დამოუკიდებლობა, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 2 ივნისს მიიღო ეროვნული გვარდიის შექმნის დადგენილება.

ნოე ჟორდანია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამგვარი გვარდიის ყოფნა - დროებითი ღონისძიება იყო, რომელიც ექვემდებარებოდა გაუქმებას მშვიდობის დამყარების შემდეგ. ის წინააღმდეგი იყო დემოკრატიულ სახელმწიფოში რეგულარული არმიის ფორმირებისა და მის ნაცვლად მიზნად ისახავდა სახალხო მილიციის ორგანიზებას.

მაგრამ 1918 წელს ეროვნული გვარდიის ფორმირება საქართველოს ხელმძღვანელების თვალსაზრისით, გამოიყურებოდა უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთ პრობლემად.

ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც მსახურობდნენ სამეფო არმიაში და ბრუნდებოდნენ პირველი მსოფლიო ომის ფრონტებიდან არ შეეძლოთ ემსახურათ ასეთ ქართულჯარში: ძალზე ძლიერი იყო რუსულ ჯარში ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენა. ჟორდანია წერდა, რომ "ისინი (ჯარისკაცები) აღარ იყვნენ ჩვენები".

აქედან გამომდინარე, საქართველომ შეძლო არა მხოლოდ შედარებით ძლიერი შეიარაღებული ძალების შექმნა, არამედ ხელი შეუწყო სამხედრო მშენებლობის პროცესს მეზობელ აზერბაიჯანში, სომხური შეტევის მოგერიება აღმოსავლეთ საქართველოში 1918 წლის დეკემბერში და შეიარაღებული წინაღმდეგობის გაწევა ბოლშევიკურ ექსპანსიას. საქართველოში შეიარაღებული წინაღმდეგობა ბოლშევიკებთან გაგრძელდა ქვეყნის ოკუპაციის შემდეგაც 1921-1924 წლებში.

საქართველოში, როგორც აზერბაიჯანში, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ყოფილი რეჟიმის ოფიცრებს. ეროვნული პარტიზანული მოძრაომის გამოჩენილ მებრძოლთა რიცხვში, წერდა აწ განსვენებული ქართველი ისტორიკოსი ლევან ურუშაძე, იყვნენ გენერალი კოტე აფხაზი, პოლკოვნიკები ნესტორ გარდაფხაძე და ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

შეიძლება მხოლოდ ივარაუდო, იქნებოდა თუ არა საქართველოში შეიარაღებული წინააღმდეგობა უფრო წარმატებული, თუ არა მისი ხელმძღვანელობის ორაზროვანი პოზიცია შეიარაღებული ძალების მშენებლობასთან დაკავშირებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოე ჟორდანია იყო მომხრე ეროვნული გვარდიის იდეისა, რომელსაც მშვიდობიან დროს არშეეძლო თანაცხოვრება რეგულარულ არმიასთან. ამგვარად, ის ანიჭებდა გადამწყვეტ მნიშვნელობას მილიციის ნაწილებს და არაპროფესიულ შეიარაღებულ ძალებს. აზერბაიჯანის რესპუბლიკას მისი დამოუკიდებლობის არსებობის მთელ პერიოდში, არსებული მუდმივი და რეალური საფრთხე აიძულებდა მთავრობას და პარლამენტს, მუდმივი ყურადღება მიექცია მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ეროვნული სამხედრო შენაერთების ფორმირების პირველი მცდელობები იქნა წამოწყებული 1917 წლის ბოლოს და 1918 წლის დასაწყისში. იმ პერიოდში პრაქტიკულად არ იყო ოფიცრების და რიგითების შემადგელობა. ცოტა იყო იარაღი და საბრძოლო მასალა. ერთადერთი რეგულარული სამხედრო ნაწილი იყო იმ

დროს ამიერკავკასიაში ჩამოსული კავკასიის ცხენოსანი ,,ველური,, დივიზიისთათართაცხენოსანიპოლკი.

1918 წლის 26 ივნისს, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით მუსლიმთა კორპუსი გადაარქვეს აზერბაიჯანულ ცალკეულ კორპუსად.

როგორც იყო ზემოთ აღნიშნული,1918 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, ა მშენაერთებმა კავკასიის ისლამური არმიის სახელმწიფოს შემადგენლობაში (კია), აქტიური მონაწილეობა მიიღო ბაქოს განთავისუფლებაში.

და მხოლოდ 17 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობა გადავიდა განჯიდან ბაქოში, დაიწყო რესპუბლიკის რეგულარული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, იმ აზერბაიჯანული სამხედრო ნაწილების საფუძველზე, რომლებიც შედიოდნენ კავკასიის ისლამურ არმიაში (კია).

ამავე დროს რეგულარული არმიის ფორმირებისას და განსაკუთრებით მისი მართვის ორგანოების ერთ-ერთი პრობლემა იყო ეროვნული ნაციონალური კადრების უქონლობა.

ამერიკელი ისტორიკოსი ტადეუშ სვეტოხოვსკი წერდა, რომ მხოლოდ მცირე რაოდენობის აზერბაიჯანელებს ჰქონდა შესაძლებლობა მიეღოთ სამხედრო განათლება რუსეთში. მათ რიცხვში შედიოდნენ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, გენერალი მეხმანდაროვი და სხვ.

აზერბაიჯანელ ისტორიკოს-ემიგრანტ ხილალ მუნშის მტკიცებით, აზერბაიჯანელებს არასდროს არ უმსახურიათ რუსეთის არმიაში. მას ეთანხმება თანამედროვე აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ნასიბ ნასიბ-ზადე, რომელიც ხსნის ამ ფაქტს მეფის ხელისუფლების მცირე ნდობით მუსლიმ ჯარისკაცების მიმართ და სპარსეთის სისუსტით, რომელიც მე-XIXს. ბოლოს და მე- XX ს, დასაწყისში არ წარმოადგენდა საფრთხეს რუსეთისთვის და არ აიძულებდა მას ეზრუნა საზღვრის გაძლიერებაზე.

სხვა სიტყვებით, ჩვენ შეგვიძლია მტკიცება, რომ აზერბაიჯანელი ოფიცერი მეფის რუსეთში იყო იშვიათობა და

სამხედრო ელიტის აზერბაიჯანული წარმოშობის სამხედრო ელიტა, რომელზეც იქნება ღირს საუბარი, არ შეიძლებოდა მაშინ გაჩენილიყო. ამიტომ მუსლიმური კორპუსის ჩამოყალიბება გართულდა ოფიცერთა შემადგენლობის ნაკლებობის გამო, განსაკუთრებით მუსლიმი-ოფიცრებისა. უამრავი აზერბაიჯანელი ოფიცერი, ისევე როგორც რუსეთის სხვა მუსლიმები, რომლებიც იბრძოდნენ დასავლეთის ფრონტებზე. მაგალითისთვის რუსი ოფიცრები შეადგენდნენ სამეთაურო შემადგენლობის 65 %.

ცარიზმის ხელისუფლება არ იწვევდა სამხედრო სამსახურში აზერბაიჯანელი მოსახლეობის ფართო ფენებს, რაც საშუალებას აძლევდა მხოლოდ ადგილობრივი არისტოკრატიის, ბეგების, და ხანების წარმომადგენლებს ჩაებარებინათ რუსეთი სიმპერიის სამხედრო სასწავლებლებსა და აკადემიებში, ემსახურათ ჯარში და მიეღოთ ოფიცერთა წოდებები. ამგვარად, რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა დაემსახურებინა ადგილობრივი ელიტის ლოიალობა.

ამის წყალობით, აზერბაიჯანელ ბეგებისა და ხანების ფენთა წარმომადგენლებმა შეძლეს გამხდარიყვნენ მაღალკვალიფიციური სამხედრო სპეციალისტები და მიეღწიათ რუსეთის არმიაში პოლკოვნიკისა და გენერლის წოდებამდე.

რუსეთის არმიის აზერბაიჯელი ეროვნების გენერალთა შორის იყვნენ ისეთი გამოჩენილი სამხედრო მხედართუფროსები, როგორც, რუსეთ-იაპონიის ომის გმირი, მრავალრიცხოვანი ჯილდოს კავალერი, ,,რუსეთის არტილერიის ღმერთი,, გენერალ-ლეიტენანტი ალი აღა შიხლინსკი, აგრეთვე არანაკლებად ცნობილი მხედართუფროსები: არტილერიის გენერალ-მაიორი სამედბეგ მეხმანდაროვი, გენერალ-მაიორი, გიორგის კავალერი იბრაგიმ აღა-უსუბოვი და სხვ. სწორედ ამ ხალხს დაავალა აზერბაიჯანის მთავრობამ აზერბაიჯანის არმიის ფორმირება.

ასე 1918 წლის  23 ოქტომბერს, მთავრობის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხედრო სამინისტროს (რომელიც შეიქმნა  7 ნოემბერს) საქმიანობის აღდგენის შესახებ. სამინისტროს აპარატის ფორმირება კი დაევალა არტილერიისგენერალს. ს.მეხმანდაროვს, რომელიც დაინიშნა ამ

ორგანოს ხელმძღვანელად. მისი თანაშემწე გახდა გენერალ-ლეიტენანტი ა.შიხლინსკი.

1918 წლის 22 ნოემბერს სამხედრო სამინისტრო გადავიდა ტფილისიდან განჯაში და შეუდგა რეგულარული არმიისა და მისი მართვის ორგანოების ფორმირებას. შეიქმნა გენერალური შტაბი სათანადო სტრუქტურულ ქვედანაყოფებ-ქვეგანყოფილებებით: საარტილერიო, საინტენდანტო, საინჟინრო, გენერალ-კვარტირმაისტერის, მორიგე გენერლის, სამხედრო-სანიტარულ, სამხედრო-სასწავლო, სამხედრო-ტოპოგრაფიულ, საკონტროლო და ა.შ.

1920 წლის მარტის დასაწყისში გატარებული მორიგი რეორგანიზაციის შემდეგ აზერბაიჯანული არმიის ერთიანი შტაბის უფროსად დაინიშნა გენერალ-მაიორი გ.სალიმოვი.

სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარშემოც, 1919 წლის 14 ივნისს შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელმაც გამოაცხადა აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობა.

1920 წლის თებერვალში შეიქმნა მცირე და დიდი სამხედრო საბჭოები. მცირე საბჭო შედგებოდა სამხედრო მინისტრის (თავმჯდომარე), სამხედრო მინისტრის თანაშემწის, გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს უფროსის, ბაქოს გამაგრებული რაიონის უფროსის და მთავარი შტაბის უფროსებისგან.

დიდ საბჭოში შედიოდნენ: სამხედრო მინისტრის თანაშემწე (თავმჯდომარე), გენშტაბის უფროსი, ბაქოს გამაგრებული რაიონის უფროსი, მთავარი შტაბის უფროსი, ბაქოში დისლოცირებული ქვეითი და ცხენოსანი დივიზიების მეთაურები, მთავარი საარტილერიო, საინტენდანტო, საინჟინრო სამმართველოების უფროსები, სამხედრო-სასამართლო და სამხედრო-ვეტერინალური ნაწილების გამგეები სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აზერბაიჯანში სამხედრო მშენებლობის საქმეში ამ პერიოდში იყო სამეთაურო შემადგენლობის მომზადება ფორმირებული არმიისათვის.

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მეფის რუსეთში აზერბაიჯანელებს თითქმის არანაირი გამოცდილება სამხედრო სამსახურში არ ჰქონდათ.

როცა 1918 წლის მაისში იყო გამოცხადებული აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობა, მას მხოლოდ ერთი სამხედრო შენაერთი ჰყავდა დაახლოებით 600 ჯარისკაცის რიცხოვნობით. მალევე, 4 ივნისს, რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერა თურქეთთან, მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულებაზე, რომელსაც უნდა აღმოეჩინა აზერბაიჯანისთვის სამხედრო დახმარება.

ზაფხულში კი თურქეთის დახმარებით იქნა ჩამოყალიბებული აზერბაიჯანის განსაკუთრებული კორპუსი. ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში, თურქი ოფიცრების დახმარებით განჯაში იქნა გახსნილი პრაპორშჩიკთა სამხედრო სკოლა, სადაც ღებულობდნენ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ჰქონდათ არანაკლებ დაწყებითი სასწავლებლის განათლება.

პირველი დაჩქარებული გამოშვება ამ სკოლაში შედგა 1918 წლის ოქტომბერში.

იმავე დროს, განჯაში შექმნილი სამხედრო სკოლის პირველ კურსდამთავრებულებს 1918 წლის ბოლოს არ შეეძლოთ პროფესიონალი ოფიცრების დეფიციტის კომპენსირება.

ამასთან დაკავშირებით, 1918 წლის 27 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის იქნა გამოყოფილი

,,50 ათასი რუბლის კრედიტი ქალაქ ბაქოში სამი სამხედრო სასწავლებლის გახსნისა და მოწყობისათვის,,

1919 ნოემბერში პრაპორშჩიკთა სკოლა გადაკეთდა სამხედრო სასწავლებლად, რომელიც გათვლილი იყო 250 მსმენელზე სამი ქვეგანყოფილებით: საერთო, საარტილერიო და საინჟინრო (თუმცა, ამ უკანასკნელის გახსნა ვერ მოხერხდა). ამ სასწავლებლის მომავალი კურსანტების მომზადებისთვის ბაქოში შეიქმნა იუნკერთა სკოლა.

1919 წლის ბოლოს და 1920 წლის დასაწყისში გაიხსნა, აგრეთვე კავალერიის, არტილერიის და მესანგრეთა

სასწავლებლები, აგრეთვე ტყვიამფრქვევთა-გრენადერთა, სამხედრო-სარკინიგზო და სამხედრო-საფელშრო სკოლები.
არმიის უნტერ-ოფიცერთა შემადგენლობის მომზადების გაუმჯობესების მიზნით 1920 წლის აპრილიდან იგეგმებოდა სპეციალური საბატალიონო და საპოლკო სკოლების შექმნა უწიგნურობის აღმოფხვრის ოთხთვიანი სწავლების კურსით.

თუმცა, ოფიცერთა ეროვნულიკ ადრების მომზადებისათვის, საჭირო იყო გარკვეული დრო და, არმიის სამხედრო სპეციალისტებით მზარდი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის მთავრობა იძულებული იყო მოეზიდა რუსი და ქართველი ოფიცრების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ამ პერიოდში აზერბაიჯანში რჩებოდა 300-მდე ძველი რუსეთის არმიის კადრის ოფიცერი, რომელთა შორის 30-ზე მეტი იყო საშტაბო ოფიცერი. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, გენერალმა ს.მეხმანდაროვმა, 1919 წლის თებერვალში მიაღწია იმას, რომ მიაღებინა მთავრობას სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვით, სამხედრო მინისტრის ნებართვის გარეშე, აზერბაიჯანელი ოფიცრები არ უნდა მიეღოთ სამოქალაქო სამსახურში. რესპუბლიკის ხელისუფალნი შეშფოთებულები იყვნენ ორგანიზაციის სამხედრო შენაერთების ორგანიზებით, რომლებსაც შეეძლოთ მისი ტერიტირიული მთლიანიბის დაცვა.

1919 წელს, ამ ამოცანის შესასრულებლად ასიგნირებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის 24 % და, როგორც აღნიშნავს ისტორიკოსი ნ.ნასიბ-ზადე, ,,სამხედრო მინისტრი გენერალი ს.მეხმანდაროვი წერდა,რომ სახელმწიფოს სახსრების უდიდესი ნაწილი უნდა იყოს გამოყოფილი ეროვნული არმიისათვის, საქართველოს მაგალითით, რომელსაც შეუძლია ჯარის საჭიროებისათვის გამოჰყოს თავისი ბიუჯეტის 60 %,,

მიუხედავად ამისა, შეიქმნა და მნიშვნელოვნად იქნა გაძლიერებული მაღალდისციპლინირებული და კვალიფიცირებული აზერბაიჯანული არმია.

1919 წლის სექტემბერში, ბაქოში მყოფი ინგლისელი სამხედრო ჟურნალისტი სკოტლანდ ლიდელი თავის შენიშვნებში წერდა: ,,მე მეუბნებოდნენ, რომ მე აქ შევხვდებოდი არეულობებს,

მაგრამ მე აქ არ მინახავს არანაირი მღელვარება. მთელი ჩემი გზის მანძილზე ჩვენ ვხვდებოდით ასობით აზერბაიჯანის არმიის ახალგაზრდა ჯარისკაცებს. ეს უკვე ის ჯარისკაცები აღარ იყვნენ, რომლებიც მე ვნახე ორი წლის წინ. თანაც, არც კი გავდნენ იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ერთი თვის წინ ვნახე. აზერბაიჯანის არმია სწრაფად იქნა ჩამოყალიბებული, და აგრეთვე ძალზე სწრაფად მოიპოვა სათანადო იერსახე. აზერბაიჯანმა გაიაზრა, რომ არადისციპლინირებული არმია უბრალოდ არ უნდა არსებობდეს. აზერბაიჯანულ არმიაში ბატონობს რკინის დისციპლინა. ასეთი დისციპლინა არ იყო რუსეთის არმიაშიც კი,,

1919 წლის ბოლოსათვის, განხორციელებული გარკვეული ძალისხმევის წყალობით აზერბაიჯანის სახმელეთო შეიარაღებული ძალები შედგებოდა ორი ქვეითი და ერთი კავალერიის დივიზიებისაგან. გარდა ამისა, იქნა ჩამოყალიბებული საარტილერიო ბრიგადები და დივიზიონები, სარეზერვო ბატალიონები და პოლკები, სხვა სპეცდანაყოფები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახმელეთო ჯარების საერთო რაოდენობამ აპრილისთვის მიაღწია 30 ათას ხიშტს და ხმალს.

მას შემდეგ, რაც ჯარში გაწვევის საკითხები გარკვეულწილად იყო გადაწყვეტილი, მწვავე პრობლემა და ზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელი 23 თვის არსებობის მანძილზე რჩებოდა პროფესიულ ოფიცერთა კადრების მწვავე საჭიროება.

ხელისუფლებას უხდებოდა მეფის ყოფილი სამხედრო სპეციალისტების სამსახურში მიღება, რომელთა ლოიალურობაზე აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში არ შეიძლებოდა ბოლომდე მთლიანად დაყრდნობა.

ქვეყნის ოფიცერთა კორპუსი დიდწილად შედგებოდა იმ თურქ სამხედრო მოსამსახურეებისაგან, რომელთა ლოიალურობა, დამოკიდებული იყო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობებშ იცვლილებებზე, და იმ რამოდენიმე აზერბაიჯანელ გენერალზე, რომლებმაც მიიღეს მომზადებამეფის სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში.

ამავე დროს, ეს პერიოდი ხასიათდება საგარეო სამხედრო საფრთხეების შენარჩუნებით, რომელიც მოდიოდა როგორც

ჩრდილოეთიდან, ისე თეთრ გვარდიელთა არმიებისგან, წითელი რუსეთის სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან, როგორც სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან, ასევე ინგლისელებისგან და დაშნაკური სომხეთისგან თავისი აგრესიული სეპარატიზმის გამოვლინებით ქვეყნის სამხრეთ და დასავლეთ რეგიონებში - მუღანში, ზანგეზურში და ყარაბაღში და ტერიტორიული პრეტენზიებით აზერბაიჯანთან 1919-1920 წლებში.

ეს განსაკუთრებით გამოჩნდა მაშინ, როდესაც პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა თურქეთმა, თანახმად მუდროსის ზავის პირობისა, რომელიც დაიდო ბრიტანეთის კრეისერ "აგამემნონზე" 1918 წლის 30 ოქტომბერს, იძულებული გახდა, გაეყვანა ყველა თავისი ჯარები მთელი კავკასიიდან, მათ შორის ბაქოსა და ბათომიდან.

თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობა 1918 წლის ოქტომბრის დასაწყისში ეჭვიანობდა ანტანტასა და თურქეთს შორის საიდუმლო შეთანხმების არსებობის შესახებ ,,მათ ხელში ბაქოს გადაცემის შესახებ,,

1918 წლის 16 ნოემბერს, ინგლის-ფრანგული ესკადრა შემოვიდა შავ ზღვაში, ხოლო 17 ნოემბერს ბაქოში, ენზელიდან ზღვით შემოვიდნენ 39-ექვეითი ბრიგადის ნაწილები (სულ 1000 ბრიტანელი და 800 ინდოელი ჯარისკაცი და ოფიცერი), ჩრდილოეთ სპარსეთში ინგლისის ჯარების სარდლის, გენერალ-მაიორ ვ.მ. ტომსონის სარდლობით.

ბაქოში გამგზავრებამდე ინგლისელმა გენერალმა, გამოხატა რა მოკავშირე სახელმწიფოთა პოზიცია, გამოვიდა დეკლარაციით, რომელშიც, კერძოდ ნათქვამი იყო, რომ ,,ბაქო თავისი ნავთობის ჭაბურღილებით იქნება ოკუპირებული, მაშინ როცა ქვეყნის დანარჩენი ნაწილი დარჩება აზერბაიჯანის მთავრობისა და მისი ჯარების კონტროლს ქვეშ,,

დაიმორჩილეს რა კასპიის სამხედრო ფლოტილია და ასორმოცდაათამდე სავაჭრო გემი, ინგლისელებმა სასწრაფო წესითდაიწყეს კასპიის ზღვაზე თავიანთი სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნა.

მათ საფუძვლად გახდა ბაქოში ბაზირებადი კასპიის სამხედრო ფლოტილიის სამხედრო გემები და სავაჭრო ფლოტი.

1918 წლის აგვისტოში, ეს ერთა ტრანსკასპიურმა მთავრობამ წარუდგინა ინგლისელებს კასპიის ზღვაზე ყველა მათ განკარგულებაში მყოფი გემი. ეს გემები იყო შეიარაღებული იარაღით, მოხსნილ შავი ზღვის ფლოტის გემებიდან და აგრეთვე ჩამოტანილი ინგლისიდან. შავი ზღვით რკინიგზით ბაქოში 13 კატარღა-გამანადგურებელი, რომელიც შეიარაღებულიიყო უაიტ -ჰედის სატორპედო აპარატებით.

პორტ-პეტროვსკის დაკავების შემდეგ, 1919 წლის 13 იანვარს, კუნძულ ჩეჩენზე (დაღესტნის სანაპიროსთან) ინგლისელებმა აქ ორგანიზება გაუკეთეს თავიანთ სამხედრო-საზღვაო და ავიაბაზებს (80 თვითმფრინავი).

ეს აძლევდა შესაძლებლობას ინგლისელებს განეხორციელებინათ საჰაერო შეტევები ასტრახანზე.

თანახმად საბჭოთა სადაზვერვო მონაცემებისა 1919 წლის გაზაფხულზე ინგლისელებს ჰქონდათ კასპიის ზღვაზე 18 საბრძოლო საზღვაო ერთეული (აქედან 5 დამხმარე კრეისერი და 4

ამდენად, მიაღწია რა სრულ ბატონობას კასპიის ზღვის მთელ აკვატორიაზე, ამან მისცა ინგლისელებს შესაძლელობა, გამლიერებულად მოემარაგა ზღვით დენიკინის და კოლჩაკის თეთრი არმიები შეიარაღებით, აღკაზმულობითა და ნავთობპროდუქტებით.

1918 წლის ბოლოსთვის ინგლისელების პოლიტიკამ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან მიმართებაში ძალიან შესამჩნევი ცვლილებები განიცადა.

1919 წლის 22 იანვარს გენერალმა მილნმა განაცხადა, რომ "არანაირ ჩარევას ადგილი არ ექნება....ამიერკავკასიის სახელმწიფოების შიდა საქმეებში".

ინგლისი აპირებდა სპარსეთისთვის რუსეთის და თურქეთის ტერიტორიების ნაწილის შეთავაზებას "სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქესტანის საზღვრების დადგენისას".

1919 წლის 9 აგვისტოს ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულების დადება კიდევ უფრო აძლიერებდა ინგლისის პოზიციებს სამხრეთ კასპიის რეგიონში. თავის მხრივ, დენიკინელები ადანაშაულებდნენ ინგლისელებს "ამიერკავკასიის ეთნოგრაფიული ჯგუფების....სეპარატიზმის მხარდაჭერაში და ხელშეწყობაში,, და როგორც ამის შედეგი, "რეალური ძალა (მხედველობაში ჰქონდათ ,,მოხალისეთა,,არმია - ავტ.შენიშვნა)დარჩა ერთადერთ საშუალებათ ამიერკავკასიაზე რუსული დროშის აღმართვისათვის.,,

ამასთან ერთად, ინგლისელები ყველანაირად მხარს უჭერდნენ სომხეთის დაშნაკურ მმართველებს, რომელმაც დაამყარა სამოკავშირეო ურთიერთობები დენიკინთან და მზად იყო თავისი ტერიტორია, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი შეეთავაზებინა ,,ანტანტას,,

"ჯილდოდ"კი მიიღო ინგლისისგან ყარსის ოლქი და ერევნის გუბერნიის ნაწილი. გარდა ამისა, 1919 წლის გაზაფხულზე მოკავშირეებმა ფაქტიურად წაახალისეს სომხეთის აგრესიული ქმედებები ნახჭევანისა და ზანგზურის წინააღმდეგ.

საფრანგეთის გენშტაბისტების აზრით ინგლისი ამ პერიოდში ახორციელებდა კავკასიაში ორ მიზანს:

პირველი - "გადაეგდო რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში, რითაც ხელს უწყობდა აზერბაიჯანის და საქართველოს დამოუკიდებლობას,,", და მეორე - "არ დაეშვათ ამ რეგიონში ისეთი სახელმწიფოს შექმნისა, რომელიც იქნებოდა აღორძინებული რუსეთის მოკავშირე და ამით დარტყმის ქვეშ ინგლისის ურთიერთობები მუსლიმურ სამყაროსთან,,

ერთიანობაში კი, ,,ანტანტა,, ცდილობდა შეექმნა ერთგვარი "სანიტარული კორდონი" ახლადგაჩენილი ამიერკავკასიის სახელმწიფოებისგან, რომელიც იქნებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი -ბალტია - შავი ზღვის - კავკასიის - კასპიის ზღვის - ცენტრალური აზიის გიგანტური "გეოპოლიტიკური რკალისა".

შეგნებულად აფასებდნენ რა რეალურ მდგომარეობას მთელს კავკასიაში, აზერბაიჯანისა და საქართველოს

მთავრობების მალისხმევით ხორციელდებოდა ზომები ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

გარდა ამისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს სწრაფვას, მიეღწიათ თავიანთი სუვერენიტეტის აღიარების საერთაშორისო გარანტიებისათვის, უკვე დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში, მხარი დაუჭირა ევროპის მრავალმა და რეგიონალურმა სახელმწიფომ.

ამ პერიოდში, პოლიტიკური პროცესები სამხრეთ კავკასიაში მეტწილად განისაზღვრებოდა საქართველოს მაშინდელი სიმპატიებით გერმანიასა და აზერბაიჯან-თურქული ალიანსისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის და სტამბულის მოსაზრებები კავკასიის საკითხების ბევრ ასპექტებში განსხვავდებოდა, ერთ საკითხში კავკასიის მომავალზე, ისინი ერთად იყვნენ: ეს რეგიონი, მათი აზრით, უნდა დარჩენილიყო რუსეთის გავლენის სფეროს გარეთ. ცენტრალურ პერსონაჟად მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის გამოდიოდა გერმანია, თურქეთთან ერთად დიდად უწყობდა ხელს რეგიონის ქვეყნების სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ჯარის მშენებლობას.

ბაქომ დ ატფილისმა გაცვალეს დიპლომატიური მისიები და პირველივე თვეებიდან დამოუკიდებლბის გამოცხადების შემდეგ გაითავისეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ურთიერთგაგების მხარდაჭერა. ორივე სახელმწიფო თვლიდა თავის თავს რუსეთში პოლიტიკური კონფლიქტის მძევლად.

მას შემდეგ, რაც გერმანიამ და თურქეთმა განიცადეს დამარცხება პირველ მსოფლიო ომში, და იძულებულები გახდნენ გაეყვანათ თავიანთი ჯარები რეგიონიდან, საქართველომ და აზერბაიჯანმა იგრძნეს, რომ დარჩნენ თავიანთი ბედის ამარა და საკუთარი ძალებისა და იმ წარმატებების იმედად, რომლებიც მათ მოიპოვეს დამოუკიდებლობის პირველ წელიწადში.

ამიტომ, ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით, აზერბაიჯანსა და საქართველოს დიპლომატიურ მისიებთან ჩამოყალიბდა სამხედრო ატაშე საპარატი.

სამხედრო მინისტრის, არტილერიის გენერლის ს.მეჰმანდაროვის 1919 წლის 26 მარტის № 148 ბრძანების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკაში აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის სამხედრო ატაშედ დაინიშნა პოდპოლკოვნიკი მამედ კასუმბეგ ალიევი (ტოპოგრაფიული განყოფილების ყოფილი უფროსი).

ამავე დროს, ახლად შექმნილი სამხედრო ატაშეს აპარატი იმყოფებოდა გენშტაბის უფროსის პირდაპირ დაქვემდებარებაში.

1919 წელს აზერბაიჯანმა და საქართველომ მოაწერეს ხელი შეთანხმებას თანამშრომლობაზე სამხედრო სფეროში. შეუძლებელი იყო სომხეთთან, რომელიც საიდუმლო კავშირებს ამყარებდა დენიკინთან, ასეთიკავშირის ჩამოყალიბება.

დოკუმენტი, სახელწოდებით "სამხედრო შეთანხმება" იქნა ხელმოწერილი 1919 წლის 16 ივნისს, ხოლო უკვე 27 ივნისს მოხდა მისი რატიფიცირება აზერბაიჯანის პარლამენტის მიერ.

საქართველოს დელეგაციაში ამ მოლაპარაკებებზე შედიოდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ე.გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი ნ.რამიშვილი, გენერალი ი.გედევანოვი (გედევანიშვილი) და გენერალი ი.ოდიშელიძე.

აზერბაიჯანის მხარეს წარმოადგენდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი მ.ჯაფაროვი, სამხედრო მინისტრი, გენერალი ს.მეჰმანდაროვი,გენერალურიშტაბისუფროსი,გენერალიმ.სულკევიჩი.

"ყურადღებად მიიღეს რა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობების საფრთხეები,, ორივე დელეგაცია შეთანხმდა სამომავლო ურთიერთობებზე რამოდენიმე ასპექტში დასაქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ერთობლივ დემარკაციაზე.

სამხედრო შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს ს.მეჰმანდაროვმა და ე.გეგეჭკორმა, ატარებდა მკაფიოდ გამოხატულ თავდაცვით ხასიათს, იყო დადებული სამი წლით და შედგებოდა 10 ნაწილისაგან.

ორმხრივი დახმარება შეიარაღებული ძალების გამოყენებით გათვალისწინებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ შეთანხმების ერთ-ერთ მხარეს დაესხმეოდა მესამე ქვეყანა. საქართველომ აიღო ვალდებულება, რათა დახმარებოდა აზერბაიჯანს ჯარის მშენებლობისა და ოფიცერთა კადრების მომზადებაში ხოლო აზერბაიჯანის მხარე კისრულობდა - საქართველოს ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფას.

სამხედრო შეთანხმების გარდა, ტიფლისმა და ბაქომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ამ მოლაპარაკებების შედეგად, აგრეთვე კარგი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც ჩამოყალიბდა სამხედრო თანამშრომლობის სფეროში, 1920 წლის 20 იანვარს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, დაწესდა სამხედრო საბჭო. აზერბაიჯანის მხრიდა ნსაბჭოში დაინიშნენ სამხედრო მინისტრის თანაშემწე, გენერალ-ლეიტენანტი ალი აგა შიხლინსკი და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი მ.სულკევიჩი, ხოლო საქართველოს მხრიდან გენერალი ი.ოდიშელიძე და გენერალი კ.ქუთათელაძე.

მემკვიდრეობა ორი ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებით კარგად ჩანს გაცხადებული აზერბაიჯანის პარლამენტის 109-ე სხდომაზე, რომელიც შედგა 1919 წლის 22 დეკემბერს, მინისტრთა კაბინეტის მე-5 შემადგენლობის დეკლარაციაში.

მნიშვნელოვანი ადგილი სამთავრობო დეკლარაციაში დათმობილი ჰქონდა ურთიერთობებს საქართველოსთან. პრემიერ-მინისტრი ნ.უსუბბეგოვი კმაყოფილებით აღნიშნავდა, უდიდეს მნიშვნელობას და როლს 1919 წლის 27 ივნისს დადებულ აზერბაიჯან-საქართველოს თავდაცვით პაქტს, ორივე სახელმწიფოსთვის, გარეშე საფრთხეებისაგან დაცვის საქმეში და გამოთქვამდა მთავრობის მტკიცე ნებას მის მომავალ განმტკიცებაში.

ზოგადად, საქართველო და აზერბაიჯანი საკმაოდ თბილ ურთიერთობებს ინარჩუნებდნენ მას შემდეგ, რაც გახდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებები 1918 წელს.

1918-1920 წლებში ქართველებს იწვევდნენ აზერბაიჯანის არმიაში. ისინი ნებაყოფლობით შედიოდნენ აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების რიგებში.

საარქივოდო კუმენტებში გვხვდება ათობით ქართველი ჯარისკაცის და ოფიცრის განცხადება და პატაკი, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი ემსახურათ აზერბაიჯანის არმიაში, და უდიდესი სამსახური გასწიეს არმიის ორგანიზებასა და ფორმირების საქმეში. აზერბაიჯანის ჯარში გადიოდა სამხედრო სამსახურს ქართველი ეროვნების მრავალი გენერალი და ოფიცერი. მათ შორის იყვნენ: გენერალ-კვარტირმაისტერი, პოლკოვნიკი კარგალეთელი, და სამხედრო სასწავლებლის უფროსი, პოლკოვნიკი ჩხეიძე, რომლებსაც მომავალში სამაგალითო სამსახურისათვის მიენიჭათ გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. მათ რიცხვში იყვნენ გენერლები ზაქარია ვასილის-ძე ამაშუყელი, აბელ გაბრიელის-ძე მაყაევი, ალექსანდრე მიხეილის-ძე ფურცელაძე, გენადი ნიკოლოზის-ძე თარხანოვი და ქართველი ეროვნების 60-ზე მეტი უფროსი და უმცროსი ოფიცერი და რამოდენიმე სამოქალაქო პირი.

ამდენად, უკიდურესად რთულ საგარეო და საშინაო პირობებში, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობების მიერ ხორციელდებოდა რეგულარული არმიის მშენებლობა და თავდაცვითი მნიშვნელობის სხვა ღონისძიებები.

აზერბაიჯანის ჯარმა, რომელიც იყო გაშლილი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ვერ შეძლო საბჭოებს სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. გენერლები იმედოვნებდნენ, რომ ბოლშევიკებთან დაახლოება საშუალებას მისცემდა მათ ფართო ავტონომიის შენარჩუნებაში.

თურქეთი - იყო აზერბაიჯანის უახლოესი მოკავშირე რესპუბლიკა - 1919 წლიდან, ახლო კონტაქტები ჰქონდა კომუნისტურ რუსეთთან და არ ჰქონდა შესაძლებლობა დახმარებოდა მას მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

მისმა დაცემამ გაფანტა ილუზიები ტფილისსა და ბაქოს შორის სამხედრო შეთამხმების შესაძლებლობების ირგვლივ.

რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა პოზიცია ბოლშევიკების პოზიციები სამხრეთ კავკასიაში.

1920 წლის აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში, ქართული არმიის გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, დამარცხება მიაყენა წითელ ჯარებს, რომლებიც აზერბაიჯანის მხრიდან ცდილობდნენ საქართველოში შემოჭრას. კვინიტაძეს სურდა გაეგრძელებინა შეტევა ბაქოს მიმართულებით, რათა დახმარება აღმოეჩინა აზერბაიჯანელ ხალხს წითლების შემოჭრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ იძულებული იყო შეჩერებულიყო, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის გამო.

შედეგად, არც აზერბაიჯანულ-ქართულმა სამხედრო თანამშრომლობამ, არც ორივე ქვეყნის დიპლომატიურმა მიღწევებმა, არ დაეხმარა მათ თავიდან აეცილათ ბოლშევიკების მიერ მათი სახელმწიფოების ოკუპაცია.

1920 წლის 28 აპრილს, წითელი არმია შემოიჭრა აზერბაიჯანში, ხოლო 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკთა ძალებმა დაიკავეს საქართველოს დედაქალაქი -ტფილისი. სამხრეთ კავკასიის მეორე დაპყრობა დაიწყო აზერბაიჯანის დაცემით და დამთავრდა წითელი არმიის მიერ ტფილისის აღებით.

ქართველი და აზერბაიჯანელი პოლიტიკური მოღვაწეების ძირითადმა ნაწილმა და ინტელიგენციამ ამჯობინა ემიგრირება, რათა თავიდან აეცილათ ფიზიკური განადგურება კომუნისტურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში.

მაგრამ ამ ქვეყნებში, ახალი ხელისუფლების დამყარება ხდებოდა 1920 წელს, ქვეყნის მაზრებში ანტისაოკუპაციო შეიარაღებული აჯანყებების ფონზე, რაც მოწმობდა სწრაფვას აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის მიერ თავისი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

1920 წლის მაისში, ბოლშევიკებმა ჩაახშეს ანტისაბჭოთა აჯანყება განჯაში.

1924 წლის აგვისტოში, წითელი არმიის ნაწილებმა სასტიკად ,,დააშოშმინეს,, აჯანყება კომუნისტების წინააღმდეგ საქართველოშიც, და აზერბაიჯანშიც, წამყვან როლს ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის ორგანიზებაში თამაშობდნენ ძველი არმიების ოფიცერთა კორპუსის წარმომადგენლები.

ხოლო ამ რესპუბლიკების ორი ლიდერი მ.რასულ-ზადე და ნ.ჟორდანია, 1920-1930-იან წლებში აგრძელებდნენ პოლიტიკურ მოღვაწეობას საფრანგეთში, პოლონეთსა დაგერმანიაში.

როგორც ბრძოლის საშუალება მათ და ბევრმა სხვა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომლებმაც დატოვეს სამშობლო, შესძლეს გამოეყენათ ემიგრანტული თანამეგობრობის გაერთიანება, კავკასიის პრობლემებზე პუბლიკაციებით, შეხვედრების ორგანიზებით, კავკასიის

აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაციონალური არმიები გაჩნდნენ სახელმწიფო პროცესში, რომელიც დაწყებული იყო კავკასიის ინტელიგენციისა და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ცუდად აღჭურვილი შეიარაღებული ძალები და გამოუცდელი საარმიო ელიტები რჩებოდა ყველაზე სუსტ და ყველაზე დაუცველ ბმულად ახალი რესპუბლიკების მთელ სახელმწიფო სისტემაში. თავისი დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში, ამ ქვეყნებმა ვერ მოასწრეს, ჩამოეყალიბებინათ ახალი ელიტები.

ორივე ქვეყნის დაცემაში უდიდესი როლი ითამაშა მათი სახმელეთო ჯარების არა მხოლოდ არაადექვატურმა მომზადებამ და აღჭურვილობამ, არამედ შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის იდეოლოგიურმა სისუსტემაც.

როგორც დემოკრატიული სახელმწიფოები, აზერბაიჯანმა და საქართველომ ვერ აკრძალეს თავიანთ ტერიტორიაზე ადგილობრივი კომუნისტების საქმიანობა, რომლებიც ძირს უთხრიდნენ რესპუბლიკებს შიგნიდან.

თუმცა, თანამშრომლობა ბაქოსა და ტფილისს შორის სამხედრო სფეროში და უსაფრთხოების სფეროში მტკიცე რომ ყოფილიყო და მათი ეროვნული არმიები უფრო პროფესიული ყოფილიყო - ნაკლებად სავარაუდოა, დაეხმარებოდა მათ ეს

თავიანთი ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაცვაში.

აღმოჩნდნენ რა ბოლშევიკური რუსეთის პირისპირ, რომელიც იბრძოდა ბაქოს ნავთობისათვის და დიდ კავკასიონზე - ამ მთის ჯაჭვის, რომელიც აკავშირებს შავი ზღვისპირეთს კასპიისპირეთთან კონტროლისათვის, 1920-იანი წლების დასაწყისში, ამ ქვეყნებს არ ჰქონდათ პრაქტიკულად შანსი დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა ევროპიდან სერიოზული მხარდაჭერის გარეშე.

ზოგადად, 1918 წლის მაისში დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადება, იქცა ნიშანდობრივ მოვლენადმე-XX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანისა და საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში.

ეროვნული პარლამენტებისა და მთავრობების ლამის ორწლიანმა მოღვაწეობამ სახელმწიფო მშენებლობაში, მათ შორის სამხედრო სფეროშიც,

რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა იძლეოდა თავის ძალზე ხელსაყრელ შედეგებს.

ამავე დროს, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ 1918-1920 წლებში ორივე სახელმწიფომ ვერ შეძლო შეექმნა საკმაოდ ბრძოლისუნარიანი ეროვნული შეიარაღებული ძალები - ეს არის აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლეხნიანი არსებობაა.

ამავე დროს, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ 1918-1920 წლებში ორივე სახელმწიფომ ვერ შეძლო შეექმნა საკმაოდ ბრძოლისუნარიანი ეროვნული შეიარაღებული ძალები -ეს არის აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლეხნიანი არსებობაა.

# საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო შეთანხმების აქტი*

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო შეთანხმების ხელმოწერა განხორციელდა 1919 წლის 16 ივნისს, ქ. ტფილისში. აქტზე ქართული მხრიდან ხელი მოაწერეს:

- საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა;
- სამხედრო მინისტრმა რამიშვილმა;
- სამხედრო მინისტრის თანაშემწემ გენერალმა გედევანოვმა;
- გენერალმა ოდიშელიძემ;

აზერბაიჯანული მხრიდან:

- საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯაფაროვმა;
- სამხედრო მინისტრმა გენერალმა მეჰმანდაროვმა;
- გენშტაბის უფროსმა გენერალმა სულკევიჩმა.

რომლებიც გაეცნენ უფლებამოსილებებს და ჰპოვეს ისინი სათანადო ფორმით და წესით, და დაასკვნეს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის სერიოზული საფრთხის გამო, თანხმდებიან შემდეგ საფუძვლებზე:

1.ამ შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ერთად გამოვიდნენ მათივე შეიარაღებული ძალებითა და სამხედრო საშუალებით თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც დაემუქრება ერთს ან მეორე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხლებლობას.

შენიშვნა: პარაგრაფი არ ვრცელდება კონფლიქტებზე, რომელიც შესამლოა ატყდეს საზღვრების გამო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ გამიჯვნის ნიადაგზე.

2.თუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო, უკვე დაწყებულ, პირველ პარაგრაფით ნაგულისხმევ, სამხედრო მოქმედების დროს,

თავს დაესხმის ერთს ან ორივე მოკავშირეს საზღვრის გამო, ასეთი სახელმწიფო მეომარ მხარედ ჩაითვლება.

3. ამ შეთანხმებას აქვს თავდაცვის ხასიათი და თუ ერთი მხარე თავისი ინიციატივით, წინასწარ შეუთანხმებლად გამოაცხადებს ომს ან/და სამხედრო მოქმედებას დაიწყებს, ამ შეთანხმების დამდები მეორე მხარე ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ სამხედრო მოქმედებაში.

4. ამ შეთანხმების დამდები მხარეები ვალდებულნი არიან ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას მათ შორის, შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვიტონ და ეს გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის მისაღები და საბოლოო უნდა იყოს.

5. შეთანხმება იდება სამი წლის ვადით. ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე, შეთანხმების დამდებ მხარეებს უფლება ენიჭებათ გამოთქვან სურვილი შეთანხმების გაგრძელებაზე, ან სამომავლოდ შეწყვეტაზე. ნებისმიერ შემთხვევაში შეთანხმება ძალას კარგავს მხოლოდ ვადის ამოწურვის შემდეგ.

6. შეთანხმების დამდები მხარეები ვალდებულნი არიან სოლიდარობა გაუწიონ ერთურთს და აწარმოონ დიპლომატიური მოლაპარაკებები სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებების დაცვისა და მხარდაჭერისთვის.

7. იმ შემთხვევაში თუ პირველსა და მეორე პარაგრაფში აღნიშნული პირობები შეიქმნება, შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ომის დროს კოალიციაში მყოფი სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგესთან დადებული ზავი თავისი მოკავშირის თანხმობის გარეშე არ შეკრან.

8.შეთანხმების დამდები მხარეები ვალდებულნი არიან არ შეკრან სამხედრო კონვენციები სხვა სახელმწიფოსთან წინასწარ შეუთანხმებლად.

9. იმ შემთხვევაში, თუ მეხუთე პარაგრაფში აღნიშნულ ვადამდე დაარსდება ხალხთა ლიგა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მის მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და საზღვრების ხელშეუხლებლობას, მაშინ ეს შეთანხმება კარგავს ძალას.

10.ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას - სომხეთს უფლება ეძლევა შეთანხმების ოფიციალურად შეტყობინების დღიდან, ორი კვირის განმავლობაში გამოთქვას მზაობა და შემოუერთდეს შეთანხმებას.

11.რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს ქალაქ ბაქოში ორი კვირის განმავლობაში ხელმოწერის დღიდან.

12.ეს შეთანხმება შედგენილია ორ დედნად.

საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი;
სამხედრო მინისტრი რამიშვილი;
სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალი გედევანოვი;
გენერალი ოდიშელიძე;

საგარეო საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი;
სამხედრო მინისტრი გენერალი მეჰმანდაროვი;
გენშტაბის უფროსი გენერალი სულკევიჩი.

ქალაქი ტფილისი
ათას ცხრაას ცხრამეტი წლის ივნისის მეთექვსმეტე დღე

---

- საქართველოს სამართლებრივი აქტები 1918-1921, გვ.275-277

## ნაწილი I

## სამხედრო მოღვაწეები საქართველოდან, რომლებიც 1918-1920 წლებში მსახურობდნენ აზერბაიჯანის ჯარში



### აბელ გაბრიელის-ძე მაყაევი, თავადი
**(06.06.1860-1920)**
**გენერალ-მაიორი (18.01.1916)**

დაიბადა ოფიცრის ოჯახში.
1877 წლიდან იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში.

1877 წელს დაამთავრა ელისავეტგრადის სამხედრო პროგიმნაზია, 1880 წელს ყაზანის ქვეითთა იუნკერთა სასწავლებელი და ოფიცერთა მსროლელი სკოლა.

1889 წელს განაწილებული იქნა ზაქათალას 164-ე ქვეით პოლკში, სადაც მეთაურობდა ასეულს და ბატალიონს.

1909 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ბაშყადიყლარის სარეზერვო ბატალიონში.

1910 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1914 წლამდე მსახურობდა ბაშყადიყლარის 185-ე ქვეითი პოლკის მეთაურის თანაშემწედ, შემდეგ კი-მეთაურად.

1914 წლის 25 ივნისიდან მეთაურობდა გორის 202-ე ქვეით პოლკში.

მონაწილეობდა 1914-1918 წლების პირველ მსოფლიო ომში.

1914-1916 წლებში მეთაურობდა მინგრელსკის გრენადერთა მე-16 პოლკს.

1916 წლის 18 იანვარს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

1916-1917 წლებში მეთაურობდა კავკასიის გრენადერთა დივიზიის ბრიგადას.

ილუსტრირებულ მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალ ,,ისკრი,,-ში, რომელიც გამოდიოდა ყოველკვირეულად მოსკოვში გაზეთ ,,რუსკოე სლოვო,,-ს დანამატად,1916 წლის 13 ნოემბრის № 44-ში აღინიშნებოდა:

*,,თავადი მაყაევი არის ერთ-ერთი ჩვენი უმამაცესი დივიზიის მეთაური. თავადი მუდმივად ცხოვრობს სანგრებში თავის ჯარისკაცებთან ერთად და მათთან ერთად ინაწილებს სანგრული ცხოვრების ყველა სიმძიმეს. მის ხელში ყოველთვისაა საქაღალდე, რომელსაც არასოდეს არ უშვებს ხელიდან და რომლის მეშვეობითაც ახორციელებს სანგრების შემოვლას. ის ცნობილია, თავისი უანგარო მამაცობით და ძალზე პოპულარულია ჯარისკაცებში, რომლებიც ეძახიან მას ,,ჩვენი სანგრების გენერალს,,*

საბრძოლო დამსახურებისათვის 202-ე გორის ქვეითი პოლკის დროებითი მეთაურობისას 1917 წლის 4 მარტს დაჯილდოვდა გიორგის იარაღით.

იმავე წლის მარტიდან დროებით მეთაურობდა კავკასიის გრენადერთა დივიზიას.

1917 წლის 26 აპრილიდან იყო კავკასიის 1-ი გრენადერთა დივიზიის ბრიგადის მეთაურის თანამდებობაზე.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ იმყოფებოდა თადარიგში.

1918 წლიდან მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო ახალციხის გენერალ-გუბერნატორი და ტფილისის სამხედრო კომენდანტი.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, არტილერიის გენერლის სამედბეგ მეჰმანდაროვის (1855-1931), 1919 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით მიღებულ იქნა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში და დაინიშნა 2-ე ქვეითი დივიზიის უფროსის თანაშემწედ (ხანქენდის გარნიზონის უფროსის მოვალეობის შესრულებით), მოგვიანებით კი, 1920 წლის მარტში - განჯის გამაგრებული რაიონის უფროსად და განჯის სამხედრო სკოლის უფროსად.

დახვრეტილ იქნა წითლების მიერ ბაქოს აღების შემდეგ
( ზოგი მონაცემით დაახრჩვეს კასპიის ზღვაში, სხვა ცნობებით დახვრიტეს).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

,,წმ.სტანისლავის,,-მე-II (1899) და I-ი ხარ. (მახვილებით-1917)

,,წმ.ანას,,- მე-II (1906) ხარ.

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV (1910) და მე-III ხარ. (მახვილებით) ორდენებით.



**ზაქარია ვასილის-ძე ამაშუყელი**
**(30.06.1862 - 03.04.1942)**
**გენერალ-მაიორი (10.07.1917)**

დაიბადა აზნაურის ოჯახში.
საერთო განათლება მიიღო ვორონეჟის კადეტთა კორპუსში.
სამხედრო სამსახურში შევიდა 1881 წელს. 1883 წელს დაამთავრა ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელი (1-ი თანრიგით).
მსახურობდა ტვერის 43-ე დრაგუნთა პოლკში, მეთაურობდა ესკადრონს.

1911 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.
მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში. მეთაურობდა რეველის სასაზღვრო პოლკს.

1918-1919 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში, ცხენოსანი დივიზიის შტაბის უფროსად.

1919-1920 წლებში მონაწილეობდა ,,თეთრ,, მოძრაობაში. ყირიმის ევაკუაციამდე მსახურობდა ვრანგელის ,,რუსულ არმიაში,,

1920 წლის დეკემბერში გადაყვანილ იქნა ,,სელიმიეს,, ბანაკიდან კატაროში.

ემიგრაციაში ცხოვრობდა იუგოსლავიაში, სადაც გარდაიცვალა.
დაკრძალულია ბელგრადში, ახალ სასაფლაოზე.
საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო
წმ.გიორგის მე-IV ხარისხის ორდენით (1916 წლის 15 ოქტომბერს)და
,,წმ.სტანისლავის,,-მე-III (1890)
,,წმ.ანას,,- მე-III (1901) დამე-II ხარ.(მახვილებით-1915)
,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV ხარ.(მახვილებით და ბაფთით)

## ვასილ დიმიტრის-ძე კარგალეთელი
## (29.07.1881 - 1946)
## გენერალ-მაიორი (21.03.1920)

საერთო განათლება მიიღო ტფილისის 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში.

1899 წლის 2 სექტემბერს შევიდა სამხედრო სამსახურში იუნკერის რიგითი წოდებით მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში.

1901 წლის 13 სექტემბერს გამოშვებულ იქნა გვარდიის პოდპორუჩიკად ლაიბ-გვარდიის სანქტ-პეტერბურგის პოლკში.

1902 წლის 11 ივლისიდან 1903 წლის 17 აპრილამდე იმყოფებოდა გვარდიელ ქვეითთა თადარიგში.

1903 წლის 17 აპრილს გადაყვანილ იქნა გორის 259-ე ქვეით პოლკში. 1905 წლიდან-პორუჩიკია. 1908 წლიდან-შტაბს-კაპიტანი. 1911 წლიდან-კაპიტანი.

1913 წელს ვასილ დიმიტრის-ძე კარგალეთელმა წარმატებით დაამთავრა საიმპერატორო ნიკოლოზის სამხედრო აკადემია 1-ი თანრიგით.

აკადემიიდან გამოშვებისთანავე გენერალური შტაბის ბრძანებით მივლინებულ იქნა კავკასიის მე-2 მსროლელ პოლკში 1 წლით და 6 თვით ასეულის მეთაურისათვის საჭირო ცენზის გასავლელად.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915 წლის 2 თებერვალს დაინიშნა კავკასიის კაზაკთა 1-ი დივიზიის შტაბის უფროსის ადიუტანტად.

1916 წლის 27 აგვისტოს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება და დაინიშნა ჩრდილოეთის ფრონტის არმიების მთავარსარდლის შტაბის გენერალ-კვარტირმაისტერის სამმართველოს განყოფილების უფროსად.

1917 წლის 18 ივნისს დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროს ადიუტანტად.

1918-1919 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

1919 წლის 17 თებერვლიდან 15 ივლისამდე მსახურობდა საქართველოს დიპლომატიური მისიის სამხედრო ატაშედ აზერბაიჯანში.

1919 წლის 15 ივლისიდან მსახურობდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარში.

სამხედრო მინისტრის, არტილერიის გენერლის სამედბეგ მეჰმანდაროვის 1919 წლის 15 ივლისის № 325ბრძანებიდან:

> *«....გენერალური შტაბის პოლკოვნიკი არგალეთელი მიღებულ იქნას აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯარებში, გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს გენერალ-კვარტირმაისტერად ამა წლის 15 ივლისიდან.»*

ნოემბრის თვეში დროებით ასრულებდა გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობას.

1920 წლის 21 მარტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის № 6 ბრძანებით ,,სამხედრო წოდებების შესახებ ,, გენერალური შტაბის არმიის გენერალ-კვარტირმაისტერის თანამდებობის შემსრულებელს, პოლკოვნიკ ვასილ კარგალეთელს *,,განსაკუთრებული დამსახურებისათვის,,* მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება და დამტკიცებულ იქნა თანამდებობაში.

მე-11 წითელი არმიის ნაწილების მიერ, 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის დაკავების შემდეგ, ვასილ დიმიტრის-ძე კარგალეთელი დაინიშნა ახლად ფორმირებადი სპარსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავარსარდლად.

1920 წლის 4-5 ივნისს ღამით რეშტში (სპარსეთი) შეიქმნა ქუჩექ-ხანის დროებითი რევოლუციური მთავრობა, ხოლო რამოდენიმე დღეში-სპარსეთის რევოლუციური სამხედრო შტაბი, რომელშიც ჩართული იყო რუსეთის ქვეშევრდომობიდან ფორმალურად გამოსული ფლოტილიის დესანტის რაზმის მეთაური, ი.კოჟანოვი (*,,არდაშირი,,*) და სამხედრო კომისარი, ყაბარდოელი ბ.აბუკოვი.

სამხედრო მეზღვაურები შეადგენდნენ ბირთვს ფორმირებადი სპარსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წითელი არმიისა, რომელშიც შევიდნენ ჯენგელიელები და ბაქოდან გამოგზავნილი ,,წითელი ასქერები,,-აზერბაიჯანელები.
მაგრამ მათი საერთო რაოდენობა ივლისის დასაწყისისთვის ოდნავ აჭარბებდა 5 ათასკაცს, ხოლო სამეთაურო შემადგენლობა ძირითადად იყო წარმოდგენილი მუსავატ ოფიცრებით, რომლებიც გადავიდნენ აზერბაიჯანის წითელ არმიაში.

ერთი მათგანი, გენერალ-მაიორი ვ.კარგალეთელი (,,შაპური,,) ინიშნება წითელი სპარსელების არმიის მთავარსარდლად.

ივლისში დაიწყო პირველი მსხვილმასშტაბიანი შეტევა სამხრეთით - ყაზვინსა და თეირანზე, რომელსაც, სპარსეთის ბიუროსა და სპარსეთის არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ჩანაფიქრით უნდა მოეტანა ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება. თავიდან ოპერაცია ურიგოდ არ ვითარდებოდა. 31 ივლისს, დილით სპარსეთის წითელმა არმიამ დაიკავა გამაგრებული ქალაქი მენჯილი.

როგორც მიუთითებდა ვ.კარგალეთელი იმავე დღეს მოსკოვში გაგზავნილ დეპეშაში ლ.დ.ტროცკისადმი:

*,,ინგლისელებმა უკან დაიხიეს. ეს გამარჯვება მოპოვებულია იმ დღეს, როცა სპარსეთის რესპუბლიკის ჯარებისა და მისი რევოლუციური მასების სურვილით უუნარო ქუჩუქ-ხანის ნახევრად-ხანური მთავრობა შეცვლილია საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფ აქტიური ბრძოლის მთავრობით - სპარსეთის რევოლუციური კომიტეტით.*

*გაცნობებთ რა, თქვენ, დიდი რუსეთის წითელი არმიის ბელადს ჩვენი მე გთხოვთ თქვენ მიიტანოთ ეს ცნობა მისდამი და ჩვენი რწმენა, რომ მიუხედავად განსხვავებისა და შორი მანძილისა, პოლონეთის და მენჯილის ფრონტებისა, ჩვენ ვაწარმოებთ ერთს აერთო და დიდ წარმატებით ბრძოლას.,,*

15 აგვისტოს სპარსეთის წითელი არმია გადავიდა მორიგ შეტევაზე, მან მოახერხა კუინის უღელტეხილის ხელში ჩაგდება, გზა ყაზვინისა და თეირანზე ღია იყო, მაგრამ გადამწყვეტ

ბრძოლაში ყაზვინისათვის ინგლისელებმა და კაზაკთა დივიზიამ დაამარცხეს იგი.

მალევე, უცნობი მიზეზების გამო, 1920 წლის ნოემბერში ვასილ კარგალეთელი განთავისუფლებული იქნა თანამდებობიდან სერგო ორჯონიკიძის განკარგულებით. იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური მონაწილე.

1920 წლის ბოლოდან ცხოვრობდა სპარსეთში. აქტიურად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

იმ ხანებში ბევრ ქართველ ემიგრანტს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ მოუხდათ თავის გადარჩენა უცხოეთის მიწაზე. მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთმა შეძლო ადგილობრივ პირობებთან შეგუება. ეს იყო ქართული არმიის ყოფილი პოლკოვნიკი და აზერბაიჯანის არმიის ყოფილი გენერალი ვასილ კარგალეთელი.

ის ცხოვრობდა სპარსეთში, როგორც რიგითი მოქალაქე, ბრწყინვალედ ფლობდა სპარსულ ენას. დიდი ოჯახის პატრონ გენერალს ცხოვრება გაუჭირდა.

რომ არ მომკვდარიყო შიმშილისაგან, ის ყოველდღე გადიოდა ბაზარში და, მისივე სიტყვებით, შველოდა სახედრებისა და აქლემების ქარავნებს საპალნის ჩამოხსნა-აკიდებაში.

იგი ასე შოულობდა დღეში ორიოდე ყრანს (1ყრანი უდრიდა 30 კაპ.)

თანდათანობით მდგომარეობა ქვეყანაში შეიცვალა და დადგა ცვლილებების დრო.

1925 წელს ხელისუფლებაში მოვიდა რეზა-შაჰ ფეჰლევი (1876-1944), რომელმაც დაიწყო სპარსული ჯარის რეორგანიზაცია თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

მაშინ დასჭირდა მას ყოფილი გენერლის ვასილ კარგალეთელის, ანუ როგორც მას ეძახდა რეზა-შაჰი -გურჯი-ხანის დახმარება.

რეზა-ხანმა იგი დაიახლოვა და მისცა დავალება სამხედრო სახელმძღვანელოების შედგენისა. გურჯი-ხანმა დაიწყო თვით შაჰის და მისი გარემოცვისათვის სხვადასხვა სამხედრო ტრადიციების შესწავლა.

იყო რა რიგი სამხედრო სახელმძღვანელოს ავტორი, გენერალმა ვასილ კარგალეთელმა თარგმნა ისინი სპარსულ ენაზე და გამოსცა. შემდგომში ამ სამხედრო ნაშრომებისათვის ის აირჩიეს თეირანის საპატიო მოქალაქედ.




გენერალი ვასილ კარგალეთელი გარდაიცვალა 1946 წელს, როცა მას შეუსრულდა 65 წელი. როგორც ირანის ჯარის გენერალი ის დაკრძალეს უმაღლესი სამხედრო პატივით. დაკრძალვა მოხდა თვით შაჰის და მისი გარემოცვის თანდასწრებით, თეირანში რუსული სასაფლაოს ტერიტორიაზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის დ ასამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1913) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1907) ხარ.,

«თამარ მეფის» (საქართველო) ორდენის მე-III ხარ. (1925).



**გენადი ნიკოლოზის-ძე თარხანოვი, თავადი**
**(08.09.1854 - 26.04.1928)**
**გენერალ-ლეიტენანტი(06.12.1916)**

განათლება მიიღო სახლში.
სამხედრო სამსახურში შევიდა 1871 წელს.

დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელი და 1874 წელს გამოშვებული იქნა პოდპორუჩიკად მესანგრეთა მე-2 ბატალიონში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომში.

დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო აკადემია (1-ი თანრიგით).

1897 წლამდე მსახურობდა ტფილისის საინჟინრო დისტანციის საქმეთა მწარმოებლად.

1897-1900 წლებში მსახურობდა ტფილისის საინჟინრო დისტანციის საქმეთა მწარმოებლად.

1900-1904 წლებში იმყოფებოდა მთავარი საინჟინრო სამმართველოს განკარგულებაში.

1900 წლის 9 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1904-1910 წლებში მსახურობდა ტფილისის საინჟინრო დისტანციის უფროსად.

1910-1912 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქი სინჟინერთა უფროსის თანაშემწედ.

1910 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა ,,გენერალ-მაიორის,, სამხედროწოდება.

1912 წლიდან მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის საბინაო კმაყოფის სამმართველოს უფროსად.

1918-20 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში.

უკანასკნელი თანამდებობა - საინჟინრო სამმართველოს უფროსი.

1920 წლიდან თადარიგში იყო. ცხოვრობდა ტფილისში, სადაც იქნა დაკრძალული ძველ ვერის სასაფლაოზე. საფლავის ადგილსამყოფელი დგინდება (ავტ.შენიშვნა)

სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

,,წმ.სტანისლავის,,-მე-III (მახვილებითა და ბაფთით -1878) და I–ი ხარ.(1913),

,,წმ.ანას,,- მე-II (1893) და I–ი ხარ.(1916)

,,წმ.ვლადიმერის,, მე-III ხარ.(1906) ორდენებით.



**ალექსანდრე მიხეილის-ძე ფურცელაძე**
**გენერალ-მაიორი (17.10.1915)**

ალექსანდრე მიხეილის-ძე ფურცელაძე იყო გენერალ-მაიორ მ.ნ. ფურცელაძისა და გენერალ-მაიორ გ.მ. ფურცელაძის ძმა.

მსახურობდა ველიკოლუცკის მე-12 ქვეით პოლკში.

1913 წლის 30 დეკემბერს წელთა ნამსახურობით მიენიჭა კაპიტნის წოდება.

1914 წლის 15 აგვისტოს მოწინააღმდეგესთან გამოჩენილი წარმატებისათვის მიენიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება.
პოლკოვნიკად ყოფნისას და ველიკოლუცკის მე-12 ქვეით პოლკის მეთაურობისას დაჯილდოვდა ,,წმ.გიორგის,, მე-IVორდენით (1915 წლის 17 ოქტომბერი) და გიორგის იარაღით (1917 წლის 27 მარტი)

1918-20 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში

1919 წლის 22 სექტემბრამდე მსახურობდა სამხედრო მინისტრთან განსაკუთრებულ საქმეთა გენერლად.

1919 წლის 22 სექტემბრიდან მსახურობდა ადგილობრივი ბრიგადის სამმართველოს უფროსად. ამავდროულად 1919 წლის 13 ნოემბერს დაინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯარის ყველა სამხედრო ნაწილების, სამმართველოების და დაწესებულებების უცაბედითი შემოწმების ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

,,წმ.ანას,,- მე-II ხარ.(მახვილებით-1915)

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV (მახვილებით და ბაფთით-1915)

## კონსტანტინე დავითის-ძე ჩხეიძე, თავადი
## (10.08.1853 - 1920 წ.შ.)
## გენერალ-მაიორი (28.03.1910)

იყო ქუთაისის გუბერნიის მკვიდრი.

დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია.

1877 წელს დაამთავრა ტფილისის იუნკერთა ქვეითი სასწავლებელი.

მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის (1877-1878) და რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომებში.

გადიოდა სამხედრო სამსახურს ბაქოს 153-ე ქვეით პოლკში.

1904 წლის 2 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

ომის დროს მიიღო კონტუზია და იყო მიწერილი დაჭრილთა მე-3 კლასთან.

1910 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით.

1915 წლის 29 სექტემბრიდან მსახურობდა ერევნის საოლქო სასამართლოს საპატიო სამომრიგებლო მოსამართლედ.

1918-20 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანისჯარში

1919 წლის 5 ოქტომბრიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში, სადაც იქნა დანიშნული ხაჩმასის რაზმის დროებით მეთაურად.

1919 წლის 1 დეკემბრამდე მსახურობდა ყუბის მე-4 ქვეით პოლკში, ხოლო 1919 წლის 1 დეკემბრიდან სამხედრო სასწავლებლის უფროსის თანამდებობაზე.

სამხედრო უწყების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ოფიცერთა ეროვნული კადრების მომზადება. ძირითადი როლი აქ მაინც ენიჭებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრაპორშჩიკთა სკოლას, რომელიც შეიქმნა 1918 წლის ივნისში. მის ბაზაზე, 1919 წლის ოქტომბერში შეიქმნა სამხედრო სასწავლებელი, რომელიც შედგებოდა ქვეითი, საარტილერიო, საინჟინრო და აგრეთვე სპეციალური ქურთული განყოფილებისგან.

ქურთული განყოფილება ამზადებდა ოფიცრებს ახლადფორმირებადი ქურთული ბატალიონისა და ქურთული ცხენოსანი დივიზიონისთვის, რომლებიც მობილიზაციის დროს უნდა გაშლილიყვნენ მსროლელ 4-ბატალიონიან და ცხენოსან 4-ასეულიან პოლკებში.

მომდევნო ბედი უცნობია (ავტ.შენიშვნა)

დაჯილდოებული იყო

,,წმ.სტანისლავის,,-მე-II (მახვილებით -1904)

,,წმ.ანას,,- მე-III (მახვილებითა და ბათით-1904)

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IVხარ.(მახვილებითა და ბაფთით-1906).

## 1918-1920 წლებში აზერბაიჯანის ჯარში საქართველოდან მოსამსახურე უმცროს, უფროს ოფიცერთა და სამოქალაქო პირთა სია



1.ევგენი გენადის-ძე თარხანოვი, თავადი, გენერალ-ლეიტენანტ გ.ნ.თარხანოვის შვილი, პოლკოვნიკი (24.03.1920), (10.12.1881 – 1954) –არტილერისტი,1920 წლის 18 თებერვლიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიის ცალკეული საჰაუბიცო დივიზიონის 1-ი ბატარეის მეთაურად.

2.ბაბილუა -პოლკოვნიკი. 1919 წლის 1 სექტემბრიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში-გეოქჩაის მე-6 ქვეით პოლკში.

3.კონსტანტინე ლუარსაბის-ძე კორინთელი
პოლკოვნიკი (26.12.1919)
აზერბაიჯანის ჯარებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ 1919 წლის 26 დეკემბრის სამხედრო უწყების № 595 ბრძანება მის მიმართ უარყოფილი იქნას.



4.გიორგი მიხეილის-ძე მაჭუტაძე, თავადი
პოლკოვნიკი.1918 წლამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს აღმოსავლეთ-ციმბირის მე-9 მსროლელ პოლკში. გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში ბაქოს მე-5 ქვეითი პოლკის მეთაურის თანაშემწედ სამწყობრო დარგში.
1920 წლის 10 იანვრიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

5.ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ტუმანოვი, თავადი
(1866-1920), პოლკოვნიკი (1915)
გადიოდა სამხედრო სამსახურს ყუბის მე-4 ქვეითი პოლკის სამეურნეო ნაწილის უფროსად.

6.ილია კონსტანტინეს-ძე ნიჟარაძე
(1863-1920 წ.შ.), პოლკოვნიკი (1915)
1919 წლის 20 ივნისიდან მსახურობდა ბაქოს მე-5 ქვეითი პოლკის სამეურნეო ნაწილის უფროსად.



7.მიხეილ ლევანის-ძე შერვაშიძე, თავადი
(1871-1920), პოლკოვნიკი (1915)
გადიოდა სამხედრო სამსახურს ბაქოს მე-5 ქვეით პოლკში.
1919 წლის 25 ნოემბრამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს
აზერბაიჯანის ჯარში.

8.პავლე ნიკოლოზის-ძე ამაშუყელი
პოდპოლკოვნიკი
1919 წლის 1 ოქტომბრამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს
აზერბაიჯანის არმიის ჯევანშირის 1-ლპოლკში.1919 წლის 1
ოქტომბრიდან მსახურობდა გეოქჩაის მე-6 ქვეით პოლკში.

9. მიხეილ ავაკუმის-ძე გეგელაშვილი
პოდპოლკოვნიკი
1919 წლის 20 აგვისტოდან გადიოდა სამხედრო სამსახურს
აზერბაიჯანის ჯარებში. აზერბაიჯანის ჯარში გადიოდა
სამხედრო სამსახურს მე-2 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროს
ადიუტანტად ქ.განჯაში.

10.გიორგი დიმიტრის-ძე ქოჩლამე - პოდპოლკოვნიკი (1905)
1916 წლიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს კავკასიის მე-2 რკინიგზის ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე.
1918 წლიდან მსახურობდა სამხედრო სარკინიგზო სკოლის უფროსად სადგ.განჯაში.
1919 წლის 20 სექტემბრიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში.

11.პლატონ პლატონის-ძე მიქელაძე,თავადი
პოდპოლკოვნიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიის საპოზიციო ბატარეების უფროსად, № 1 ჯავშნოსანი მატარებლის ბატარეების უფროსად. 1918 წლამდე მსახურობდა ნოვოგეორგიევსკის საციხოვნო არტილერიაში,1, 2, 3, 4, 5 და მე-6 ნოვოგეორგიევსკის საციხოვნო საარტილერიო ბატალიონებში.

12.ოდიშელიძე-პოდპოლკოვნიკი
1919 წლის 1 სექტემბრიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში.მსახურობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს საინჟინრო სამმართველოს ავტონაწილის გამგედ.

13.სიმონ ფხაკაძე-პოდპოლკოვნიკი
1920 წლის 17 იანვრამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის თათართა 1-ლ ცხენოსან პოლკში.
1920 წლის 17 იანვრიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს შაქის მე-3 ცხენოსანი პოლკის მეთაურის თანაშემწედ სამეურნეო დარგში ქალაქ განჯაში.

14.ილარიონ ვასილის-ძე სვანაძე-პოდპოლკოვნიკი
1918 წლამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიის შამახის ადგილობრივ რაზმში, ხოლო 1919 წლის 29 ივნისს მსახურობდა ქალაქ განჯის კომენდანტის თანამდებობაზე.

15.კონსტანტინე მოსეს-ძე ცოცხალაიშვილი - პოდპოლკოვნიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში განჯის 1-ი ქვეითი დივიზიის შტაბის დავალებათა ოფიცრის თანამდებობაზე.
1918 წლამდე მსახურობდა ტრანსკასპიის მე-2 მსროლელ ბატალიონში.

16.ნიკოლოზ ლევანის-ძე ერისტოვი, თავადი
პოდპოლკოვნიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში განჯის ცხენოსანი დივიზიის შტაბის უფროსად.
1918 წლამდე მსახურობდა ტვერის მე-16 დრაგუნთა პოლკში.

17.აბაშიძე, თავადი-შტაბ-როტმისტრი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში განჯის მე-2 ქვეითი დივიზიის შტაბის ადიუტანტის თანამდებობაზე.

18.აბაშიძე, თავადი -შტაბ-როტმისტრი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში კავშირგაბმულობის უფროსის თანამდებობაზე.

19.პავლე ნიკოლოზის-ძე ციციანოვი, თავადი
შტაბ-როტმისტრი
1919 წლის 1 დეკემბრამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს თათართა 1-ლ ცხენოსანი პოლკის უფროს ადიუტანტად.
1919 წლის 1 დეკემბრიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიის ცხენოსანი დივიზიის შტაბში.

20.ირაკლი ავალიანი-კაპიტანი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში ღუნიბის მე-4 ქვეითი ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე.

21. ბიძინა ქუთათელაძე -კაპიტანი
1919 წლის 20 ივნისამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში. გადიოდა სამხედრო სამსახურს ბაქოს მე-5 ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე.

22. დავით ვაჩნაძე, თავადი -კაპიტანი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში ლენქორანის სარეზერვო ბატალიონის სამეურნეო ნაწილის უფროსის თანამდებობაზე. 1918 წლამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს კაპიტნად გორის 259-ე ქვეით სარეზერვო პოლკში.

23. გედევანოვი - კაპიტანი,
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიის ყუბის მე-2 ქვეით პოლკში.
1919 წლის 20 ივნისიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის არმიის სამხედრო სამსახურში.

24.მიხეილ ვლადიმერის-ძე გედევანოვი -კაპიტანი,
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში ყუბის მე-4 ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე.




25. ირაკლი დიმიტრის-ძე ჯორჯაძე, თავადი, კაპიტანი,
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს გენერალ-კვარტირმაისტერის განყოფილების ადიუტანტის უფროსი თანაშემწის თანამდებობაზე.1919 წლის 1 სექტემბრიდან მსახურობდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

26.კიკნაძე- კაპიტანი
1920 წლის 27 იანვრამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს უფროსი ადიუტანტის თანამდებობაზე

27.ვლადიმერ სამუელის-ძე სიამაშვილი-კაპიტანი,
1919 წლის 8 ივლისიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში ბაქოს მე-5 ქვეითი პოლკის მე-2 ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე.

28.კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე ჭიჭინაძე -კაპიტანი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში ბაქოს მაზრის სამხედრო უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე. 1920 წლის 1 თებერვლიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

29.ზურაბ ღოღობერიძე -შტაბს-კაპიტანი,
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის გეოქჩაის მე-6 ქვეით პოლკში.1920 წლის 8 აპრილიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანისჯარის სამხედრო სამსახურში.

30. ივანე თევდორეს-ძე მაისურაძე-შტაბს-კაპიტანი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის 1-ი საარტილერიო ბრიგადის კავშირგაბმულობის უფროსის თანამდებობაზე.

31. ვალერიან ბესარიონის-ძე ნიშნიანიძე- შტაბს-კაპიტანი,
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიის მესანგრეთა სკოლაში.1920 წლის 2 აპრილიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

32. აკაკი იოსების-ძე ხარაიძე-შტაბს-კაპიტანი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიაში
1919 წლის 20 ივნისიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს ბაქოს მე-5 ქვეით პოლკში

33.სიმონ ზაქარიას-ძე წერეთელი, თავადი -შტაბს-კაპიტანი
გადიოდა სამხედრო სამსახურს ქართული ჯარის მესანგრეთა ბატალიონში. 1919 წლის 1 სექტემბრიდან 1920 წლის 23 დეკემბრამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის მესანგრეთა სკოლაში და ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ხაჩმასის რაზმში გამაგრებულ საბრძოლო პოზიციების შექმნაში.

34.ლევან ამილახვარი,თავადი - პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს თათართა 1-ი ცხენოსანი პოლკის მე-2 ასეულის მეთაურის თანამდებობაზე. 1919 წლის 28 აგვისტოდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

35.ქრისტეფორე ამილახვარი, თავადი-პორუჩიკი,
გადიოდა სამხედრო სამსახურს თათართა 1-ლ ცხენოსან პოლკში. 1919 წლის 5 ნოემბრიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანისჯარში.

36. ბასარია
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიის ბაქოს მე-5 ქვეით პოლკში.1919 წლის 9 ივლისიდან ივლისიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის არმიის სამხედრო სამსახურში.

37.ზია -ბეგ ვაჩნაძე-პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს
ზაქათალას მე-2 ქვეითი პოლკის 1-ი ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე. 1919 წლის 7 მაისიდან 1920 წლის 19 აპრილამდე იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

38.დათიაშვილი-პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს
ყუბის მე-2 და მე-4 ქვეით პოლკებში. 1919 წლის 15 ივნისიდან 6 სექტემბრამდე იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

39.იოსებაშვილი-პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს
საინჟინრო სამმართველოს ავტონაწილის გამგის თანაშემწის
თანამდებობაზე.1919 წლის 1 სექტემბრიდან იმყოფებოდა
აზერბაიჯანის არმიის სამხედრო სამსახურში.

40.სოლომონ ქავთარაძე-პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
№ 3 ჯავშანმატარებლის უფროსის თანამდებობაზე
1920 წლის 20 იანვრიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს
აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

41.ნიკოლოზ ნესტორის-ძე კანდელაკი-პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში № 2 და № 3
ჯავშანმატარებლის უფროსის თანამდებობაზე.
1918 წლამდე იმყოფებოდა კავკასიის მე-20 და 1-ლ მესანგრეთა
ბატალიონების სამხედრო სამსახურში.

42.კირვალიძე -პორუჩიკი

43.კორძახია-პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
განჯის მე-3 ქვეითი პოლკის ეშელონის უფროსის თანამდებობაზე
1919 წლის 20 ივნისიდან 24 სექტემბრამდე იმყოფებოდა
აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

44.ილია გრიგოლის-ძე მაჩაბელი, თავადი, პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიის
განჯის მე-3 ქვეით პოლკში.
1919 წლის 4 ნოემბრამდე იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის
სამხედრო სამსახურში.

45.ალექსი მიხეილის-ძე ტუმანოვი,თავადი, პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის 1-ი საარტილერიო ბრიგადის მეთაურის ადიუტანტის თანამდებობაზე.

46.ტუმანოვი, თავადი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის 1-ლ საარტილერიო ბრიგადაში.1919 წლის 20 ივნისიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

47.ჭეიშვილი-პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის ყუბის მე-4 ქვეით პოლკში.1919 წლის 1 ოქტომბამდე იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

48. ივანე ილიას-ძე ჯიჯავაძე, თავადი -პორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის 1-ლ საარტილერიო ბრიგადაში, 1919 წლის 20 ივნისიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.



49.ნიკოლოზ დავითის-ძე ციციანოვი, თავადი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის მე-2 საარტილერიო ბრიგადაში. 1919 წლის 15 ნოემბრამდე იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

50. მიხეილ ნიკოლოზის-ძე ციციანოვი,თავადი, პორუჩიკი,
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის
მე-2 საარტილერიო ბრიგადის მე-5 სამთო ბატარეის მეთაურის
თანამდებობაზე.

51.ნიკოლოზ გოგორიშვილი-პოდპორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
ხანქენდის ადგილობრივი ლაზარეთის მეურნეობის გამგის
თანამდებობაზე.1920 წლის 21 თებერვლიდან იმყოფებოდა
აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

52. პარმენ ბართლომეს-ძე დაუშვილი-პოდპორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
ბაქოს მე-5 ქვეით პოლკის მე-3 ასეულის მეთაურის
თანამდებობაზე.
1919 წლის 20 ივნისიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის
სამხედრო სამსახურში.

53.სოლომონ ილიას-ძე ჯიჯავაძე,თავადი, პოდპორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
ბაქოს მე-5 ქვეითი პოლკის მე-2 ასეულის მეთაურის და მე-4 სამთო
ბატარეის მეთაურის თანამდებობებზე.

54. მამალაძე - პოდპორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
განჯის მე-3 ქვეით პოლკში.
1919 წლის 20 ივნისიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის
სამხედრო სამსახურში.

55.ჭანტურია-პოდპორუჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში სამხედრო-
ტოპოგრაფიული განყოფილების უმცროსი საქმის მწარმოებლის
თანამდებობაზე. 1919 წლის 26 დეკემბრამდე იმყოფებოდა
აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

56.მიხეილ ანტონის-ძე მგალობლიშვილი-კორნეტი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში შაქის მე-3 ცხენოსან პოლკში. 1919 წლის 22 სექტემბრამდე მსახურობდა შაქის მე-3 ცხენოსან პოლკში, 1919 წლის 22 სექტემბრამდე იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

57. ხომერიკი -პრაპორშჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში განჯის მე-3 ქვეით პოლკში. 1919 წლის 22 სექტემბრამდე იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

58.ჭიპაძე -პრაპოშჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს კავშირგაბმულობის რაზმის უფროსის თანამდებობაზე.
1919 წლის 10 დეკემბრიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

59.პავლე ივანეს-ძე ავალიანი-პრაპორშჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში მე-2 ქვეითი დივიზიის ინტენდანტის დავალებათა ობერ-ოფიცრის თანამდებობაზე.1919 წლის 10 აგვისტოდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

60.გაბუნია-პრაპოშჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში განჯის საკომენდანტო სამმართველოს მე-3 ქვეითი პოლკის უმცროსი ადიუტანტის თანამდებობაზე.

61.გუგუშვილი-პრაპორშჩიკი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში თათართა 1-ლ ცხენოსან პოლკში.
1919 წლის 3 ივლისიდან 12 დეკემბრამდე იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

62. კვიტაშვილი-სასტატო მრჩეველი, ვეტერინარი ექიმი,
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
სამხედრო-ვეტერინარული ნაწილის გამგედ.
1919 წლიდან იმყოფებოდა აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო
სამსახურში.

63.იორდანიშვილი -მკურნალი, ყუბის სამაზრო ექიმი
1920 წლის 15 თებერვლიდან 1920 წლის 20 მარტამდე გადიოდა
სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
მე-2 საარტილერიო ბრიგადის მე-2 სამთო დივიზიონის
სანიტარული ნაწილის გამგის თანამდებობაზე.

64.მიქელაძე, თავადი
სამხედრო უწყების სამოქალაქო წოდების პირი
გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარში
ბაქოს სანივთე საწყობის უფროსის თანამდებობაზე.

**ნაწილი II**
**აზერბაიჯანელები -სამხედრო მოღვაწეები საქართველოდან**



**ელდარ ასქერ ოღლი აღაევი**
**(29.09.1955-17.05.2013)**
**პოლკოვნიკი**
**აზერბაიჯანის ეროვნული გმირი**
**(04.04.1995)**

დაიბადა ქალაქ თბილისში, საქართველო სსრ, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.
შემდგომში მისი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად ბაქოში. ელდარ აგაევი სწავლობდა ბაქოს მე-20 და 137-ე საშუალო სკოლებში.

1972 წელს ელდარ აგაევმა ჩააბარა აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის ბაქოს უმაღლეს საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებელში.

1984-86 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საბჭოთა კავშირის ჯარების შეზღუდულ კონტინგენტში, სადაზვერვო ბატალიონის დაზვერვის უფროსად, შემდეგ სადაზვერვო ბატალიონის მეთაურად.

1988 წლიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს მოტომსროლელი შენაერთის მეთაურის თანამდებობაზე საბჭოთა კავშირის დაჯგუფებაში გერმანიაში.

ქვეყნისათვის უმძიმეს დროში მან გამოთქვა სურვილი აზერბაიჯანში დაბრუნებაზე და ქვეყნის ტერიტორიალური მთლიანობის დაცვაში მონაწილეობის მიღებაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობამ შესთავაზა მას მაღალი თანამდებობა სამხედრო უწყებაში, მაგრამ ოფიცერმა ამჯობინა გაეგრძელებინა სამხედრო სამსახური სპეციალური დანიშნულების ჯარებში.

1992 წელს ელდარ აღაევი პირადად მონაწილეობდა აზერბაიჯანის არმიის სპეციალური დანიშნულების პირველი ბატალიონის პირადი შემადგენლობის გაწვევასა და მის სწავლებაში. შედეგად ჩამოყალიბდა 775-ე სარეიდო რაზმი.

ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ ელდარ აღაევის მეთაურობით მიიღო მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში მთელ ფრონტზე. მათ შორის 18 სამხედრო მოსამსახურე გახდა ეროვნული გმირი, ზოგიერთები კი სიკვდილის შემდეგ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის 1995 წლის 4 აპრილის № 307 ბრძანებით ელდარ ასქერ ოღლი აღაევს მიენიჭა ეროვნული გმირის წოდება.

შემდგომ წლებში მუშაობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამხედრო მომზადების კათედრის უფროსად, ასწავლიდა სამხედრო აკადემიაში, შემდეგ გავიდა თადარიგში.

2012 წლიდან ელდარ ასქერ ოღლი აღაევი მსახურობდა აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ინსპექტორად.

დაჯილდოებული იყო ,,აზერბაიჯანის დროშის,, ორდენით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ.ბაქოში სამხედრო პატივით.



**ჰასან-ბეგ აღალაროვი**
**(1812- 1881)**
**გენერალ-ლეიტენანტი (08.11.1877)**

დაიბადა ტფილისში, კეთილშობილურ ოჯახში.
საერთო განათლება მიიღო ტფილისის გიმნაზიაში.

1834 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში, ამიერკავკასიის მუსლიმ ცხენოსანთა პოლკში. 1834 წლის ნოემბერში გადიოდა სამხედრო სამსახურს ამიერკავკასიის მუსლიმ ცხენოსანთა პოლკის შემადგენლობაში (პოლონეთის სამეფო), რომელიც მივლინებული იყო ვარშავაში.

1835 წლის 8 ოქტომბერს მიენიჭა პრაპორშჩიკის წოდება.

1849 წელს ამიერკავკასიის მუსლიმ ცხენოსანთა პოლკი მონაწილეობდა უნგრეთის აჯანყების დაშოშმინებაში. ჰასანბეგ აღალაროვი დებრეცენისათვის ბრძოლაში ჰასანბეგ აღალაროვმა ხელთ იგდო მოწინააღმდეგის 4 ზარბაზანი.

ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, პოლკის მეთაურის თანაშემწე, პოლკოვნიკი აღალაროვი 1849 წლის 28 აგვისტოს დაჯილდოვდა ,,წმინდა გიორგის,, მე-IV ხარისხის ორდენით. წარდგინების ფურცელში ეწერა:

*,,იმისთვის რომ, აჯანყებულ უნგრელებთან ბრძოლაში დებრეცენთან,უნგრეთის აჯანყების დაშოშმინებისას, 1849 წლის 28 აგვისტოს იმყოფებოდა რა ამიერკავკასიის მუსლიმ ცხენოსანთა პოლკის სამივე ასეულთან ერთად, მარცხენა ფლანგზე განხორციელებული შეტევის დროს, განსაკუთრებული სიმამაცით ეცა მოწინააღმდეგის ქვეითებს და სრულიად გაანადგურა იგი, ხელთ იგდო ზარბაზანი და დასამუხრტი ყუთი,შემდეგ დაედევნა ქალაქში მოწინააღმდეგეს, აიყვანა 300 ტყვე და მთელი კოლონა.,,*

1852 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის მუსლიმ ცხენოსანთა პოლკის მეთაურად.

1857 წლის 17 აპრილს მიენიჭა ,,გენერალ-მაიორის,, სამხედრო წოდება და დაინიშნა კავკასიის არმიასთან მყოფ გენერლად.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ხელმძღვანელობდა სამხედრო-ტოპოგრაფიულ და სადაზვერვო სამსახურებს.

1881 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან ჯანმრთელობის გამო და მალევე გარდაიცვალა.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

,,წმ.სტანისლავის,,-მე-III (1840) და I-იხარ.(1863)

,,წმ.ანას,,- მე-I ხარ.(1871)

,,წმ.ვლადიმერის,, მე-III(1860) დამე-II ხარ. (მახვილებით-1878)

მიღებული ჰქონდა საზღვარგარეთის ორდენები:

,,რკინის გვირგვინის,, მე-II ხარ. (1850) და ,,ლეოპოლდის,, მე-II ხარ.(ავსტრო-უნგრეთი-1853),

,,წითელი არწივის,,მე-III ხარ. (პრუსია-1853)

მისი პორტრეტი, დახატული მხატვარ კ.კ.კანევსკის მიერ ვარშავაში 1856 წელს, ინახება აზერბაიჯანის ისტორიის მუზეუმში.



**ფარჰად-ბეგ აბულფათ-ბეგ-ოღლი აღალაროვი**
**(10.11.1868-1921)**
**პოლკოვნიკი (22.08.1914)**

დაიბადა ტფილისში, კეთილშობილურ ოჯახში.

1886 წელს დაამთავრა შუშას რეალური სასწავლებელი.

1888 წელს დაამთავრა ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელი, რომლიდანაც გამოშვებულ იქნა კორნეტად ტვერის 43-ე დრაგუნთა პოლკში.1912 წლამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს გლუხოვის მე-6 დრაგუნთა პოლკში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ჰქონდა თადარიგის პოლკოვნიკის წოდება. 1914 წლის 22 ნოემბერს დანიშნულ იქნა იმავე წოდებით კავკასიის სამხედრო ოლქის რეზერვში.

1916 წლის 26 ივლისიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს სამხედრო დროის კავკასიის 23-ე სატრანსპორტო ბატალიონის მეთაურად.

1917 წლის ბოლოს ჩამოვიდა აზერბაიჯანში და კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდლის, ინფანტერიის გენერლის მ.ა.პრჟევალსკის 1917 წლის 11 დეკემბრის № 155 ბრძანების თანახმად, შევიდა ახლად ფორმირებულ მუსლიმთა კორპუსში, რომელსაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, 1918 წლის 26 ივნისს ეწოდა აზერბაიჯანის ცალკეული კორპუსი (მეთაური- დასავლეთის ფრონტის მე-10 არმიის ყოფილი სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ალი-აღა შიჰლინსკი).

1918 წლის ივლისის დასაწყისში კორპუსი დაიშალა და მისი ნაწილები, ახლად ჩამოსულ კავკასიის მე-5 და ჩანახგალინის თურქულ დივიზიებთან ერთად შევიდა ახლადჩამოყალიბებულ ნური-ფაშას კავკასიის ისლამური არმიის შემადგენლობაში.

პოლკოვნიკი ფარჰად ბეგ

პოლკოვნიკი ფარჰადბეგ აღალაროვი გადიოდა სამხედრო სამსახურს ყარაიაზის (თათართა) 1-ი ცხენოსანი პოლკის მეთაურის თანაშემწედ.

1919 წლის გაზაფხულზე დაინიშნა თათართა 1-ლი ცხენოსანი პოლკის მეთაურად.

1919 წლის 31 მარტს სამხედრო მინისტრის არტილერიის გენერალ სამედბეგ მეჰმანდაროვის ბრძანებით დაინიშნა ბაქოში შესასვლელ რაზმის უფროსად, და ამავდროულად ქალაქ ბაქოს გარნიზონის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად

1919 წლის 17 ივნისს დაინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრთან მყოფ დავალებათა შტაბ-ოფიცრად.

1919 წლის 30 აგვისტოს სამხედრო მინისტრის ბრძანებით დაინიშნა ქალაქ ბაქოს სამხედრო პორტის კომენდანტად.

აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ მსახურობდა აზრბაიჯანის წითელ არმიაში. 1921 წელს რეპრესირებულ იქნა.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

„წმ.სტანისლავის„-მე-III ხარ. (1905)

„წმ.ანას„- მე-III  (1905) და მე-II ხარ. (1905)



**შამისთან ალიზამანლი**
**(დ. 04.02.1959)**

დაიბადა ქ.მარნეულში, საქართველოს სსრ.

დაამთავრა კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი.

1986 წლის მაისიდან მუშაობდა აზერბაიჯანის ტელევიზიის დიქტორად.

1992 წლის ივლისიდან მუშაობდა აზერბაიჯანის რადიოს სამხედრო დიქტორად, კითხულობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ცნობებს.

1993 წლიდან დაიწყო მისი, როგორც მომღერლის კარიერა. ის ასრულებს ისეთ სიმღერებს, როგორიცაა:

,,მამაცი ჯარისკაცი,, ,,ბატონი ლეიტენანტი,,,,პირველი ბატალიონი,, ,,შევარდნები,, ,,სამშობლოს საკუთრება,, და სხვ. სიმღერები.

მონაწილეობდა ფილმების გახმოვანებაში:

,,უჩვეულო ხალხი, რომლებსაც მოაქვთ ცუდი ამბები,, 1993 წ.,,,გუდიალჩაი,,-ფილმი, 2001 წ., ,,ქოროღლი,,-ფილმი, 2003 წ., ,,უდიდესი მხედართმთავრები,,-ფილმი, დიდი ბრიტანეთი,2003 წ. და სხვ.

შამისთან ნაზირლი გამოდიოდა საკონცერტო პროგრამით 1998, 1999 და 2002 წლებში გერმანიის, თურქეთის, რუსეთის,

ყაზახეთის, აგრეთვე უკრაინის და თურქმანეთის სხვადასხა ქალაქებში.

ის მონაწილეობდა ,,საერთაშორისი სამუსიკო ფესტივალებში,, შვეიცარიაში. გარდა ამისა მონაწილეობდა თურქი ხალხის სხვადასხვა ყრილობებში, აგრეთვე მსოფლიოს აზერბაიჯანელთა კონგრესზე ქ.დონეცკში (უკრაინა).

დღესდღეობით არის თურქეთის სახელმწიფო ტელევიზია – TRT-ს აზერბაიჯანის ბიუროს თანამშრომელი.



**რამიზ ჩობან ოღლი ალმაზოვი**
**(დ. 11.04.1960)**
**შინ.სამს. გენერალ-ლეიტენანტი (20.02.2016)**

დაიბადა დმანისის რაიონის სოფელ დალიარში (საქართველოს სსრ).

გადიოდა სამსახურს ხაკასიის რესპუბლიკის (რუსეთის ფედერაცია) შსს-ს შრომა-გასწორების კოლონიის უფროსის მოადგილედ უსაფრთხოების დარგში, შრომა-გასწორების კოლონიის უფროსად, რუსეთის იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილედ ხაკასიის რესპუბლიკაში.

2011 წლის დეკემბრიდან დღემდე არის სასჯელ-აღსრულებითი ფედერალური სამსახურის სამმართველოს უფროსი სამარის ოლქში.

დაჯილდოებულია 11 მედლით.



**ამრაჰ ქარა ოღლი ასლანოვი**

**(01.06.1920-19.04.1982)**

დაიბადა ბორჩალოს მაზრის სოფელ თაზაქენდში (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა). დაამთავრა 3 კლასი. შრომობდა ბრიგადირად კოლმეურნეობაში.

1939 წლიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს წითელ არმიაში,102-მსროლელ პოლკის მსროლელად.

დიდ სამამულო ომში იბრძოდა 1941 წლის ივნისიდან. ამრაჰ ასლანოვმა განვლო საბრძოლო გზა მოსკოვიდან ბერლინამდე.

1944 წლის 20 მარტს ვიტებსკის სამხრეთით, 335-ე ცალკეული მესანგრეთა ბატალიონის ( დასავლეთის ფრონტი,33-ე არმია,199-ე მსროლელი დივიზია) მესანგრემ, წითელარმიელმა ასლანოვმა

მოხსნა 18 ნაღმი და წაიყვანა ტანკები მოწინააღმდეგის დანაღმული ველით. შემდეგ, როცა ჰიტლერელთა პოზიციების აღებისას დაამაგრა 40 ნაღმი, რითაც ხელი შეუწყო მოწინააღმდეგის შეკავებას.

1944 წლის 20 მაისის რიგითი ასლანოვი, ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა მტერთან

ბრძოლაში, დაჯილდოვდა ,,დიდების,, ორდენის მე-III ხარისხით (№ 69310)

1945 წლის 22 იანვარს ქალაქ ალენშტაინისათვის ბრძოლაში (ახლ. ქ. ოლშტინი, პოლონეთი), 28-ე გვარდიის კავალერიის პოლკის მესანგრე (მე-2 ბელარუსის ფრონტი, მე-3 გვარდიის კავალერიის კორპუსი, მე-6 გვარდიის კავალერიის დივიზია) ასლანოვმა გაანადგურა 4 და ტყვედ აიყვანა მოწინააღმდეგის 3 ჯარისკაცი. აგრეთვე, გზის განაღმვისას გაუვნებელყო 8 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი.

1945 წლის 6 მარტს წითელარმიელი ასლანოვი დაჯილდოვდა ,,დიდების,, ორდენის მე-II ხარისხით (№ 10658)

1945 წლის 27 აპრილს, დასახლებული პუნქტის ანგერმიუნდეს (გერმანია) ჩრდილო-დასავლეთით ასლანოვმა მებრძოლებთან ერთად დაშალა 3 ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლება, პირადად გაუვნებელჰყო 33 ნაღმი.1945 წლის 2 მაისს განაღმა ხიდი, მოხსნა 6 ნაღმი, თავისი ცხენოსანი ოცეულით მიიღო მონაწილეობა მოწინააღმდეგის 14 ჯარისკაცის დატყვევებაში.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მამაცობისა და თავდადებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა გერმანელ ფაშისტებტან ბრძოლებში, წითელარმიელი ამრაჰ ქარა ოღლი ასლანოვი დაჯილდოვდა ,,დიდების,, ორდენის I-ი ხარისხით (№ 315)

1946 წლის მაისში ზემდეგი ასლანოვი დემობილიზებული იქნა. დაბრუნდა სამშობლოში. მუშაობდა ფერმის გამგედ, დაცვის უფროსად, ბრიგადირად, კოლმეურნეობის დარაჯად. მის სახელს ატარებს თაზაქენდის საშუალო სკოლა.

**ვაგიფ ადილ ოღლი ბაირამოვი**
**(11.12.1961-11.12.2004)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში.
1979 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.
1980-82 წწ. გადიოდა სამხედრო სამსახურს საბჭოთა ჯარში.
1982-91 წწ. მუშაობდა საქართველოს შსს-ს სისტემაში
1992-96 წწ. მუშაობდა საქართველოს შსს შინაგან ჯარებში.
1997 წელს დაამთავრა შსს-ს პოლიციის აკადემია.
1996-99 წწ. მსახურობდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სისტემაში.
1999-2004 წწ. გადიოდა სამხედრო სამსახურს დავით აღმაშენებლის სახ. თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში უზრუნველყოფის ბატალიონის მეთაურად.
1991-93 წწ. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთში.
ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის დაჯილდოვდა მედლით ,,მხედრული მამაცობისათვის,,
გარდაიცვალა უეცრად თავის დაბადების დღეზე, 43 წლის ასაკში.
დაკრძალულია მშობლიურ სოფელში.



**აბას ყული აღა ბაქიხანოვი**
**(21.06.1794-31.05.1847)**
**პოლკოვნიკი (1842)**

აზერბაიჯანელი მეცნიერ-გამანათლებელი, პოეტი და მწერალი, წერდა აზერბაიჯანულ, სპარსულ და არაბულ ენებზე. აგრეთვე ცნობილია ,,ქუძის,, (აზერბ. Qüdsi, ,,სუფთა,, ,,კეთილშობილი,,) სახელით.

ბაქიხანოვი არის აზერბაიჯანული სამეცნიერო ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი, მას აგრეთვე უწოდებენ აზერბაიჯანული არქეოლოგიის ფუძემდებელსაც.

დაიბადა სოფელ ამირჯანში, ბაქოს ხანის მირზა მუჰამედ II და ქართველი ქალის სოფიო ხანუმ ბაგრამ ბეგ ყიზის ოჯახში, რომელმაც გათხოვების შემდეგ მიიღო მუსლიმური სარწმუნოება და გახდა სოფიო-ხანუმ-ბაჰრამ-ბეგ-ყიზი.

ა.ბაქიხანოვმა ბავშვობა გაატარა აფშერონის სოფლებში - ამირჯანში, ბალახანში, მაშთაღასა და რამანაში. იქვე, მაშთაღაში 1801 წლიდან დაიწყო სწავლა, ხოლო მას შემდეგ, რაც 1803 წელს ოჯახი საფუძვლიანად დამკვიდრდა სოფელ ამსარში, გააგრძელა სწავლა ყუბაში.

1819 წლის ბოლოს აბასყული აღა ბაქიხანოვი ჩამოვიდა ქალაქ ტფილისში, სადაც ის მიიწვია საქართველოს მთავარმართებელმა, გენერალმა ა.პ.ერმოლოვმა ,,სამსახურში ჩასარიცხად,,

ჩამოსვლისთანავე მან დაიწყო გენერალ ერმოლოვის ცალკეული სამხედრო დავალებების შესრულება.1820 წლისთვის, ბაქიხანოვი იყო რუსეთის არმიის ორი ლაშქრობის მონაწილე - ყაზიყუმუხელ მმართველ სურჰაი-ხანისა და შირვანის მმართველ მუსტაფა-ხანის წინააღმდეგ.

1820 წლის ზაფხულში, ის იმყოფებოდა გენერალ ვ.მადათოვის რაზმის შემადგენლობაში, რომელიც მოქმედებდა ყაზიყუმუხელ სურჰაი-ხანის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობისას ერმოლოვი წერდა წერილში ა.ა. ზაკრევსკისადმი (1783-1865):

*,,მე ისე ღარიბი ვარ ჩინოსნებით, რომ დავითხოვე ჩემი ადიუტანტები. ერთი მათგანი* (ბაქიხანოვი-ავტ.შენიშვ.) *გავაგზავნე მადათოვთან ერთად მოღალატე ყაზიყუმუხელი ხანის წინააღმდეგ,,*

ა. ბაქიხანოვი მონაწილობდა ხოგერის ბრძოლაში, სადაც დაწინაურდა და 4(16) სექტემბერს მიიღო პრაპორშჩიკის თავისი პირველი წოდება.

1821 წლის 28 დეკემბერს (1822 წლის 9 იანვარს) ბაქიხანოვი ოფიციალურად იქნა გაფორმებული აღმოსავლური ენების თარჯიმნად საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიაში.

1823 წელს მონაწილეობს სადემარკაციო კომისიაში, რომელმაც გულისთანის ხელშეკრულებით დაადგინა საზღვრები სპარსეთთან. იმავე წელს ა.ბაქიხანოვი ღებულობს მონაწილეობას ყარაბაღის პროვინციის ,,აღწერილობაზე,, მუშაობაში.

1824 წელს მონაწილეობდა გენერალ-ლეიტენანტ ა.ა.ველიამინოვის მეთაურობით, რუსეთის ჯარების ლაშქრობაში კავკასიის ხაზზე. ერთი ცნობით, 20 ივნისს, სხვათა ცნობით - 1826 წლის 18 (30) სექტემბერს აბას ყული აღა ბაქიხანოვს მიენიჭა პორუჩიკის წოდება.

ა.ბაქიხანოვის მოღვაწეობამ დიპლომატიურ ასპარეზზე სახელი მოუხვეჭა მას რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომების დროს. იმ ხანებში ის იმყოფებოდა გენერალ ი.თ.პასკევიჩის ამალაში დიპლომატიურ ნაწილში.

შემდგომში პასკევიჩი წერდა საგარეო საქმეთა მინისტრ, გრაფ ვ.ნ.ნესელროდეს აბასყული ბაქიხანოვზე:

*,,ჩამოვედი რა საქართველოში და შევამჩნიე მისი კეთილშობილური თვისებები, მე სრული ნდობით ვაგრძელებდი მის გამოყენებას დიპლომატიურ ნაწილში. სპარსეთთან ომის დროს აბას ყული აღას სამსახურით მე განსაკუთრებულად კმაყოფილი დავრჩი: მის მიერ სპარსული ენის სრულად ცოდნამ და თავდაუზოგავმა საქმიანობამ მოგვიტანა ბევრი სარგებლობა. მისი მეშვეობით მიმდინარეობდა მიმოწერა სპარსეთის კართან და, ამით მისთვის გახდა ცნობილი მთელი ჩვენი ურთიერთობანი სპარსეთთან და ჩვენი სპარსული პოლიტიკის მსვლელობა.,,*

ა.ბაქიხანოვმა მიიღო უშუალო მონაწილეობა რუსეთ-სპარსეთის ომის ბრძოლებში. უშუალო მონაწილეობა. 5 ივნისს ის მამაცურად იბრძოდა ჯევან-ბულახთან, ხოლო 7 ივნისს აბას-აბადის აღებისას.

დამსახურებისათვის, რომელიც გამოიჩინა მან 14(26) ოქტომბერს აბას-აბადის ალყის დროს მიენიჭა ,,შტაბს-კაპიტნის,, წოდება. დიდი ხნით ადრე მანამდე, სპარსეთის პრინცთან აბას-მირზასთან დაწყებული იყო მოლაპარაკებები ზავზე. ჯერ კიდევ 20 ივლისს პასკევიჩმა გააგზავნა ა.ს.გრიბოედოვი და ა.ბაქიხანოვი სოფელ ყარაზიადინში აბას-მირზასთან პირადი მოლაპარაკებებისათვის. ამავე დროს, რუსეთის არმია აგრძელებდა წარმატებულ შეტევას. 20 სექტემბერს, რუსეთის არმიამ პასკევიჩის მეთაურობით აიღო სარდარ-აბადი, ხოლო 1 ოქტომბერს აღებულ იქნა ირავანი (ერივანი).

ყველა ამ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას ა.ბაქიხანოვიც, რისთვისაც ის დააჯილდოვეს ,,წმ.ანას,, მე-III ხარ.ორდენით (ბაფთით).

1828 წლის 4 აგვისტოს ,,სპარსეთთან სამშვიდობო ზავზე მოლაპარაკებებისათვის,, მიენიჭა ,,კაპიტნის,, წოდება.

1829 წლის 21 აპრილს ,,შესანიშნავი გულმოდგინებისათვის რომელიც მან გამოიჩინა ახალციხის აღებისას,, მიენიჭა ,,მაიორის,, წოდება და გამოეცხადა უმაღლესი კეთილგანწყობა.

1831 წელს მონაწილეობდა გენერალ-ადიუტანტ ნ.პ.პანკრატიევის სარდლობით დაღესტნის ექსპედიციაში და,

,,წარჩინებისთვის,, 1832 წლის 9 მარტს მიენიჭა ,,პოდპოლკოვნიკის,, წოდება.

გადიოდა რა სამხედრო სამსახურს ტფილისში თარჯიმნად, გენერალ ერმოლოვის კანცელარიაში, ის ძირფესვიანად სწავლობს რუსულ და ფრანგულ ენებს.

იმყოფებოდა რა სამხედრო სამსახურში, ის ახლო ეცნობოდა კულტურის ცნობილ მოღვაწეებს, რომლებიც იმ დროს იმყოფებოდნენ კავკასიაში: ა.ს.გრიბოედოვს, ა.ა. ბესტუჟევს, ი.პ.პოლონსკის, ტ.ლადო ზაბლოცკის, მ.ფ. აჰუნდოვს, მ.შ.ვაზეჰს, ა. ჭავჭავაძესს, გ.ორბელიანს, ნ.ბარათაშვილს.

ბაქიხანოვის პიროვნებით და შემოქმედებით ინტერესდებოდა უამრავი რუსი, პოლონელი, გერმანელი, და ფრანგი პოეტი, მწერალი, რომელიც მოგზაურობდა კავკასიაში,- კიუჰელბექერი, ბესტუჟევ-მარლინსკი, მხატვრები ვ.ი.მოშკოვი და გ.გ.გაგარინი, გერმანელი პოეტი ფ.ბოდენშტედტი, ი.ნ.ბერეზინი, კ.კოჰი და სხვ.

1833 წელს ის მოგზაურობდა რუსეთში, ლატვიაში, ლიტვაში და პოლონეთში. სანქტ-პეტერბურგში (1834 წ.) მან გაიცნო დიდი რუსი პოეტი ა.პუშკინი.

1843 წელს მონაწილეობდა სპეციალური კომიტეტის მუშაობაში, რომელიც ადგენდა პროექტს ამიერკავკასიაში უმაღლესი მუსლიმი კლასის პირად უფლებებს.

ის ცნობილიიყო როგორც ჟურნალისტიც -რედაქტირებდა ,,ტფილისის უწყებანის,, სპარსულ გამოცემას.

პოლკოვნიკი აბას აღა ბაქიხანოვი გარდაიცვალა ქოლერის ეპიდემიის დროს არაბეთის უდაბნოში მექასა და მედინას შორის (ვადი-ფათიმას ოაზისი) მომლოცველობიდან უკანა გზაზე დაბრუნებისას.

დაკრძალულია ვადი-ფათიმას საერთო სასაფლაოზე.

ბაქიხანოვმა დატოვა მდიდარი სამეცნიერო, ფილოსოფიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ის პირველი შეეცადა განემარტა აზერბაიჯანის მეცნიერებისა და ლიტერატურის ისტორია XII - XIX სს.

თავის კვლევებში სამხრეთ ამიერკავკასიის ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის შესახებ, ა.ბაქიხანოვი გვაწვდის ღირებულ ცნობებს უძველესი და შუასაუკუნოვანი შირვანისა და დაღესტნის თეოლოგების, მეცნიერების, და პოეტების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

,,გიულისთან-ი-ირამი,, (,,კავკასიის სამხრეთი ნაწილის ისტორია,,-მეცნიერული კვლევაა, რომელშიც ავტორმა გააშუქა შირვანისა და დაღესტნის ისტორია უძველესი დროიდან გიულისთანის ზავამდე (1813 წლის 12 ოქტომბერი).

ა.ბაქიხანოვი გამოირჩეოდა ჩანაფიქრის სიფართოვეთი, ფაქტიური მასალის სიმდიდრით, მუსლიმ ხალხისადმი არაგანზრახი დამოკიდებულებით. ამ ნაშრომის დაწერისას აბას ყული ბაქიხანოვმა გამოიყენა ცნობათა უდიდესი რაოდენობა, რომელიც მოიპოვა ანთიკურ, სომხურ, ქართულ, სპარსულ, არაბულ და თურქულ შუასაუკუნოვანი ავტორებისგან.

ნაწარმოებში,,გიულისთან-ი-ირამში,, ავტორმა ფართოდ გამოიყენა ტოპონიმიკის, ნუმიზმატიკის და ეპიგრაფიკის მასალები და ლიტერატურის ძეგლები. ეს ნაშრომი დიდად იყო შეფასებული რუს და საზღვარგარეთის მეცნიერთა მიერ.

თანახმად ,, სსრკ-ში ისტორიული მეცნიერების ისტორიის მიმოხილვისა,, (1955 წ.) ,,გიულისთან და ირამ,,-ში კეთდება პირველი მცდელობა აზერბაიჯანის ისტორიის ფართო მიმოხილვისა უძველესი დროიდან 1813 წლამდე.

,,ქაშფ ალ-ყარაიბი,, (,,სასწაულებათა აღმოჩენა,,) მიძღვნილია ამერიკის აღმოჩენის ისტორიას.

,,ასრარ ალ-მალაქუთი,, (,,ზეციური სამეფოს საიდუმლოებანი,,) მიძღვნილია მსოფლიოს ჰელიოცენტრისტული სისტემის წარმოდგენათა დაცვას, და მზის სისტემის ფიზიკური ბუნების სხეულთა მოწყობის ახსნას.

,,საერთო გეოგრაფია,, - მსოფლიოს ეკონომიკური, პოლიტიკური და ფიზიკური რუკის აღწერილობაა.

ბაქიხანოვის მხატვრული შემოქმედება არ იყო ერთგვაროვნული. მისი ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია აღმოსავლური ლიტერატურის შუასაუკუნეების ტრადიციებში,

დამძიმებულია პირობითი სახეებით, სუფისტური პოეტური სიმბოლოებით, ნაწარმოებით, რომელთა სიუჟეტები აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან, გაჟღენთილია განმანათლებლური იდეებით.

ბაქიხანოვი იყო შუასაუკუნეების უკანასკნელი მწერალი და ამავე დროს ახალი დროის პირველი მწერალი.

ამით განისაზღვრება მისი განსაკუთრებული ადგილი აზერბაიჯანული ლიტერატურის ისტორიაში. თავის საკუთარ ქალაქ ყუბაში ორგანიზება გაუკეთა ლიტერატურულ მეჯლისს სახელწოდებით ,,გულისთანი,, (,,ყვავილნარი,,) მის გარშემო შეჯგუფდნენ პოეტები და პოეზიის მოყვარულნი.

,,რიაზ ალ გუდსი,, (,,წმინდა საყვავილე,,) -მისი პირველი პოეტური ნაწარმოებია, დაწერილია აზერბაიჯანულ ენაზე. პოემა შექმნილია რელიგიურ-მისტიური პოეზიის ზემოქმედებით.

,,ქითაბ-ე ასქერიე,, (,,წიგნი ასქერზე,,)-მოთხრობა ყმაწვილისა და ქალიშვილის ორმხრივ სიყვარულზე, რომლებიც იდევნებიან ფანატიური გარემოს მიერ.

,,ტიფლისი,, , ,,ქართველთა შორის,,-ლექსები, რომლებიც წარმოადგენენ ქართული ქალაქური ყოფის რეალისტურ ჩანახატებს.

,,ვირი და ბულბული,,-კრილოვის იგავის თავისუფალი თარგმნაა.

,,მიმართვა თავრიზის მცხოვრებლებთან,, -სოციალური სატირააა, რომელიც ამხელს ჩამორჩენილი მუსლიმი გარემოს შეცდომებს.

,,მიშქათ ალ-ანვარი,,(,,მანათობელთა ნიშა,,)-დიდაქტიკური პოემაა, რომელიც შეიცავს უამრავ დარიგებას და ციტატას ყურანიდან და წინასწარმეტყველის ხადისებიდან, აპოკრიფულ ლეგენდებს. ავტორმა განიცადა თავის თავზე სუფისტური იდეების ძლიერი ზეგავლენა.

,,თახზიბ-ალ-აჰლაქ,, (მორალის გამოსწორება,,),,,ქითაბ-ე-ნასაიჰ,, (,,დარიგებათა წიგნი,,), ,,აინ ალ-მიზანი,, (,,სასწორის არსი,,), ,,ასრარ ულ-მელექუთი,, (,,ზეცის საიდუმლოებანი,,), ,,ქანუნი ქუდსი,,-ფილოსოფიურ-ეთიკური თხზულებანია,

რომელშიც განხილულია მორალური ცნობიერება და მსჯელობის ლოგიკური შესაძლებლობა, როგორც განათლების და აღზრდის პროდუქტი,,

,,ოცნების ამაღლება,, და ,,ევროპული საზოგადოება,, - ეს პოემებია, რომლებიც დაიწერა პოლონეთში.

მისი სადამრიგებლო-დიდაქტიკური ხასიათის პოეტური მოთხრობები და იგავები განსჭავლულია საადის ლირიკის მორალური სწავლების სულით. ქითაებში, რუბაებში, მურაბეებში და მუჰამასებში აზერბაიჯანულ და არაბულ ენებზე აისახა ავტორის ეთიკო-ფილოსოფიური ფიქრები.

ბაქიხანოვის პოეტური მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ გაზელები. მათი მთავარი მოტივია - შეყვარებულის უანგარო ერთგულება და ამღერება მისი სილამაზისა.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV ხარ. (ბაფთით-1828)- *,,განსაკუთრებული გამბედაობისათვის და მამაცობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა თურქების წინააღმდეგ ყარსის ციხის აღებასა და გარემოცვის დროს,,*

,,წმ.ანას,, მე-II (1829) -*,,1829 წლის 19 და 10 ივნისს სოღანლუღის მთებზე გამართულ ბრძოლებში მონაწილეობისათვის,,* და მე-II ხარ.(მორთული იმპერატორის გვირგვინით (1829)-*,,1829 წლის 24 ივლისს ხართთან ბრძოლაში და 27 სექტემბერს ბაიბურთთან ბრძოლაში,,*

,,წმ.სტანისლავის,, მე-III ხარ.(მახვილებით)

მიღებული ჰქონდა სპარსეთის ,,ლომისა და მზის,, I-ი ხარისხის ორდენით (ალმასებით, ბრილიანტის მეწკვზე-1829)

მშობლიურ სოფელ ამირჯანში მის საპატივსაცემად დაიდგა ბიუსტი. სახლის კედელზე, რომელშიც დაიბადა ა.ბაქიხანოვი, გაკეთებულია მემორიალური დაფა. ბაქიხანოვის მეგლი დგას მისი სახელობის დასახლებაში, (საბუნჩის რაიონში),

მხატვარმა მურად აშრაფ მურადმა დახატა ტილო ,,ბაქიხანოვი და გრიბოედოვი,, (1958-59),

აბას ყული აღა ბაქიხანოვის სახელს ატარებს: აზერბაიჯანის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, სოფელი საბუნჩის რაიონში, ქუჩა ქ.ბაქოს ნასიმის რაიონში.

2012 წელს გადაღებულ იქნა აზერბაიჯანული ფილმი ,,განთიადის ელჩი,, რომელიც მიეძღვნა მირზა ფათალი აჰუნდოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ბაქიხანოვის როლი შეასრულა აზერბაიჯანის სახალხო არტისტმა ფაჰრადინ მანაფოვმა.




*ბაქიხანოვის ძეგლი მის საფლავზე ქ.თბილისში*

**ზიათხან ალი ოღლი ბექიროვი**
**(26.12.1948-2019)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა ბოლნისის რაიონის სოფელ ქაფანახჩიში, საქართველოს სსრ.

1967-69 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს საბჭოთა ჯარში.

1973 წელს დაამთავრა ლვოვის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებელი.

1988 წელს დაამთავრა ლენინის სახ. სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის საერთო-საჯარისო ფაკულტეტი.

1983-85 წლებში მსახურობდა მასწავლებლად ლენინგრადის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებელში.

1985-93 წლებში მსახურობდა ფალულტეტის დეკანის მოადგილედ იმავე სასწავლებელში.

1993 წელს პოდპოლკოვნიკის წოდებით დაბრუნდა აზერბაიჯანში და გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯარში.

1998 წლამდე გადიოდა სამხედრო სამსახურს თავადცავის სამინისტროს მორალურ-ფსიქოლოგიური აღზრდის განყოფილების უფროსად.

1998-99 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მორალურ-ფსიქოლოგიური აღზრდის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1999-2006 წლებში მსახურობდა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ - მორალურ-ფსიქოლოგიური აღზრდის სამმართველოს უფროსად.

იმყოფებოდა თადარიგში, მუშაობდა ექსპერტად.

გარდაიცვალა 2019 წელს.



**ბორის ალექსანდრეს-ძე ბეგ-სოფიევი**
**(10.06.1872 - 25.04.1934)**
**პოლკოვნიკი (04.11.1915)**

ტფილისის გუბერნიის აზნაურებიდან იყო. წარმოშობით სოფიევთა აზერბაიჯანელ ბეგთა გვარიდანაა. მამამისი- აბას-ყული-ბეგ სოფიევი, იყო თერგის კაზაკთა ჯარის ვოლგის პოლკის საჯარისო ზემდეგი, დედა - მიხალინა სტეფანეს-ასული იაკუბოვსკაია, წარმოშობით იყო ლიტვურ-თათართა გვარიდან. მე-XIX საუკუნის 90-იან წლებში მიიღო მართლმადიდებლობა და ბორის ალექსანდრეს-ძის სახელი.
საერთო განათლება მიიღო ფსკოვის კადეტთა კორპუსში.

1894 წელს დაამთავრა ალექსანდრეს სახელის სამხედრო სასწავლებელი.

1909 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა აღმოსავლეთ ციმბირის 1-ლ სამორტირო საარტილერიო დივიზიონის კაპიტნად. დაამთავრა ოფიცერთა საარტილერიო სკოლა (1913).

პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა. 1915 წლის 4 ნოემბრის მდგომარეობით გადიოდა სამხედრო სამსახურს

პოდპოლკოვნიკად და 65-ე საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეის მეთაურის თანამდებობაზე.

1916 წლის 30 აპრილიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს 57-ე საარტილერიო ბრიგადის 1-ლი დივიზიონის მეთაურის თანამდებობაზე. მონაწილეობდა თეთრ მოძრაობაში. 1918 წლის ივლისში მონაწილეობდა იაროსლავლის აჯანყებაში, რომლის მარცხის შემდეგ გადავიდა რუსეთის სამხრეთში და შევიდა ,,მოხალისეთა არმიაში,,

მსახურობდა კანონირად ჯავშანმატარებელზე. მოგვიანებით მეთაურობდა მე-2 ცალკეულ მძიმე საჰაუბიცო საარტილერიო დივიზიონს, იყო მე-5 ქვეითი არტილერიის უფროსი, მონაწილებდა ბრედოვსკის ლაშქრობაში.

1920 წლის ივნისში იმყოფედოდა პოლონეთში, სტრჟალკოვოს ბანაკში (ბარაკი №53) .

მოგვიანებით ევაკუაციამდე მსახურობდა ყირიმის ,,რუსულ არმიაში,,

1922 წლიდან ემიგრაციაში იყო იუგოსლავიაში, მოგვიანებით კი-საფრანგეთში.

ირიცხებოდა ,,ოფიცერ-არტილერისტთა საზოგადოების,, წევრად.

გარდაიცვალა და დაკრძალულია პარიზში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო:

წმ.გიორგის მე-IV ხარ.ორდენით (13.01.1915)

გიორგის იარაღით (24.02.1915)

და ,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV ხარ.ორდენით (მახვილებითა და ბაფთით-1915).



**ხუდია ბორჩალოელი**
**(ხუდუბეგი)**
**( ? - გ. 12.09.1795)**

ბაგრატიონთა სამეფო სახლის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. მეფის ბორჩალოს გვრდიის სარდალი.

იყო ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II შვილის, ,,მორიგე ჯარის,, სარდლის, უფლისწულ ლევანის (1756-1781) უახლოესი მეგობარი. მონაწილეობდა ასპინძის ბრძოლაში (1770).

იმყოფებოდა უფლისწულ ლევანთან ქართული ელჩობის შემადგენლობაში რუსეთში (ახლდა მას ასტრახანამდე, სადაც ჩავიდა 1772 წლის 6 მარტს)
ყველაზე მძიმე მომენტებში მონარხი ენდობოდა ხუდიას. იყო შემთხვევა, როდესაც მან გაათავისუფლა ერთი ქართველი სარდალი ჯარების ხელმძღვანელობისაგან და ანდო ეს საქმე ხუდიას.

1770 წელს, გამოიჩინა უმაგალითო მამაცობა ლეკებთან ბრძოლაში, რომლებიც შემოიჭრნენ საქართველოში ახალციხის მხრიდან.

გააგზავნა რა ბორჩალოელთა კავალერიის რაზმი გორში, ერეკლე II წერდა გენერალ ტოტლებენს ბრძოლის მეწინავე ხაზზე:

*,,გიგზავნით თქვენ ხუდია ბეგის 400 მუსლიმ ვაჟკაცს. ბორჩალოელები უშიშარი, კარგი და მამაცი ხალხია,,*

მონაწილეობდა კრწანისის 1795 წლის ბრძოლაში სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

დაიღუპა 12 სექტემბერს, ანანურთან სპარსელებთან შეტაკებისას თავისსავე 200 ბორჩალოელ მხედრებთან ანანურის ციხის მისადგომებთან, საითკენაც დაიხია მეფე ერეკლე II თავისი დარჩენილი ჯარებით.

ხუდია ბორჩალოელის სახე განასახიერა ფილმში ,,წიგნი ფიცისა,, (1983) ქართული თეატრისა და კინოს მსახიობმა ბესარიონ ხიდაშელმა (1948-1992)

ქ.მარნეულში (ქვემო ქართლის რეგიონი) არის მისი სახელობის ქუჩა.



**აბდულჰამიდ ბეგ გაითაბაში (გაიტაბაშევი)**
**(10.07.1884-30.06.1920)**
**გენერალ-მაიორი (25.06.1919)**

მისი პაპა -კაპიტანი აბდულმეჯიდ ბეგი XVIII საუკუნის ბოლოს გადმოვიდა საცხოვრებლად სტამბოლიდან ტფილისში. მეთაურიბდა პოლკს, რისთვისაც მას მიენიჭა -გაითაბაშის წოდება.

დაიბადა აბდულგამიდბეგ გაითაბაშევი დაიბადა ტფილისში გადამდგარი პოდპოლკოვნიკის ოჯახში. დაამთავრა პავლოვსკის სამხედრო სასწავლებელი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1908 წელს აბდულგამიდბეგ გაითაბაშევმა პავლოვსკის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საიწყო სამსახური შემახის 261-ე ქვეით სარეზერვო პოლკში პოდპორუჩიკად (რომელიც განლაგებული იყო ქ.ელიზავეტპოლში).

პირველ მსოფლიო ომს პორუჩიკი გაითაბაშევი შეხვდა კავკასიის მე-3 საარმიო კორპუსის, 52-ე ქვეითი დივიზიის, შემახის 205-ე ქვეითი პოლკის შემადგენლობაში.

1918-1920 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის ჯარის მუსლიმთა კორპუსში.

მუსლიმთა კორპუსის სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ალი აღა შიჰლინსკის ბრძანება იუწყებოდა:

*„1918 წლის 6 მარტი, ქალაქი ტფილისი. დაინიშნოს პოლკოვნიკი აბდულჰამიდ ბეგ გაითაბაში მუსლიმთა კორპუსის შტაბის უფროსად„*

ამ თანამდებობაზე აბდულჰამიდ ბეგი იმყოფებოდა 1918 წლის 28 მაისამდე.

1918 წლის 15 ნოემბერს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის სამედ ბეგ მეჰმანდაროვის № 2 ბრძანებით დაინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს მორიგე გენერლის თანამდებობაზე.

1919 წლის იანვარში შედიოდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ნაწილების, სამმართველოებისა და დაწესებულებების შტატების გამომუშავების კომისიაში.

1919 წლის დეკემბრიდან დროებით ასრულებდა მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობას.

1920 წლის 2 მარტს დაინიშნა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ახლად შექმნილი შტაბის მორიგე გენერლად.

1920 წლის 24 მარტს დაინიშნა არმიის შტაბის უფროსის თანამდებობის დროებით მოვალეობის შემსრულებლად.

აბდულჰამიდბეგ გაიტაბაშევმა შეიტანა უდიდესი წვლილი აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის მშენებლობის საქმეში, არანაკლები ძალა არ შეუტანია მას გენერალური შტაბის ახალი განყოფილებების და სამმართველოების შექმნის საქმეში, და მათ ფორმირებასა და დაკომპლექტებაში პირადი შემადგენლობით.

1920 წლის მარტში გენერალი აბდულჰამიდ ბეგ გაითაბაში წერდა:

*„სულ რაღაცა მთელი ერთი წლის განმავლობაში ორგანიზებული და მოწყობილი იქნა მთელი გენერალური შტაბის მოღვაწეობა. შტაბის სხვა წევრებთან ერთად ჩვენ კეთილსინდისიერად და დაუღალავად შევასრულეთ ჩვენზე მინდობილი ვალდებულებანი„*

1920 წლის 30 აპრილს დროებით იქნა დანიშნული აზერბაიჯანის სსრ წითელი არმიის მთავარი შტაბის უფროსად.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაპატიმრებულ იქნა განჯაში აჯანყების (1920) მომზადების ბრალდებით, წითლების მიერ და დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ.



**ადილ ჯემშიდ ოღლუ გასანოვი**
**(დ. 22.02.1958)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა ქ.თბილისში, (საქართველოს სსრ).

საშუალო სკოლის დამთავრების შდემდეგ 1976 წელს, ჩაუირიცხა თბილისის უმაღლეს საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1980 წელს.

1980-89 წწ. მსახურობდა ოცმეთაურად, ასეულის მეთაურის მოადგილედ, ბატალიონის მეთაურის მოადგილედ.

1989-92 წწ. მსახურობდა აზერბაიჯანის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამხედრო კათედრაზე ტაქტიკის მასწავლებლად.

1992 წლიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის არმიაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, მათ შორის 1992-98 წლებში მსახურობდა საარტილერიო ბრიგადის არტილერიის უფროსად, 1998 წლიდან ჰეიდარ ალიევის სახელობის უმაღლესი სამხედრო სკოლის არტილერიის კათედრის უფროსად.

1999 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემია.

2002 წელს დაამთავრა უკრაინის შეიარაღებული ძალების ნაციონალური აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი (დაუსწრებლად), ქ.კიევში *(სწავლებას სამხედრო აკადემიაში*

*გადიოდა ამ წიგნის ერთ-ერთ ავტორთან, პოლკოვნიკ მ.გოგიტიძესთან ერთად).*

1992-93 წწ. აქტიურად მონაწილეობდა აზერბაიჯანის ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

ამჟამად იმყოფება თადარიგში. ცხოვრობს ქ.ბაქოში.

**ნადირ (ნოდარი) გულამ ოღლი გულამოვი**
**(დ. 03.09.1946)**
**პოლკოვნიკი (1991)**

დაიბადა საქართველოს სსრ, საგარეჯოს რაიონის სოფ.გომბორში.
1965 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.
1965-68 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს საბჭოთა ჯარში.
1973 წელს თბილისის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადიოდა სამხედრო სამსახურს ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე.
1973-1991 წწ.გადიოდა სამხედრო სამსახურს საბჭოთა ჯარში ოფიცრის სხვადასხვა თანამდებობებზე.
1993 წლიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავადაცვის სამინისტროს საორგანიზაციო-სამობილიზაციო სამმართველოს უფროსად.
1993-95 წწ. მსახურობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში პასუხსაგებ თანამდებობებზე.
1995-97 წწ. მსახურობადა აზერბაიჯანის ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო კათედრაზე ციკლის უფროსის თანამდებობაზე.
1997 წელს გავიდა თადარიგში.

**ასადულა ბეგ ედიგაროვი (იედიგაროვი)**
**(20.12.1844 - 29.06.1903)**
**გენერალ-მაიორი (12.10.1895)**

გენერალ ისრაფილ ბეგ ედიგაროვის (იედიგაროვის) ძმა.

დაიბადა ტიფლისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფელ თექალოში.

დაამთავრა პავლოვსკის კადეტთა კორპუსი.

1863 წლიდან მსახურობდა ჯარში.

მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში.

1881 წლიდან მეთაურობდა კავკასიის სატელეგრაფო პარკს.

1883 წლის 13 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

,,წმ.სტანისლავის,,-მე-III (1874), მე-II (1883) და I-ი ხარ.(1898)

,,წმ.ანას,,- მე-III (მახვილებით და ბაფთით-1877) და მე-II ხარ.(1889)

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV(1879) დამე-III ხარ. (1893)

მიღებული ჰქონდა საზღვარგარეთის ორდენები:

,,დანებროგის,, ორდენის ოფიცრის ჯვარი (დანია-1897)

,,ამომავალი მზის,, ორდენი (ბუხარა-1889),

,,შირ-ჰურშიდის,, ორდენი (სპარსეთი)

დაკრძალულია ტფილისში, მუსლიმთა სასაფლაოზე.



**ველი ბეგი ედიგაროვი (იედიგაროვი)**
**(31.09.1898 – 13.01.1971)**
**პოლკოვნიკი(1945)**

დაიბადა ტიფლისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფელ თექალოში, აზერბაიჯანელ სადიყ ბეგის ოჯახში, რომლის ოჯახი ჩამომავლობით მსახურობდა რუსეთის იმპერატორების სამხედრო სამსახურში.

ტფილისის კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ 1916 წელს, პირველი მსოფლიო ომის გაგანია ქარცეცხლში მოხალისეთ შევიდა დაღესტნის 1-ლ ცხენოსან პოლკში. მონაწილეობდა ბრუსილოვის გარღვევაში.

,,გიორგის ჯვრის,, მე-IV ხარისხის და ,,გიორგის მედლის,, მე-IV ხარისხის კავალერია.

1918 წელს ბრუნდება აზერბაიჯანში და შედის აზერბაიჯანის ჯარის სამხედრო სამსახურში.

რესპუბლიკის სამხედრო ხელმძღვანელობა აგზავნის მას ყარაბაღში ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე, სადაც ველი ბეგმა წარმოაჩინა თავისი თავი საკმაოდ დადებითად და გულმოდგინე სამსახურისათვის დაჯილდოვდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ორდენით ,,მამაცობისათვის,,

1919-20 წლებში კორნეტი ედიგაროვი გადის სამხედრო სამსახურს შაქის მე-3 ცხენოსანი პოლკის მეტყვიამფრქვევთა გუნდის მეთაურის თანამდებობაზე.

1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში მე-11 წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ, ველი ბეგ ედიგაროვი შაქის ცხენოსანი პოლკის სხვა დაქსაქსულ ქვედანაყოფებთან ერთად, ბრძოლებით იხევს მოკავშირე საქართველოს ტერიტორიაზე და 1921 წლის მარტამდე აგრძელებს ბრძოლებს ბოლშევიკებთან.

1921 წლის მარტში მიდის ემიგრაციაში თურქეთში, შემდეგ კი, 1922 წლის შემოდგომაზე რუმინეთის გავლით პოლონეთში.

1924-25 წლებში გადის სწავლებას პოლონეთის არმიის კავალერიის ოფიცერთა ცენტრალურ სკოლაში ქ.გრუძენძში.

1925 წლიდან ველი ბეგ ედიგაროვი მაიორის წოდებით მეთაურობს კავალერიის მე-10 პოლკის მე-4 ესკადრონს ქ.ლანცუტში. იმავე წელს ველი ბეგი წერს ,,პოლონეთის არმიის მუსტაფა ახმეტის სახელობის თათართა ულანთა პოლკის სამხედრო-ისტორიულ ნარკვევს,,

1932 წელს წარჩინებით ამთავრებს პოლონეთის არმიის უმაღლეს სამხედრო აკადემიას და ხდება ,,დიპლომირებული ოფიცერი,, სწავლის დამთავრების შემდეგ ინიშნება კავალერიის შტაბში, ქ.ბარანოვიჩში, როტმისტრის წოდებით.

1936 წლიდან გადის სამხედრო სამსახურს ლიუბლინის მე-7 ულანთა პოლკის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე.

1939 წლის სექტემბერში, გერმანიის ვერმახტის ჯარების პოლონეთში შეჭრის დროს გადიოდა სამხედრო სამსახურს მაზოვეცკის კავალერიის ბრიგადის შტაბის უფროსის თანამდებობაზე, ამავე დროს ასწავლიდა პოლონეთის არმიის უმაღლეს სამხედრო აკადემიაში.

1940 წელს აყვანილ იქნა თყვედ, მაგრამ იქნა განთავისუფლებული როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, რადგან მან მოახერხა თავისი თავი გაესაღა სპარსელად. ვარშავაში დაბრუნებისთანავე, ველი ბეგი ხვდება ყოფილ თანამოსამსახურეებს ლიუბლინის მე-7 ულანთა პოლკში, იღებს ფსევდონიმს «Damazy» და უერთდება კრაიოვას არმიას «Jelen»-ის პოლკის მეთაურად.

1942 წელს პოდპოლკოვნიკის წოდებით სათავეში უდგას კავალერიის განყოფილებას კრაიოვას არმიის გენერალურ შტაბში.

1944 წელს მონაწილეობდა ვარშავის აჯანყების ორგანიზებაში.

1945 წლის გაზაფხულიდან, უკვე პოლკოვნიკის წოდებით, ველი ბეგი ედიგარი მიავლინეს იტალიაში, გენერალ ანდერსის, პოლონეთის მე-2 კორპუსის შტაბში.

ომის შემდეგ,1949 წელს, გადადის არგენტინაში და ცხოვრობს ბუენოს-აირესში.

1956 წელს ლონდონში გამოიცა მისი ნაშრომი ,,კავალერისტები ნაციონალური არმიის შემადგენლობაში,,

დაჯილდოებული იყო პოლონეთის ორდენებით

,,მამაცობისათვის,,

,,ბრძოლის ველზე დამსახურებულებისათვის,, (მახვილით) და პოლონეთის ნაციონალური არმიის ,,მამაცთა ჯვრით,,

გარდაიცვალა ქ.ბუენოს-აირესში.

გადასვენებულ იქნა ვარშავის მუსლიმთა სასაფლაოზე 1991 წელს.




*ველი ბეგ ედიგაროვის ძეგლი ვარშავაში*

**ჰასან ბეგ ედიგაროვი (იედიგაროვი)**
**(1856-1943)**
**გენერალ-მაიორი**

გენერალ ისრაფილ ბეგ ედიგაროვის (იედიგაროვის) ძმა.

დაიბადა ტიფლისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფელ თექალოში.

დაამთავრა პავლოვსკის კადეტთა კორპუსი.

მონაწილეობდა (1904-05) წლების რუსეთ-იაპონიის და (1914-18) წლების პირველ მსოფლიო ომებში.

დაკრძალულია ტიფლისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფელ თექალოში. საფლავის ქვაზე შემორჩენილია რუსულენოვანი წარწერა:

*«Генерал-майор Гасан-Бек*
*Исрафил-бек Иедигаров,*
*1856-1943»*



**დავუდბეგ სადიყბეგ ედიგაროვი (იედიგაროვი)**
**(1881 - 28.04.1920)**
**გენერალ-მაიორი (23.10.1919)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფელ თექალოში.

1903 წლის 10 აგვისტოს დაამთავრა პეტერბურგის პაჟთა კორპუსი კორნეტის წოდებით. გადიოდა რა სამხედრო სამსახურს მეფის ჯარში, მიაღწია პოლკოვნიკის წოდებამდე.

1918 წელს დაინიშნა აზერბაიჯანის არმიის დაცვითი დივიზიის უფროსის მოადგილედ.

1919 წელს დაინიშნა აზერბაიჯანის არმიის კავალერიის დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე, ხოლო გენერალ სამედბეგ მეჰმანდაროვის 1919 წლის 23 ოქტომბრის № 492 ბრძანებით მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

1919 წლის აგვისტო-ნოემბერში გადიოდა სამხედრო სამსახურს 1-ი ქვეითი დივიზიის 1-ი რაზმის უფროსის თანამდებობაზე, გენერალ ჯავადბეგ შიჰლინსკის ხელმძღვანელობით. მონაწილეობდა დაშნაკთა რაზმების წინააღმდეგ ზანგეზურისათვის ბრძოლებში, სოფლებ დიღის, გორანძურის, ჰანაზაჰის, და აბდალარის განთავისუფლებაში და სხვ.

1920 წლის 28 აპრილის ბაქოს ოპერაციის შემდეგ დავიდბეგის ბედი უცნობია.



**ისრაფილბეგ ედიგაროვი (იედიგაროვი)**
**(15.12.1815 - 06.02.1885)**
**გენერალ-ლეიტენანტი (14.04.1883)**

გენერალ ასადბეგ ედიგაროვ (იედიგაროვის) ძმა.

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფელ თექალოში (ახლ. სოფელი ყაჩაღანი).

დაწყებითი განათლება მიიღო ქალაქ ტფილისის კერძო გიმნაზიაში.

1834 წლის 1 სექტემბერს ნებაყოფლობით დაიწყო სამსახური ამიერკავკასიის მუსლიმთა პოლკში. ერთი წლის შემდეგ, მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ხდება პოდპორუჩიკი.

1849 წელს მონაწილეობას ღებულობდა უნგრეთის აჯანყების დაშოშმინებაში.

მონაწილეობდა (1853-56) წლების ყირიმის ომში.

1854 წლის 4 ივლისს დაინიშნა ახლადშექმნილ მუსლიმ ცხენოსანთა მე-2 პოლკის მეთაურად.

1855 წლის 17 იანვარს ,, თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში წარჩინებისათვის,, მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1855 წლის 10 დეკემბერს დაინიშნა ყარსის ოლქის უფროსად, მაგრამ ავადმყოფობის გამო იმყოფებოდა რა ტფილისში, თანამდებობის შესრულებას ვერ შეუდგა.

1866 წლის 8 ნოემბერს მიენიჭა ,,გენერალ-მაიორის,, სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1877-78) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1877 წელს მივლინებულ იქნა რა თურქეთის საზღვარზე. ედიგაროვის კავალერიის კორპუსი იბრძოდა იღდირის, სარდარაბადის, არფაჩაის, ქიურექისა და ყარსისათვის ბრძოლებში.

1883 წელს გავიდა თადარიგში მუნდირითა და პენსიონით.

თადარიგში გასვლის შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი ისრაფილბეი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ტფილისის გუბერნიის მე-2 განყოფილების სამომრიგებლო მოსამართლედ, უფრო ზუსტად კი ეკავა განყოფილების უფროსის თანამდებობა, რომელიც დაკავებული იყო სხვადასხვა დავების გადაწყვეტით, რომლებიც ხდებოდა გლეხებსა და მიწათმფლობელებს შორის.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

,,წმ.სტანისლავის,,-მე- II (იმპერატორის გვირგვინით-1856) და I–ი ხარ.(1913),

,,წმ.ანას,,- მე-III (1848), მე-II (1854) და I–ი ხარ.(1877)

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV (1863)და მე-III ხარ. (1869).

დაკრძალულია ტფილისში, მუსლიმთა სასაფლაოზე.

6 февраля скончался отставной генералъ-лейтенантъ **Исра-филъ-бекъ-Iедигаровъ**. Сыновья просятъ родныхъ и знакомыхъ пожаловать на выносъ тѣла изъ собственнаго дома, на Воронцовской улицѣ, 8-го февраля, въ 12 часовъ дня.



**ფირიდუნბეგ ჯალალბეგ ქიაიას ოღლი ვეზიროვი**
**(19.04.1850-30.06.1925)**
**გენერალ-მაიორი (18.04.1906)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიაში.
წარმოშობით იყო ქიაიას-ვეზიროვთა მუსლიმ აზნაურთა გვარიდან, რომელიც შეტანილი იყო ტფილისის გუბერნიის გვაროვნული წიგნის პირველ ნაწილში.
საერთო განათლება მიიღო ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში.
სამხედრო სამსახური დაიწყო 1868 წლის აპრილში ბელარუსის მე-7 ჰუსართა პოლკში უნტერ-ოფიცრად.

1870 წელს დაამთავრა ელისავეტგრადის კავალერიის იუნკერთა სასწავლებელი.

1876 წლის 8 ნოემბერს უმაღლესი ბრძანებულებით გადაყვანილ იქნა ტვერის მე-15 დრაგუნთა პოლკში.
მონაწილეობდა (1877-78) წლების რუსეთ-თურქეთის ომში. ომის დროს მეთაურობდა ტვერის მე-15 დრაგუნთა პოლკის მე-4 ესკადრონს.
ესკადრონმა მისი მეთაურობით გაწმინდა მოწინააღმდეგისაგან სოფლები: მეჰმეთში, დობრუჯი, ჩობანქოისუ, ჰაჯიოღლუ და ბაზარ დუზუ.

1882 წლის მაისში დაინიშნა კავკასიის საოლქო სასამართლოს წევრად.

1890 წლის 11 ოქტომბერს გადაყვანილ იქნა ნიჟეგოროდის 28-ე დრაგუნთა პოლკში.

1897 წლის 13 ოქტომბერს სამსახურში წარჩინებისთვის მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1900 წლის 28 იანვარს ფირიდუნბეგ ვიზიროვი დაინიშნა ნოვოტროცკო-ეკატერინოსლავსკის მე-10 დრაგუნთა პოლკის მეთაურად. მსახურობდა ქქ.ვარშავასა და რილსკში.

1903 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით. ცხოვრობდა თავის მამულში, ტფილისის გუბერნიაში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

,,წმ.სტანისლავის,,-მე-III (მახვილებითა და ბაფთით-1882) და მე-II ხარ.(1893)

,,წმ.ანას,,- მე-III (1889) დამე-II ხარ.(1902).

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV (1898) -,,ოფიცერთა წოდებებში 25-წლიანი უმწიკვლო სამსახურისთვის,, და მე-II ხარ.(1905)

1919-20 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯარში.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, სამედბეგ მეჰმანდაროვის 1919 წლის 9 აგვისტოს № 351 ბრძანებით, გენერალ-მაიორი ფირიდუნბეგ ვეზიროვი იქნა დანიშნული ქ.ბაქოს კომენდანტად და ქალაქის გარნიზონის უფროსის თანამდებობის დროებით შესრულებით.

1920 წლის აპრილში ბოლშევიკ-დაშნაკური ჯარების შემოსვლით ბაქოში, ისევე როგორც სხვა გენერლებს, მასაც უსამართლოდ მოექცნენ.

კომისარ ჩინგიზ ილდირიმის 1920 წლის 31 მაისის № 36 ბრძანების თანახნად ის გაათავისუფლეს თანამდებობიდან და გადაიყვანეს გენერალური შტაბის განკარგულებაში. მას ბრალი დასდეს პარტია ,,ისლამის,, წევრობაზე და განჯის აჯანყებაში მონაწილეობაზე.

1921 წლის 2 ივნისს ის იქნა დაპატიმრებული აზერბაიჯანის ,,ЧК,,-ს მიერ.

სამოცდაათი წლის გადამდგარ გენერალს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ის იყო პარტია ,,ისლამის,, აგენტი. აყვედრიდნენ იმასაც, რომ ტფილისში საკუთრებაში ჰქონდა სახლი, რომ მსახურობდა მეფისა და მუსავატურ ჯარებში, ჰკითხავდნენ განჯის აჯანყების საქმეზეც.

დაკითხვის შემდეგ მან მოაწერა დაკითხვის ოქმს და იქვე გააკეთა მინაწერი რომ არ თვლიდა თავის თავს რამეში დამნაშავედ.

1921 წლის 19 ივნისს, თანახმად აზერბაიჯანის სახალხო კომისართა თავმჯდომარის ნარიმანოვის ორდერისა, ყოფილი გენერალი გაათავისუფლეს, მაგრამ ნარიმანოვის სიკვდილის შემდეგ, 1925 წელს კვლავ დააპატიმრეს და დახვრიტეს.

გენერალი ავტორია რუსულ ენაზე თარგმნილი ბაიათებისა, იავნანებისა და ანდაზებისა, რომლებიც შეაგროვა ნუჰის მაზრის (ახლ. შაქის რაიონი) სოფლებში ცნობილმა განმანათებელმა ისმაილბეგ ეფენდიევმა.

## ალიამბარ ისმაილის-ძე ვეზიროვი
## (1816-1858 წ.შ.)

თანახმად ნამსახურების ნუსხისა დაიბადა შტაბს-როტმისტრის ოჯახში. წარმოშობით იყო ტფილისის გუბერნიის აზნაური.ეროვნებით აზერბაიჯანელი.

განათლება მიიღო ტფილისის გიმნაზიაში.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1834 წლის 5 მაისს, ერევნის გრენადერთა პოლკში იუნკერად და 1837 წლის 3 თებერვალს მიენიჭა პრაპორშჩიკის წოდება.

1838 წელს იმყოფებოდა გენერალ სიმბორსკის მეთაურობით შავიზღვისპირეთში, მდინარე სოჭის შესართავის დასაკავებლად და იქ ფორტ ალექსანდრიის ასაშენებლად.

პრაპორშჩიკი ვეზიროვი დაწინაურდა სხვა ოფიცრებთან ერთად 30 დან 31 მაისის ღამით, სოჭისთან სამხედრო და სავაჭრო გემების ეკიპაჟთა გადარჩენის დროს:

*,,იმყოფებოდა რა მსროლელთა მწკვრივში ზღვის სანაპიროზე, რომლის მოპირდაპირედ იყო ,,მესემვრია,, ხელს უწყობდა თავის ასეულის მეთაურებს მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის მოგერიებასა და ეკიპაჟის გადარჩენაში, ამით აჩვენებდა თავდადებისა და უშიშრობის მაგალითს დაბალი წოდების პირთ,,*

ამ საქმისათვის დაჯილდოვდა ,,წმ.ანას,, მე-IV ხარისხის ორდენით.

ივნისის თვეში იმყოფებოდა რა პოდპოლკოვნიკ რადკევიჩის რაზმში, სიმაგრეზე მთიელთა შეტევის მოგერიებისას მონაწილეობდა ზარბაზნის დაუფლებაში.

1839 წლის 23 ივნისს მიენიჭა პოდპორუჩიკის წოდება.

1842 წლის 16 მაისს მიენიჭა პორუჩიკის წოდება.

1847 წლის კამპანიაში ვეზიროვი იმყოფებოდა სამურის რაზმში და უკან დახევისას გერგებილიდან ტორჩი-დაღისკენ იმყოფებოდა არიერგარდულ მწკვრივში. ამ ბრძოლაში წარჩინებისათვის 26 ნოემბერს მიენიჭა შტაბს-კაპიტნის წოდება.

მალევე ის დაინიშნა ერევნის პოლკის ეგერთა მე-12 ასეულის მეთაურად.

1852 წელს ვეზიროვი იმყოფებოდა ლეკთა ხაზზე, და თანაც კამპანიის დასაწყისში, 11 აპრილს მიენიჭა კაპიტნის წოდება.

*,,სიფხიზლისთვის, რომელიც მან სათანადო წესის დაცვით განახორციელა მის დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილებში ურთულესი მოძრაობის პირობებში, რომელიც იყო მთის მაგალში ლაშქრობისას, ზრუნვისათვის მის დაქვემდებარებაში მყოფ რიგით შემადგენლობაზე და საერთოდ გულმოდგინეობისათვის, მთელი ლაშქრობის პერიოდში,,* - დაჯილდოვდა ,,წმ.ანას,, მე-II ხარისხით.

აღმოსავლეთის (1853-56) ომის დაწყებისთანავე ვეზიროვი იმყოფებოდა თურქების წინააღმდეგ მოქმედ არმიაში და მეთაურობდა ერევნის გრენადერთა პოლკის მე-4 ბატალიონს.

ბაიანდურთან ბრძოლისათვის დაჯილდოვდა იმპერატორის გვირგვინით ,,წმ.ანას,, მე-II ხარისხის ორდენთან, ხოლო ბაშ-ყადიყლართან გამართული ბრძოლისათვის მიენიჭა მაიორისწოდება.

1856 წლის 19 მარტს ყარსის ციხესთან განლაგებულ შორახის ფორტების შტურმისას გამოჩენილი მამაცობისათვის ვეზიროვი დაჯილდოვდა ,,წმ.გიორგის,, მე-IVხარისხის ორდენით.

> *,, მეთაურობდა რა მე-4 ბატალიონის სამივე ასეულს იმ დროს, როცა გენერალ-მაიორ მა იდელის კოლონის მარჯვენა ხაზი გადავიდა შეტევაზე, გადალახა ხევი და ეცა ბრუსთვერს, მის დაქვემდებარებაში მყოფი ნაწილით ელვისებური სისწრაფით მოუარა გამაგრებას მარცხენა ფლანგიდან, შევარდა ბანაკში და იკავებდა მოწინააღმდეგის შეტევას, რომელიც ჩქარობდა ჩვენი პირველი ხაზის დაუფლებას, რითაც ხელი შეუწყო საერთო შეტევის წარმატებას. მიუხედავად მიღებული ჭრილობისა, რჩებოდა მწყობრში და რამოდენიმე ხანს იმყოფებოდა ბატალიონთან,,.*

მიუხედავად იმისა რომ შტურმის დროს ვეზიროვი დარჩა მწყობრში, ჭრილობა მაინც აღმოჩნდა ძალზედ მძიმე. თოფის

ტყვია მოხვდა მას საზარდულში მარჯვენა მხარეს და აგრეთვე ხელყუმბარის ნამსხვრევით მიიღო კონტუაზია.

1857 წლის 28 აგვისტოს მაიორ ვეზიროვს დაენიშნა პენსია ჭრილობის გამო -265 მანეთი ვერცხლის მონეტით წელიწადში.

1858 წელს მონაწილეობდა ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

სავარაუდოდ გარდაიცვალა 1858 წლის შემდეგ.



**იბრაჰიმბექ ფაშა ბეგ ოღლი ვექილოვი**
**(17. 05. 1853 – 02. 06. 1934)**
**გენერალ-მაიორი (30. 03. 1919)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიის ყაზახის მონაკვეთში (1867 წლიდან ელიზავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრა), ამიერკავკასიის მუსლიმ ცხენოსანთა პოლკის პრაპორშჩიკის შვილია.

1866 წელს მიღებულ იქნა ტფილისის მიწის მზომველთა კლასების მოსამზადებელ განყოფილებაზე.

1875 წელს მოეწყო სამხედრო-ტოპოგრაფიულ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1879 წელს დაიწყო სამსახური სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსში.

1879 წლიდან მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების ტოპოგრაფიულ სამუშაოთა მწარმოებლად.

1891,1894,1896-97 წლებში მივლინებულ იქნა კონსტანტინოპოლში რუსეთის სამხედრო აგენტის (ატაშეს) განკარგულებაში. მონაწილეობდა რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დახვეწაში სპარსეთსა და კავკასიის ტერიტორიებთან, მსახურობდა ყირიმისა და ყარსის ოლქის ტოპოგრაფიული რუკების შექმნაში.

1911 წლიდან -კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ტოპოგრაფიული ქვეგანყოფილების უფროსია.

ბეჯითი და გულმოდგინე სამსახურისათვის, რომელიც გასწია მან სამხედრო დროის გარემოებების დროს, 1917 წლის 2 აპრილს, დროებითი მთავრობის მიერ მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1918 წელს მუშაობდა ცალკეული ამიერკავკასიის კომისარიატის ცენტრალურ აპარატში. იმავე წელს დაბრუნდა აზერბაიჯანში.

1918-20 წლებში იყო განჯის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი.

1920 წლის 28 აპილიდან 1 მაისამდე, ბაქოს ოპერაციის დაწყებისთანავე, მიიღო განჯის გუბერნიის რევკომის ულტიმატუმი, რომელსაც გადასცა მთელი ძალაუფლება გუბერნიაში 1920 წლის 29 აპრილს.

მოგვიანებით იმყოფებოდა პედაგოგიურ სამუშაოზე. იყო სამხედრო ტოპოგრაფიის განყოფილების უფროსი.

1922 წლის 3 დეკემბერს დამსახურებისათვის სამხედრო ტოპოგრაფების 1-ი კურსების ორგანიზებისათვის, იქნა არჩეული აზერბაიჯანის ტოპოგრაფიული კურსების საპატიო კურსანტად.

სამსახურში წარჩინებისთვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

,,წმ.სტანისლავის,,-მე-II ხარ. (1894),

,,წმ.ანას,,- მე-II ხარ.(1897),

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV ხარ. (1903).

**იბრაჰიმხან ზენდი**
**(1888 - 1974)**
**სპარსეთის სამხედრო მინისტრი**

დაიბადა ტფილისში სპარსეთის კონსულის ოჯახში.

საერთო განათლება მიიღო ტფილისის გიმნაზიაში, დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის აკადემია.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ სამთავრობო კაბინეტში ეკავა დიპლომატიური განყოფილების უფროსის პოსტი. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბკილის დაცემის შემდეგ აგრძელებდა თავის მოღვაწეობას აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში.

1921 წელს ოჯახთან ერთად წავიდა სპარსეთში. თეირანში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში.

იბრაჰიმხან ზენდი იყო აგრეთვე სამხედრო მინისტრი პრემიერ-მინისტრ მურთუზა ყული ბაიათის მთავრობაში.

მაგრამ 20 ნოემბერს მეჯლისის დახურულ სხდომაზე პრემიერად იქნა წარდგენილი მურთუზა ყული ბაიათის კანდიდატურა.

25 ნოემბერს იბრაჰიმხან ზენდი გახდა სამხედრო მინისტრი.

გარდაიცვალა თეირანში.



**იუსიფ ზიაბეგ თალიბ ზადე**
**(1877 - 1922)**
**პოლკოვნიკი (1919)**

დაიბადა ტფილისში და იყო ცნობილი აზერბაიჯანელი დრამატურგის აბდულა შაიგის ღვიძლი ძმა.

დაწყებითი განათლება მიიღო ამიერკავკასიის სასულირო სემინარიასთან არსებულ ,,რუშდიეს,, სკოლაში, ხოლო უმაღლესი სასულიერო -სპარსეთის ქალაქ მეშჰედში. ბაღდადში განათლების დასრულების შემდეგ, ზია იუსუფი 1899 წელს ჩამოვიდა ბაქოში. სრულყოფილად ფლობდა არაბულს, სპარსულს, რუსულ და თურქულ ენებს.

ბაქოში თალიბზადე პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავებული იყო ლიტერატურული საქმიანობით და თარგმანებით.

1907 წელს ის გაემგზავრა სტამბოლში ცნობილი მეცენატის ჰაჯი ზეინალაბდინ თაგიევის დავალებით, რათა გადაეცა სულთან აბდულჰამიდ II ყურანის სამტომეული აზერბაიჯანულ ენაზე. მომდევნო პერიოდში ზია იუსუფი აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თურქეთში მან მიიღო სამხედრო განათლება, ოსმანური არმიის რიგებში მონაწილეობდა ბალკანეთის (1912-13) და (1914-18) წლების პირველ მსოფლიო ომებში კავკასიის ფრონტზე, ხოლო

1918 წელს კავკასიის ისლამური არმიის რიგებში - აზერბაიჯანის განთავისუფლებაში.

შემდეგ რამოდენიმე ხანი ხელმძღვანელობდა ოსმალეთის დიპლომატიურ მისიას თავრიზში.

1918-20 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარში.

ბაქოში მართლწესრიგის დაცვის, სტაბილურობის შენარჩუნების და სამხედრო საქმესთან მოსახლეობის გაცნობის მიზნით, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის თანხმობით 1919 წლის 1 ივნისიდან იყო შექმნილი ჯარისკაცთა მოხალისეთა რაზმი.

რაზმის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი იუსიფ ზიაბეგ თალიბ ზადე.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1919 წლის 10 ივნისის სხდომაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება ბაქოსა და მის შემოგარენში მცხოვრები ყველა იმ პირის მომზადება სამხედრო საქმეში, რომლებიც ექვემდებარებოდნენ გაწვევას. კომისიის თავმჯდომარედ ამ რაზმების ორგანიზებისათვის იქნა დამტკიცებული იუსიფ ზიაბეგ თალიბ ზადე.

1920 წელს აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ იუსიფ ზიაბეგ თალიბ ზადე იქნა დაპატიმრებული, მაგრამ ნარიმან ნარიმანოვის თავდებით იქნა განთავისუფლებული და მისი პოლიტიკური გამოცდილების და სამხედრო სამუშაოს გათვალისწინებით დაინიშნა ნახჭევანის სამხედრო კომისრად.

სამხედრო კომისრის რანგში მან გამოიჩინა ნამდვილი მამაცობა მხარის დაცვაში დაშნაკური სომხეთის ხელყოფისაგან.

როგორც ცნობილია,1921 წლის 21 იანვარს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოდ მხარეში გამოცხადდა ნახჭევანის სამხარეო რევკომი, ხოლო თებერვალში ზ.ი.თალიბ ზადე გახდა მისი წევრი.

1921 წლის ოქტომბერში ხახჭევანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოში თანაბრად ვაჭრობისა, მიწათმოქმედებისა, ფინანსების, ჯანდაცვის, განათლების, შინაგან საქმეთა და სამხედრო საქმეთა

შეიქმნა საგარეო საქმეთა, კავშირგაბმულობის, შრომის, საგარეო და საშინაო ვაჭრობის, სოცუზრუნველყოფის, იუსტიციის, საგანგებო კომისიები, სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სამხედრო ტრიბუნალი.

1921-22 წლებში მუშაობდა ნახჭევანის ასსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

როგორც ჩანს, იუსუფ ზია თალიბ ზადეს დანიშვნისას საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე გადამწყვეტი როლი ითამაშა რამოდენიმე უცხო ენების თავისუფალმა ფლობამ და თურქეთთან და სპარსეთთან მჭიდრო ურთიერთობებმა.

ის ღირსეულად იცავდა ნახჭევანს სომეხი დაშნაკებისგან, მაგრამ ის ვერ ურიგდებოდა ლიბერალიზმს და ბოლშევიკური რუსეთის თამაშობებს დაშნაკებთან.

1922 წლის დეკემბერში თალიბ ზადე ჩამოვიდა ბაქოში და სთხოვა ნ.ნარიმანოვს თანხმობა დაეტოვებინა სსრკ ფარგლები. როგორც კი მიიღო სათანადო საბუთი,ის წავიდა შუა აზიაში, და ჩაერთო ბასმაჩურ მოძრაობაში და გახდა ენვერ ფაშას თანამესანგრე.

ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ზია იუსუფ თალიბ ზადე დაიღუპა.

### ჰალილ ბეი მირალი ხან ოღლი თალიშხანოვი
### (1859 - 1920)
### გენერალ-მაიორი

დაიბადა ქ.ტფილისში.

მონაწილეობდა (1914-18) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1918 წელს დაბრუნდა საქართველოში როგორც ,,ველური,, დივიზიის თათართა პოლკის მეთაური.

დაშნაკების მიერ იქნა დაპატიმრებული, მარა მალევე გაათავისუფლეს.

1918-20 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის ჯარში. მეთაურობდა მუსლიმთა კორპუსის 1-ლ მუსლიმთა მსროლელ დივიზიას.

დაიღუპა აზერბაიჯანის გასაბჭოების დროს.



**აივაზ გარა ოღლი ისმაილოვი**
**(1927 - 2000)**
**გენერალ-მაიორი**

დაიბადა ლუქსემბურგის მაზრის (დღ.ბოლნისის რაიონი) სოფელ დარვაზში.

(1941-1945) წლების დიდი სამამულო ომის მონაწილეა.

1943 წლიდან მსახურობდა ჯარში ოფიცრად.

1974 წლიდან თადარიგში იყო.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ.ბაქოში.



**მაგომედ ნაბი ოღლი ისრაფილოვი**
**(07.08.1888 - 11.07.1945)**
**პოდპოლკოვნიკი (1919)**

დაიბადა ტფილისში. დედა ქართველი ჰყავდა.

1898 წელს გაგზავნილ იქნა სასწავლებლად ტფილისის კადეტთა კორპუსში.

1910 წლის აგვისტოში, დაამთავრა რა სწავლება, მიიღო პოდპორუჩიკის წოდება და დაიწყო სამსახური ნიჟეგოროდის მე-17 პოლკში.

1911 წელს მოიყვანა ცოლად ადილა ხანუმი ათაბეგოვ-ქობლიანელთა გვარიდან (საქართველოს ისტორიული პროვინციის სამცხე-საათაბაგოს მმართველთა გვარიდან).

1913 წელს გახდა პორუჩიკი.

(1914-18) წლების პირველი მსოფლიო ომის დროს თავის პოლკთან ერთად იმყოფებოდა ვარშავასთან. რამოდენიმე ხანი მკურნალობდა ჰოსპიტალში, შემდეგ შეუდგა მე-2 ესკადრონის მეთაურობას.

1915 წლის იანვარში გააგზავნეს კავკასიის ფრონტზე. იმავე წელს მიენიჭა შტაბს-როტმისტრის წოდება. რამოდენიმე ხანში გადაიყვანეს ოდესაში, სადაც ემზადებოდა ბულგარეთში გამგზავრებას, მაგრამ მოგვიანებით გააგზავნეს სპარსეთის ყურეში ინგლისელების დასახმარებლად.

1916 წელს, იმყოფებოდა რა რუმინეთის ფრონტზე, როტმისტრად გადაყავთ კავკასიის ცხენოსან დივიზიაში.

1917 წლის იანვარში იღებს პოდპოლკოვნიკის წოდებას და ინიშნება დივიზიის მეთაურად კავკასიაში, სადაც ღებულობს დავალებას ჩამოაყალიბოს სათადარიგო ბრიგადა ყოფილ თათართა მე-2 პოლკისგან.

1917 წლის ბოლომდე რჩებოდა ჯარში, შემდეგ გავიდა თადარიგში და დაბრუნდა საგვარეულო მამულში.

1918 წლის გაზაფხულზე ქართული ჯარის შემადგენლობაში ებრძოდა დაშნაკებს, რომლებიც ლამობდნენ ლორეს ოლქის ჩამოშორებას საქართველოსგან.

1919 წლიდან დაშორდა სამსახურს და ცხოვრობდა თავის მამულში, ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში.

1918-20 წლებში ისრაფილ ბეგი მსახურობდა აზერბაიჯანის ნაციონალურ არმიაში და იყო განჯის აჯანყების აქტიური მონაწილე. ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ ენას (რადგან დედა ჰყავდა ქართველი, ავტ.შენიშვნა), და ამის გამო 1920 წლის 24 მაისს გაიგზავნა ტფილისში ქართველებისგან სამხედრო დახმარების მისაღებად.

1919 წლის 16 ივნისს, აზერბაიჯანსა და საქართველოს მთავრობებს შორის დაიდო სამწლიანი სამხედრო კავშირი, რომელიც შედგებოდა ათი პუნქტისგან. თანახმად სამხედრო თავდაცვითი პაქტისა, აზერბაიჯანსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საშიშროების შემხვევაში და მესამე ქვეყნის მხრიდან აგრესიისას ორივე რესპუბლიკები ვალდებულებას იღებდნენ ერთს მეორესთვის აღმოეჩინათ სამხედრო დახმარება.

1920 წლის მაისში , ვერ გაუძლეს რა ბოლშევიკურ წნეხს, აზერბაიჯანელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა აიღეს ხელში იარაღი. აჯანყების მიზანს წარმოადგენდა ოკუპანტთა განდევნა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ბოლშევიკ-დაშნაკთა დამყრობლური არმიის იარაღის ძალით.

*,,....მე დავამუშავე გეგმა ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსვლისთვის. ამისთვის 24 მაისს მე დავნიშნე აჯანყება.*

*ქართულ ჯართან კავშირის დამყარებისათვის და საერთო საბრძოლო მოქმედებისათვის განსაზღვრისათვის მე გავაგზავნე ტფილისში სამი ოფიცერი განჯიდან -ქართველი პოდპოლკოვნიკები ერისტოვი, სუმბატოვი, პოდპოლკოვნიკი ისრაფილ ბეგ იადიგაროვი და ყოველმხრივ აუხსენი მათ ჩემი გეგმა.*

*ყარაბაღის რაზმთან კავშირის დასამყარებლად ყარაბაღში მივავლინე ორი ოფიცერი სათანადო ინსტრუქციით. აღდამსა და ტერტერში განლაგებული შაქის მე-3 კავალერიის პოლკი უნდა გაერთიანდეს განჯის კავალერიის პოლკთან და როგორც ავანგარდი მთელი ყარაბაღის რაზმისა უნდა იჩქაროს განჯისკენ დასახმარებლად. ყველა იყო მზად ეწარმოათ ბრძოლა ბოლომდე, ქალაქში უკვე მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები.*

*დაე 28 მაისი ჩაეწეროს ჩვენს ისტორიაში არა მხოლოდ როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღედ, ასევე როგორც უდიდესი მსხვერპლის თარიღიც, რომელიც მიტანილია სამშობლოს თავისუფლებისათვის. დაე ამ დღეს მტერი შეერკინოს უმძიმეს,უმოწყალო ომს - ომს არა სიცოცხლისათვის, არამედ სიკვდილისათვის!*

*28 მაისი უნდა გახდეს სიმბოლოდ ჩვენი სულიერი დიდებისა და მორალური გამარჯვებისა.*

*28 მაისიდან 29 მაისის ღამით იქნა მიღებული პირველი ცნობა იმის შესახებ, რომ უკვე რამოდენიმე დღეა რაც საქართველომ დადო ზავი ბოლშევიკებთან. ეს ნიშნავდა კატასტროფას აჯანყებულთათვის.*

*აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დადებული სამხედრო თავდაცვითი შეთანხმება იძულებულს ხდიდა ორივე მხარეს აღმოეჩინათ ერთი მეორესათვის ორმხრივი დახმარების აღმოჩენისა,,*(პოლკოვნიკი ჯაჰანგირ ბეგ ქიაზიმბეილი).

საბჭოთა რუსეთთან ომის დროს 1921 წლის თებერვალში კვლავ ბრუნდება სამსახურში და მეთაურობს თათართა (აზერბაიჯანელ) პარტიზანულ რაზმს.

განიცადა რა მარცხი იმავე წლის მარტში გადავიდა კონსტანტინოპოლში.

1922 წლის ნოემბერში გადადის პოლონეთში, სადაც მას აგზავნიან ოფიცერთა სკოლაში-ქართველ ოფიცერთა მომზადების ცენტრში.

სკოლის დამთავრების შემდეგ განათლების გასაგრძელებლად აგზავნიან ქ.გროდნოში, სადაც დაასრულა სწავლება 1924 წლის 10 ოქტომბერს. მსახურობდა პოლონეთის არმიის 29-ე ქვეით დივიზიაში, ჰქონდა მაიორის წოდება, მომავალში პოდპოლკოვნიკის წოდებით მსახურობდა პოლონეთის არმიის კავალერიის მე-11 პოლკში.

1943 წლის ზაფხულიდან 1944 წლამდე -,,აზერბაიჯანული კომიტეტის თავმჯდომარეა,, ბერლინში.

1943 წლის მაის-სექტემბერში - მეთაურობდა თურქთა 162-ე ქვეითი დივიზიის 314-ე ქვეით პოლკს .

1944 წლის 12 დეკემბრიდან მეთაურობს კავკასიის ,,CC,, -ის შენაერთის საბრძოლო ჯგუფ ,,აზერბაიჯანს,,.

1945 წლის 17 მარტს დაინიშნა პასუხისმგებელ პირად სამხედრო საკითხებში ,,აზერბაჯანულ ნაციონალურ კომიტეტთან,,

ომის დამთავრების შემდეგ გადაცემულ იქნა ამერიკელების მიერ საბჭოთა კავშირისათვის და 1945 წლის 11 ივლისს ბაქოს სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. დახვრეტილია.

**აჰმედ ბაირამყული ოღლი მამედოვი**
**(დ. 20.04.1956)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა ქ.თბილისში, საქართველოს სსრ.

1975-79 წლებში სწავლობდა ბაქოს უმაღლეს საერთო საჯარისო წითელდროშოვან სამეთაურო სასწავლებელში.

1990-92 წლებში სწავლობდა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში.

ყარაბაღში სამხედრო მოქმედებების დროს ჯებრაილთან, აღდამთან და ფიზულისთან ბრძოლებში მეთაურობდა ბრიგადას.

ომის შემდეგ მსახურობდა ბაქოს უმაღლეს გაერთიანებულ სამხედრო სასწავლებელში.



**ჰაჯირაგიმ სამედ ოღლი მამედოვი**
**(01.01.1948-13.12.2003)**
**გენერალ-მაიორი (21.04.1994)**

დაიბადა აღბულაღის რაიონის (ახლ.თეთრი წყაროს რაიონი) სოფელ შიჰლიში. (საქართველოს სსრ).

1967 წელს დაამთავრა მარნეულის სკოლა-ინტერნატი.

1967-70 წლებში სწავლობდა თბილისის უმაღლეს საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელში.

1976 წელს დაამთავრა ოფიცერთა ცენტრალური საარტილერიო კურსები.

1978-81 წლებში სწავლობდა ლენინგრადის სამხედრო საარტილერიო აკადემიაში.

1970-73 წლებში მსახურობდა ოცმეთაურად, 1973-75 წლებში საარტილერიო ბატარეის მეთაურად,1975-78 წლებში საარტილერიო დივიზიონის შტაბის უფროსად, 1981-82 წლებში საარტილერიო დივიზიონის მეთაურად.

1982-85 წლებში -საარტილერიო ბატალიონის შტაბის უფროსია.

1986-90 წლებში- საარტილერიო ბატალიონის მეთაურია.

1990-92 წლებში ტანკსაწინაღო საარტილერიო ბატალიონის მეთაურია (შორეულ აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში).

1992 წლის 18 ივნისს დაინიშნა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს არტილერიის სამმართველოს საბრძოლო

მომზადების განყოფილების უფროსად. ყარაბაღში სამხედრო მოქმედებების აქტიური მონაწილეა.

ბრძოლებში გამოჩენილი პირადი მამაცობისა და გმირობისათვის, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰ.ალიევის ბრძანებით მას მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

1999 წლიდან იყო აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და დემილიტაციის კომისიის წევრი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოსთან.

1994 წლის 20 ოქტომბრიდან 1997 წლის 30 დეკემბრამდე იმყოფებოდა პატიმრობაში ,,გენერალთა საქმეზე,,

ხანგრძლივი გამოძიებისა და სათანადო შემოწმების შემდეგ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰ.ალიევის განკარგულების საფუძველზე იქნა განთავისუფლებული პატიმრობიდან.

1998-99 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე.

1999-2004 წლებში ასრულებდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიის უფროსის მოვალეობას.



**ჯევანშირ გაჰრამან ოღლი მამედოვი**
**(დ. 1953)**
**პოლიციის გენერალ-მაიორი (30.06.2004)**

დაიბადა დმანისის რაიონის სოფელ შაჰმარლოში (საქართველოს სსრ).

1959-1963 წლებში სწავლობდა სოფელ შახმარლოს საშუალო სკოლაში.

1963-1967 წლებში გააგრძელა სწავლა დმანისის რაიონის, სოფელ გამარლის რვაწლიან სკოლაში.

1967-1969 წლებში სწავლობდა დმანისის რაიონის სოფელ იმირხასანის საშუალო სკოლაში.

1969-1974 წლებში სწავლობდა მ.აჰუნდოვის სახ. რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიურ ინსტიტუტი.

1975-1976 წლებში გადიოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურს საბჭოთა არმიაში ციმბირის სამხედრო ოლქში.

1979 წლიდან მუშაობდა შსს-ს ორგანოებში.

1979-1983 წლებში სწავლობდა და დაამთავრა კრასნოიარსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი

1983-1985 წელს სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა სსრკ შსს აკადემია.

1989-92 წლებში მუშაობდა ქ.ბაქოს პოლიციის ბინაგადის რაიონის განყოფილების უფროსად, ბაქოს პოლიციის მთავარი

სამმართველოს გაბნყოფილების უფროსად და უფროსის მოადგილედ.

1993 წელს მუშაობდა ქ.ბაქოს ყარადაღის პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსად, ქ.ბაქოს პოლოციის მთავარი სამმართველოს უფროსად.

1994-2016 წლებში ჯევანშირ მამედოვი მუშაობდა აზერბაიჯანის შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, უფროსად.
2016 წლის ივნისში ზღვრული ასაკის გამო გავიდა თადარიგში.

დაჯილდოებულია ,,აზერბაიჯანის დროშის,, ორდენით (2002) და სხვა ჯილდოებითა და სიგელებით.

მონაწილეობდა ყარაბაღის ომში და აქტიურად იყო ჩართული ტერ-ტერისა და გერანბოის რაიონებში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში.



**მინურ ისა ოღლი მამედოვი**
**(დ. 1924)**

დაიბადა ადიგენის რაიონის სოფელ მოხისში (საქართველოს სსრ)

მინურ მამედოვი წითელ არმიაში იბრძოდა 1942 წლიდან.

მოქმედ არმიაში გადიოდა სამხედრო სამსახურს 1943 წლის იანვრიდანა.

1944 წლის 26 ოქტომბერს, 1-ი უკრაინის ფრონტის, 38-ე არმიის, 340-ე მსროლელი დივიზიის, 1144-ე მსროლელი პოლკის ტყვიამფრქვევის გათვლის მეთაურმა, სერჟანტმა მინურ მამედოვმა ქ. იასლოსთან (პოლონეთი) წამოეწია თავისი ტყვიამფრქვევით შეტევაზე გადასული მებრძოლების წინ და თავისი ცეცხლით მოსპო მტრის სამი წერტი და გაანადგურა 16 ჰიტლერელი.

1944 წლის 12 ნოემბერს მინურ მამედოვი დაჯილდოვდა ,,დიდების,, ორდენის მე-III ხარისხით.

იმყოფებოდა რა ეხლა უკვე მე-4 უკრაინის ფრონტის, მსროლელი პოლკის ტყვიამფრქვევის გათვლის მეთაურად, უფროსმა სერჟანტმა მინურ მამედოვმა 1945 წლის 21 იანვარს სოფელ კომაროვიცესთან (პოლონეთი), ჩრდილო-აღმოსავლეთით გააჩუმა ორი ტყვიამფრქვევის წერტი და ლიკვიდაცია გაუკეთა მოწინააღმდეგის 9 ჯარისკაცს.

1945 წლის 8 მარტს დაჯილდოვდა ,,დიდების,, ორდენის მე-II ხარისხით.

1945 წლის 3-12 თებერვლის პერიოდში ქ.ბელსკო-ბიალასთან (პოლონეთი) ტყვიამფრქვევის ცეცხლით უკუაქცია

მტრის უამრავი კონტრშეტევა. ერთ  ერთი ბრძოლის დროს წინ მიუძღოდა თავის  ქვედანაყოფს, რითაც წარმატებით შეასრულა მის წინაშე დასმული ამოცანა.

1946 წლის 15 მაისს  მინურ მამედოვი დაჯილდოვდა ,,დიდების,, ორდენის  I-ი  ხარისხით.

1945 წლის 24 ივნისს  მონაწილეობდა  გამარჯვების აღლუმში წითელ მოედანზე, ქ.მოსკოვში.

1947 წლის მაისში უფროსი სერჟანტი მინურ მამედოვი დემობილიზებული იქნა ჯარიდან.

თადარიგში გასვლის შემდეგ  მუშაობდა საქონელმცოდნედ ბამბის დამზადების პუნქტში, ტაშკენტის ოლქის, ბუკინის რაიონში (უზბეკეთის სსრ).

1958 წლიდან მუშაობდა  აზერბაიჯანის სსრ, ყუბის რიონში დურგლად.

1980 წელს გადავიდა საცხოვრებლად ქ.ნართყალაში (ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, რსფსრ). მუშაობდა  რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს  მექანიზირებულ მოძრავი კოლონის სამშენებლო ბრიგადის ბრიგადირად,

მინურ მამედოვი დაჯილდოებული იყო ,,სამამულო ომის,, I-ი ხარ. და ,,წითელი ვარსკვლავის  ორდენებით.

1945 წლის 24 ივნისს  მინურ მამედოვი მონაწილეობდა გამარჯვების აღლუმში წითელ მოედანზე, ქ.მოსკოვში.

**ნიზამი სალეჰ ოღლი მამედოვი**
**(დ. 15.08.1946)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა ქ.თბილისში (საქართველოს სსრ).

1971-89 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ შსს-ს სისტემაში.

1989 წელს ოჯახთან ერთად გადავიდა მუდმივ საცხოვრებლად ქ.ბაქოში.

1989-95 წლებში მუშაობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში.

1995 წელს გაწვეულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. მსახურობდა აზაერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს უფროსად.

**ეივაზ აბდურაჰმან ოღლი მამედოვი**
**(დ.1921)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა ბორჩალოს მაზრის სოფელ სარვანში (მარნეული), საქართველოს სსრ.

ეივაზ მამედოვი (1941-45) წლების დიდი სამამულო ომის მონაწილეა, ომის დაწყების პირველი დღიდან.

1944 წლიდან მსახურობდა 1-ი უკრაინის ფრონტის "СМЕРШ"-ის სპეცგანყოფილებაში.

1955 წლამდე მსახურობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში.

1955-70 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, სადაც გაიარა გზა რიგითი ოპერატიული თანამშრომლიდან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემდე.

1970-82 წლებში მუშაობდა აზერბაიჯანის სსრ იუსტიციის მინისტრად.

1982 წლიდან მუშაობდა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსად.



**მეჰრალი ბეი (მამედალი ოღლი)**
**(1836-1906)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში.

(1853-56) წლების ყირიმის ომის დროს რუსეთსა და თურქეთს შორის მეთაურობდა ყარსის ცხენოსან ცალკეულ რაზმს.

ჰქონდა ოსმალეთის არმიის ფაშას წოდება, დანიშნული იყო ჰამდია ყარაფაფაჰის პოლკების მთავარსარდლად.

გარდაიცვალა და დაკრძალულია იემენში, სოფელ აჯი-იურთში. მისი გარდაცვალების დღე გამოცხადებული იყო ოსმალეთის იმპერიაში ეროვნული მწუხარების დღედ.



**თეიმურ რამიზ ოღლი მეჰთიევი**
**(დ. 25.06.1975)**
**გენერალ-მაიორი (05.05.2014)**

დაიბადა ქ.სოხუმში (აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ)

დაამთავრა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია.

2014 წლის მაისში დაინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების მინისტრის 1-ლ მოადგილედ.

**რაფაელ ჰალიდ ოღლი მირზოევი**
**(დ. 19.02.1959)**
**გენერალ-ლეიტენანტი**

დაიბადა მარნეულის რაიონში (საქართველოს სსრ)

დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმეწიფო უნივერსიტეტი.

მუშაობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების მინისტრის 1-ლ მოადგილედ.

დაჯილდოებულია ,,სამშობლოს სამსახურისათვის,, მე-III ხარისხის ორდენით.



**თავრიზ ტარიელის-ძე მუსა ზადე**
**(12.08.1981-02.04.2016)**
**მაიორი**

დაიბადა ქ.დმანისში (საქართველოს სსრ)
1999 წელს დაამთავრა ჯემშიდ ნახჭევანსკის სახ. სამხედრო ლიცეუმი.
2003 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის უმაღლესი სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებელი.
2004 წელს დაამთავრა ფრენის ტექნუკური მომზადების სასწავლო ცენტრი.
2011 წელს გაიარა კურსი ფრენების უსაფრთხოებაში თურქეთის რესპუბლიკაში.
2004 წლის 24 ივნისიდან მსახურობდა ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებში.
დაიღუპა აზერბაიჯანისა და სასომხეთის შორის გამყოფი ხაზის ბრძოლებში.
თავისი სამსახურის დროს აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახელით და თავდაცვის მინისტრის ბრძანებით იყო დაჯილდოებული 4 საბრძოლო მედლით.

## მუსა ალაზ ოღლი მუსაევი
## (დ. 25.06.1950)
## სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი

დაიბადა დმანისის რაიონის სოფელ შაჰმარლოში (საქართველოს სსრ)

1968 წელს 8-წლიანი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში (აზერბ.სსრ, ქ.ყაზახი)

1978 წელს დაამთავრა ლენინგრადის კიროვის სახ.სამხედრო-სამედიცინო აკადემია.

1978-83 წლებში მსახურობდა კასპიის სამხედრო ფლოტილიის ზღვის ზედა გემების დივიზიონის ექიმად.

1983-85 წლებში მსახურობდა კასპიის სამხედრო ფლოტილიის სადესანტო გემების ბრიგადის ფლაგმანის ექიმად.

1985-90 წლებში მსახურობდა იქვე ექიმ-ქირურგად.

1990-92 წლებში მსახურობდა კასპიის სამხედრო ფლოტილიის ჰოსპიტლის მთავარ ექიმად.

1992-2013 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო-სამედიცინო სამსახურის უფროსად.

მას ორჯერ აქვს მინიჭებული ,,ჯანდაცვის ორგანიზატორის,, წოდება (1994,1995)

.



**ბექირ დურსუნ ოღლი მუსტაფაევი**
**(11.02.1898 - 10.12.1978)**
**საბჭოთა კავშირის გმირი (16.05.1944)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, ახალციხის მაზრის სოფელ გლაზარში.

1921 წლიდან მუშაობდა სოფლის მეურნეობაში, იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

1941 წლის აგვისტოში გაწვეულ იქნა წითელ არმიაში.

1942 წლის მარტიდან მონაწილეობდა ბრძოლებში გერმანელ ფაშისტებთან კავკასიის მისადგომებთან. დაწინაურდა 1943 წლის შემოდგომაზე ქერჩისათვის ბრძოლებში.

გვარდიის რიგითმა ბექირ მუსტაფაევმა 164-ე გვარდიული მსროლელი პოლკის მედესანტეების პირველ ჯგუფთან გადალახა ქერჩის სრუტე.

1943 წლის 3 ნოემბერს ქ.ქერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლაში, ბექირ მუსტაფაევი, მიიწევდა რა ძოტისკენ, რომელიც განლაგებული იყო სიმაღლეზე და დააყარა მას ხელყუმბარები, ამასთან ერთად ამ ბრძოლაში ბექირ მუსტაფაევმა გაანადგურა 5 ჰიტლერელი. გვარდიელები, აღფრთოვანებულნი თანაპოლკელის მაგალითით, წამოიწიეს შეტევაზე და ხელთ იგდეს სტრატეგიული სიმაღლე.

სანგრებისათვის ბრძოლაში ბექირ მუსტაფაევმა გაანადგურა 4 ფაშისტი, ხელთ იგდო ხელის ტყვიაფრქვევი და გაუხსნა ცეცხლი მოწინააღმდეგეს. დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დატოვა. სულ ბრძოლებში ქერჩის ნახევარკუნძულზე რიგითმა ბექირ მუსტაფაევმა გაანადგურა ჰიტლერელთა 40 ჯარისკაცი და ოფიცერი.

*სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 16 მაისის ბრძანებულებით, სარდლობის დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის და გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის, რიგით ბექირ დურსუნის-ძე მუსტაფაევს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ლენინის ორდენისა და მედლის ,,ოქროს ვარსკვლავის,, გადაცემით.*

მამაცი გვარდიელი ბექირ მუსტაფაევი მონაწილეობდა ყირიმისა და უკრაინის განთავისუფლებაში. ომის შემდეგ ბ.დ.მუსტაფაევი დემობილიზებული იქნა. ცხოვრობდა და მუშაობდა უზბეკეთის სსრ, სამარყანდის ოლქის სოფელ ქაინამაში.

გმირის სახელს ატარებს ქუჩა სოფელ ქაინამაში.

**ჰეიდარ ჰალაი ოღლი ნაბიევი**
**(28.01.1957 - 2018)**
**პოლკოვნიკი (1995)**

დაიბადა დმანისის რაიონის სოფელ ორმაშენში (საქართველოს სსრ)

1975 წელს რუსთავის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1978-92 წლებში მსახურობდა საკავშირო სუკ-ში. დაამთავრა საკავშირო სუკ-ის უმაღლესი სკოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სამსახურის დროს არაერთხელ იყო მოვლინებული ვიეტნამში.

1992 წლიდან მსახურობდა აზერბაიჯანის რესპუბლოკის ნაციონალური უსაფრხოების სამინისტროს ორგანოებში.

1994-97 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის აპარატის თავმჯდომარედ.

1997-2004 წლებში მსახურობდა ბაქოს გარნიზონის კონტრრდაზვერვის უფროსად.



**ნარიმან ქელბალაი ნაჯაფ ოღლი**
**(ნარიმან ნარიმანოვი)**
**(02(14)05.1870 - 19.03.1925)**

დაიბადა ტფილისში, ღარიბ აზერბაიჯანულ ოჯახში.

1882 წელს ის მიიღეს ამიერკავკასიის სამასწავლებელო სემინარიაში, სადაც მან დაასრულა კურსი.

1890 წელს, ნარიმან ნარიმანოვმა დაამთავრა ამიერკავკასიის სამასწავლებელო სემინარია ქ.გორში. სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შემდეგ, იგი დანიშნეს ტფილისის გუბერნიის,ბორჩალოს მაზრის სოფელ ყიზილ -აჯლოს მასწავლევბლად.

1891 წელს გადავიდა ბაქოში, სადაც შევიდა სამსახურში პროგიმნაზიაში, მოგვიანებით კი მუშაობდა ბაქოს რეალურ სასწავლებელში და ბაქოს ვაჟთა გიმნაზიაში, სადაც ნარიმანოვი გეგმავდა საჯარო სამკითხველო ბიბლიოთეკის შექმნას. მისი მცდელობები დადებითად დაგვირგვინდა.

1894 წლის 1 აგვისტოს ბაქოში გაიხსნა აზერბაიჯანში პირველი საჯარო ყველასთვის მისაღწევი სამკითხველო

ლიტერატურით მშიბლიურ ენაზე, რომელიც იქცა მთელი მუსლიმი კავკასიისათვის საგანმანათებლო ცენტრად.

სამკითხველოს მოღვაწეობის წინააღმდეგ გამოვიდა სასულიერო საზოგადოება. ნარიმან ნარიმანოვს დასდეს ბრალი ახალგაზრდობის გონების გაყვრნილობაში, ხოლო თვითონ ბობლიოთეკა იქნა დახურული მთავრობის მიერ 1898 წლის 5 ოქტომბერს ,,მავნე მიმართულებისათვის,,

იმ პერიოდში ნ.ნარიმანოვის მოღვაწეობა ატარებდა საგანმანათებლო ხასიათს. დიდ ყურადღებას აქცევდა ის მშობლიურ ენას.

1899 წელს მან შეადგინა სახელმძღვანელო ,,თურქულ-აზერბაიჯანული ენის მოკლე გრამატიკა,, , რომელიც დაისტამბა ბაქოში. ეს ნაშრომი დიდი ხნის მანძილზე ემსახურებოდა სახელმძღვანელოდ აზერბაიჯანელი ბავშვების მიერ მშობლიური ენის გრამატიკის შესწავლაში.

იმავე წელს გამოვიდა მისი მეორე სახელმძღვანელო ,,რუსული ენის თვითშემსწავლელი,,. ნარიმანოვი გამოდიოდა აზერბაიჯანული ენის სიწმინდისათვის, მკაცრად აკრიტიკებდა მათ, ვინც ნაკლებად აფასებდა თავის ენას. თავის ერთ-ერთ სტატიაში, გამოქვეყნებულს გაზეტში, მან თავისებურად გამოხატა თავისი სიყვარული ენისადმი:

*,,მშობლიური ენა! ენა,რომლითაც შენ გიხსნის სიყვარულს უმშვენიერესი არსება! ენა, რომლის ხმოვანობა და სიამოვნება იქნა გაგონილი შენს მიერ ,,ნანინას,, სახით, რომელიც თქვენი სულის ღრმა კუთხეებში ჩაიბეჭდა! ".*

ნ.ნარიმანოვი ორგანიზებას უკეთებს რიგ წარმოდგენას, შეგროვილ თანხებს კი იძლევა ბიბლიოთეკის შენახვაზე და მოსწავლეთა დასახმარებლად.

ამავე დროს მან მიმართა ბეჭვდითი საქმეების მთავარ სამმართველოს თხოვნით მიეცათ მისთვის უფლება გამოეცათ აზერბაიჯანულ ენაზე პარალელური თარგმანით ყოველკვირეული გაზეთი ,,თაზა ხაბარლარ,, (,,ახალი ამბები,,), მაგრამ მიიღო უარი.

1902 წელს ეწყობა ნოვოროსისკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

1903 წელს მეორე კურსის სტუდენტები დგამენ სავაჭრო პორტში მატროსებსა და მტვირთავებისთვის ტურგენევის კომედიას ,,უცოლო,, დამდგმელი და მთავარი შემსრულებელუი თვით ნარიმან ნარიმანოვი იყო. ნოვოროსისკის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ექიმად.

1905 წელს შევიდა მუსლიმთა სოციალ-დემოკრატიულ პარტია ,,გუმეთში,,

1906 წელს მან პირველად თარგნბა აზერბაიჯანულ ენაზე რსდპ-ს პროგრამა. მაშინვე, იყო რა სოციალ-დემოკრატიული პარტიია ,,მუჯაჰედის,, თავკაცი, აგზავნის სპარსეთში აგიტატორებს.

1908 წელს ღებულობს ექიმის დიპლომს. მუშაობს ექიმად ტფილისსა და ბაქოში.

1909 წლის 1 მარტს ნარიმანოვი დაპატიმრებულ და მოთავსებულ იქნა ტფილისის მეტეხის საპყრობილეში. მისმა დაპატიმრებამ გამოიწვია ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი. აგვისტოში ნარიმან ნარიმანოვი გადაასახლეს ასტრახამნის მხარეში 5 წლის ვადით.

1911 წელს პოლიტიკურად გადასხლებული დოქტორი უწევს დახმარებას რუს ბიოლოგ ი.ი. მეჩნიკოვს (1845-1916), შავი ჭირის კერების გამოკვლევაში ყირღიზეთის ტრამალების სიღრმეში.

1912 წელს ნარიმანოვს ირჩევენ ,,სახალხო უნივერსიტეტების,, საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ აქსტრახანში.იმყოფებოდა რა ასტრახანში, ნარიმანოვი ეწეოდა კულტურულ-გამანათებლურ მოღვაწეობას.

1914 წლის მაისში ნარიმანოვი იღებს ექიმის ადგილს ბაქოში ,,შავი ქალაქის,, დროებით სამკურნალოში.

1916 წლის დეკემბერში მას ირჩევენ ,,სახალხო სახლის,, გამგეობაში, რომელიც ითვლებოდა ბაქოს ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციის ლეგალურ ფრთად.

1917 წლის მარტში ხდება რსდრპ (ბ) ბაქოს კომიტეტის წევრად. 3 ივლისიდან აზერბაიჯანულ ენაზე დაიწყო გამოსვლა გაზეთმა ,,გუმეთმა,, რომლის რედაქტორი იყო ნარიმანოვი.

1918 წლის მარტში შედის ბაქოს რევოლუციური დაცვის კომიტეტში. აპრილ-მაისში მუშაობდა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს ქალაქური მეურნეობის კომისრად. მოგვიანებით იყო ასტრახანის გუბერნიის სახალხო განათლების კომისარიც.

1919 წელს ლენინის წინადადებით ნარიმანოვი იქნა დანიშნული საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგედ.

1920 წლის 27/ 28 აპილის ღამით ბაქოში დაიწყო მუშათა და კომუნისტთა შეიარაღებული აჯანყება. ამავდროულად მე-XI წითელი არმიის ნაწილებმა გადალახეს აზერბაიჯან-რუსეთის საზღვარი.

ელვისებური ოპერაციის მსვლელობისას მუსავატური მთავრობა იქნა დამხობილი და აზერბაიჯანში იქნა აღდგენილი საბჭოთა ხელისუფლება.

აზერბაიჯანის კპ (ბ) მიერ იქნა დაწესებული დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ნ.ნარიმანოვის ხელმძღვანელობით.

16 მაისს სპეციალური მატარებელი ნარიმან ნარიმანოვით შემოვიდა ბაქოს სადგურში.

იმავე დღეს ის იკავებს აზერბაიჯანის სამხედრო-რევოლუციური დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას.

1922 წლის 12 მარტს ნარიმანოვი ხდება ამიერკავკასიის სფსრ საკავშირო საბჭოს თავმჯდომარედ და რჩებოდა ამ პოსტზე 13 დეკემბრამდე.

იმავე წლის 30 დეკემბერს სსრკ ცაკ-ის 1-ლი სესიის დადგენილებით ნარიმან ნარიმანოვი დაინიშნა სსრკ ცაკ-ის თავმჯდომარედ.

1923 წლის 25 აპრილს აირჩიეს რკპ(ბ) ცკ წევრობის კანდიდატად.

ტერიტორიული დავების გადაწყვეტისას ნარიმანოვმა შეასრულა უდიდესი როლი მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით, რომელთა შედეგად მთიანი ყარაბაღი დარჩა აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

ეხებოდა რა აზერბაიჯანის სსრ სუვერენიტეტს, ის აღნიშნავდა, რომ:

*,,..... ყველა ჩვენი დაწესებულება თავისუფალი და დამოუკიდებელია, და არსაიდან არაა არავითარი ზეწოლა და ჩვენ არც არავის არ ვეკითხებით: შეიძლება თუ არა გამოვცეთ ასეთი და ასეთი კანონები,,* მაგრამ აზერბაიჯანის სუვერენიტეტი საჭიროებს ძმურ თანამშრომლობას და ურთიერთ დახმარებას:

,,დღეს, საკითხი (დამოუკიდებლობის შესახებ - ავტ.შენიშვნა) დგას ასეთ განზომილებაში: სომხეთის რესპუბლიკა მთლიანად დამოკიდებულია ჩვენზე, რადგან ყველაფერს მიიღებს საბჭოთა აზერბაიჯანისგან. საქართველოში ჩვენ სრულიად უსასყიდლოდ ვაგზავნით ნავთობს, არანაირი ანგარიშებით, საბჭოთა რუსეთი გვიგზავნის 25000 სამხედრო ტანსაცმლის კომპლექტს, მილიონობით ფუთს პურს, შაქარს და სხა და სხვას, და არანაირი ბუღალტერია ამ საკითხებზე არ წარმოებს,,

1920-22 წლებში ნ.ნარიმანოვი იყო ახერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. მის სახელთანაა დაკავშირებული 1-ი საკავშირო თურქოლოგიური ყრილობის ჩატარება.

1922 წელს ნ.ნარიმანოვი საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში ქ.გენუაში (იტალია).

მთელი 1924 წლის მანძილზე დაკავებული იყო რა სახელმწიფო სამსახურით, კითხულობდა ლექციებს სსსრ ცაკ-თან არსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში, თანამშრომლობდა გაზეთებ ,,პრავდასა,, და ,,იზვესტიასთან,,

ნარიმან ნარიმანოვი გარდაიცვალა მოსკოვში, წითელი მოედნის შორიახლოს, გულის შეტევით.

ურნა მისი ფერფლით მოთავსებულია კრემლის კედელში.

დაჯილდოებული იყო
,,წმ.სტანისლავის,, მე-III ხარ.ორდენით (1899)
,,წითელი დროშის,, ორდენით (რსფსრ,1921)
აზერბაიჯანის სსრ სამკერდე პროლეტარული ნიშნით. არჩეულ იქნა დაღესტნის ასსრ საპატიო მოქალაქედ.

**ნაბი ალი რზა ოღლი ნასიბოვი**
**(1950 - 24.11.1994)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში (საქართველოს სსრ).

1967 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

1968 წელს დაამთავრა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში.

1968-70 წლებში სწავლობდა ნოვოჩერკასკის სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებელში.

1990 წელს დაამთავრა ლენინის სახ. სამხედრო-პოლიტიკური აკადემია.

სხვადასხვა წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში და ჯარების ცენტრალურ დაჯგუფებაში (ჩეხოსლოვაკიაში).

1979-82 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის შეზღუდულ კონტინგენტში ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დივიზიის მეთაურის მოადგილედ პოლიტნაწილში.

1982-85 წლებში მსახურობდა ანალოგიურ თანამმდებობაზე ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში.

1985-91 წლებში მსახურობდა საბჭოთა ჯარების დაჯგუფებაში გერმანიაში.

1992 წელს გავიდა თადარიგში.

1992-94 წლებში მუშაობდა დონის როსტოვის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის უფროსად.

გარდაიცვალა უეცრად სამსახურში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ იორმუღანლოში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა წითელი დროშის ორო ორდენით (1980,1981). მიღებული ჰქონდა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯილდოები.



**თეიმურ ბეგ ნოვრუზოვი**
**(20. 04. 1880 – 23. 01. 1961)**
**გენერალ-მაიორი (02. 08. 1919)**

დაიბადა რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტ მირზა ჰაჯიბეგ ნოვრუზოვის ოჯახში.

ერთ-ერთი ვერსიით ნოვრუზოვები წარმოშობით იყვნენ განჯის ბეგების ძველებური გვარიდან, ამავდროულად იყვნენ ტფილისიის გუბერნიის აზნაურებიც.

დაწყებითი განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში.

1898 წლიდან სწავლობდა ელისავეტგრადის იუნკერთა კავალერიის სასწავლებელში.

1900 წელს თეიმურბეგ ნოვრუზოვი ჩარიცხულ იქნა ნოვოტროიცკო-ეკატერინოსლავის დრაგუნთა მე-10 პოლკში იუნკერად.

1901 წელს იუნკერმა ნოვრუზოვმა მიიღო კავალერიის პირველი წოდება -ის გახდა კორნეტი.

წარჩინებით დაამთავრა კავალერიის ოფიცერთა სკოლა.
1905 წლიდან -პორუჩიკია,1909 წლიდან- შტაბს-როტმისტრი,1913 წლიდან- როტმისტრი.

პირველ მსოფლიო ომს შეხვდა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სახელის ნიჟეგოროდის დრაგუნთა მე-17 პოლკის მე-4 ესკადრონის მეთაურად. ეს პოლკი შედიოდა

კავკასიის კავალერიის დივიზიაში და ითვლებოდა რუსეთის არმიის ყველაზე დამსახურებულ პოლკად. ამ პოლკში ოდესღაც მსახურობდა თეიმურ ბეგის ბიძა, გიორგის ირდენის კავალერი, ქერიმ ბეგ ნოვრუზოვი და მსახურობდა ისე, რომ მის გამბედაობას და ვაჟკაცობას ადიდებდნენ ნიჟეგოროდელები სიმღერაში.

საერთო მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ნიჟეგოროდელები ეშელონებით, რომლებიც იყო გაწელილი ასობით კილომეტრით რკინიგზის გასწვრივ, გაემგზავრნენ პოლონეთში, სადაც პოლკმა დაიწყო თავისი საბრძოლო მოქმწედებები.

რუსეთის იარაღის და რუსეთის საბრძოლო დიდების ისტორიაში შევიდა ნიჟეგოროდელთა რამოდენიმე ბრწყინვალე ცხენოსანი შეტევა, რომელთა შორისაა, 1914 წლის 10 ნოემბრის შეტევა სადგურ კოლიუშკინოსთან, სადაც განსაკუთრებით დაწინაურდა მე-4 ესკადრონი, რომელმაც ხელთთ იგდო გერმანელთა მძიმე ბატარეის ოთხი იარაღი, ხოლო მისი მეთაური თეიმურ ბეგ ნოვრუზოვი დაჯილდოვდა წმ.გიორგის მე-IV ხარ. ორდენით.

1915 წელს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი დააბრუნეს ამიერკავკასიაში, თურქეთის ფრონტზე.

გენერალ ბარატოვის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში პოლკი ღებულობდა მონაწილეობას რეიდში სპარსეთის ტერიტორიაზე და ამ რეიდმა დაიმორჩილა მთელი ადგილობრივი მოსახლეობა. დაარტყეს რა წრე ურმიის ტბას და ღრმად ჩაინერგნენ თურქეთის ტერიტორიაზე, ნიჟეგოროდელები 6 ივნისს შევიდნენ ქალაქ ვანში.

1917 წლის ნოემბერში პოდპოლკოვნიკი თეიმურ ბეგი მსახურობღა კავკასიის ,,ველური,, ცხენოსანი კორპუსის (ყოფილ კავკასიის ,,ველური,, ცხენოსანი დივიზიის, უფრო ცნობილს ,,ველური დივიზიის,, სახელით), თათართა (აზერბაიჯანელთა) ცხენოსან პოლკში.

მაგრამ 1918 წლის იანვრისთვის კავკასიის ,,ველურმა,, ცხენოსანმა დივიზიამ, უფრო ცნობილმა, როგოც ,,ველურმა

დივიზიამ,, შეწყვიტა თავისი არსებობა რუსეთის არმიის დაშლასთან ერთად.

სამხედრო სამსახურის დროს რუსეთის საიმპერატორო ჯარში თეიმურ-ბეგ ნოვრუზოვი დაჯილდოვდა რუსეთის ორდენებით:

,,წმ.სტანისლავის,, მე-III ხარ.

,,წმ.ანას,, მე-III და მე-II ხარ.

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV ხარ.

,,გიორგის ჯვრის,, I-II-III-IV ხარ.(სრული ბაფთა)

ზოგიერთი ცნობებით დაჯილდოებული იყო საფრანგეთის ,,საპატიო ლეგიონის,, ორდენით.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1918 წელს იღებდა აქტიურ მონაწილეობას ეროვნული შეიარაღებული ძალების ფორმირებაში.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ იქნა დანიშნული კავალერიის ცხენოსანი დივიზიის მეთაურად, რომლის შტაბი განლაგებული იყო განჯაში.

1920 წლის მაისში ის იყო ერთ ერთი ხელმძღვანელი განჯაში ანტისაბჭოთა აჯანყებისა, რომელიც სასტიკად იყო ჩახშობილი წითელი არმიის ნაწილების მიერ.

1920 წელს, ბოლშევიკების დევნის შემდეგ, თავისი თავის გადარჩენის მიზნით, საქართველოს გავლით წავიდა ემიგრაციაში ჯერ გერმანიაში, იქიდან კი საფრანგეთში. იყო რიგ სამხედრო ორგანიზაციათა წევრი.

1938 წელს მონაწილეობდა ,,რუს სამხედრო ინვალიდთა კავშირის,, ყრილობაში პარიზში, იქნა არჩეული ყრილობის გამგეობაში. აგრეთვე იყო იმპერატორ ნიკოლოზ II ხსოვნის მოამაგეთა კავშირის,, წევრი.

გარდაიცვალა მცირე საკურორტო ქალაქ მენტონაში, საფრანგეთის აღმოსავლეთით, ნიცადან 30 კმ, ხმელთაშუა ზღვის ლაჟვარდოვან ნაპირზე (ზღვისპირა ალპების დეპარტამენტი). დაკრძალულია ნიცაში, ქოქადის სასაფლაოზე.



**მამედ ოსმან ოღლუ ოსმანოვი**
**(18.06.1910 - 15.10.1975)**
**გვარდიის პოლკოვნიკი (19.10.1943)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, ახალციხის მაზრის, სოფელ აწყურში.

1928 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში. 1931 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ქვეითი სკოლა.

1941 წელს დაამთავრა ფრუნზეს სახ.სამხედრო აკადემია. ომის დროს მსახურობდა დივიზიის შტაბის დაზვერვის განყოფილების ურფოსად, დივიზიის შტაბის უფროსად.

1943 წლის 31 მარტიდან 1943 წლის 16 სექტემბრამდე - 229-ე მსროლელი დივიზიის (მე-2 ფორმირების) მეთაურია.

მონაწილეობდა ლენინგრადის ბლიკადის გარღვევაში, ათავისუფლებდა ფსკოვსა და ნოვგოროდს, მონაწილეობდა კენიგსბერგის შტურმში.

1945 წელს დაამთავრა კ.ვოროშილოვის სახ. გენერალური შტაბის აკადემია და მომდევნო სამხედრო სამსახურისათვის გაიგზავნა შორეულ აღმოსავლეთში. მონაწილეობდა მანჯურიაში იაპონიის კვანტუნთა არმიის დამარცხებაში, მონაწილეობას იღებდა საბრძოლო მოქმედებებში კორეის ნახევარკუნძულზეც.

1959 წელს გავიდა თადარიგში. მუშაობდა სამხედრო კათედრის უფროსად აზერბაიჯანის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და კეთილსინდისიერი შრომისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის, 2 წითელი დროშის, სამამულო ომის I-ი და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქალაქ ბაქოში.



**მანსურ მირზა ყაჯარი**
**(03.09.1869 - 1931)**
**პოლკოვნიკი (14.01.1915)**

დაიბადა ქ.ტფილისში.

მანსურ მირზა ყაჯარი წარმოშობით იყო ყაჯართა აზერბაიჯანული დინასტიიდან, რომელიც მეფობდა სპარსეთში 1796-1925 წლებში.

იყო სპარსეთის პრინცის, ხან ბაბა ხანის შვილი, რომელიც მსახურობდა დანიის მეფის ქრისტიან IX სახელის სევერსკის მე-18 დრაგუნთა პოლკში პოლკოვნიკად. აგრეთვე იყო სპარსეთის პრინცის ბაჰმან მირზას და ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალ-განმანათებლის მირზა ფათალი აჰუნდოვის შვილიშვილი.

მანსურ მირზა ყაჯარმა ზოგადი განათლება მიიღო ვლადიკავკაზის რეალურ სასწავლებელში.

სამხედრო სამსახურში დაიწყო რიგითად ტვერის დრაგუნთა პოლკში 1888 წლის 31 ოქტომბერს.

1889 წლის 9 მაისს მიენიწა უნტერ-ოფიცრის წოდება.

1889 წლის 14 ივლისს მივლინებულ იქნა ელისავეტგრადის იუნკერთა კავალერიის სასწავლებელში.

1891 წლის 27 ივლისს, სასწავლებლის 1-ი თანრიგით დამთავრებისთანავე მიენიჭა ესტანდარტ-იუნკერის წოდება.

1892 წლის 18 მაისიდან გადაყვანილ იქნა კორნეტად გენერალ-ფელდმარშალ, გრაფ მინიჰის სახელის სამხედრო

ორდენის 37-ე დრაგუნთა პოლკში. უფროსობა წოდებაში დაუდგინდა 1891 წლის 1 სექტემბრიდან.

1896 წლის 15 მარტს მიენიჭა პორუჩიკის წოდება.

იმავე წლის 20 აპრილს ებოძა იმპერატორ ალექსანდრე III მეფობის სამახსოვრო ვერცხლის მედალი.

მანსურ მირხა ყაჯარი იმყოფებოდა იმ ჯარების შემადგელობაში, რომლებიც მონაწილეობდნენ იმპერატორ ნიკოლოზ II კორონაციაში, და მას უბოძეს სხვებთან ერთად სამახსოვრო ვერცხლის მედალი.

1898 წლის 15 მარტს მიენიჭა შტაბს-როტმისტრის წოდება.

1898 წლის 13 ოქტომბერს მანსურ მირზა ყაჯარი მივლინებულ იქნა კავალერიის მსროლელთა სკოლაში ესკადრონის და ასეულის მეთაურთა კურსის გასავლელად .

კავალერიის მსროლელთა სკოლა წარჩინებით დაამთავრა და 1900 წლის 15 ოქტომბერს დაბრუნდა თავის პოლკში.

1901 წლის 17 სექტემბერს დაინიშნა პოლკის სასწავლო გუნდის გამგედ.

1901 წლის 30 ოქტომბერს ნება დართეს მიეღო და ეტერებინა სპარსეთის ლომისა და მზის ორდენის მე- III ხარისხი.

1902 წლის 15 ივლისიდან 18 ოქტომბრამდე მანსურ მირზა ყაჯარი დროებით მეთაურობდა მე-2 ესკადრონს.

1902 წლის 20 დეკემბრს დაინიშნა მე-2 ესკადრონის მეთაურად.

1903 წლის 8 სექტემბერს დაჯილდოვდა ,,წმ.სტანისლავის,, მე-III ხარ. ორდენით.

1904 წლის 19 თებერვალს მანსურ მირზა ყაჯარი მივლინებულ იქნა ამურის კაზაკთა ჯარის ატამანის განკარგულებაში. მონაწილეობდა (1904-05) რუსეთ-იაპონიის ომში.

1904 წლის 20 აპრილს დაინიშნა ამურის კაზაკთა პოლკის მე-4 ასეულის მეთაურად. იმავე წლის 7 ივლისს გადაერქვა სახელი და ეწოდა პოდიასაული.

1906 წლის 6 იანვარს მანსურ მირზა გადაყვანილ იქნა გენერალ-ფელდმარშალ, გრაფ მინიჰის სახელის სამხედრო ორდენის 37-ე დრაგუნთა პოლკში შტაბს-როტმისტრად.

იმავე წლის 28 იანვარს მანსურ მირზა ყაჯარი დაინიშნა მე-3 ესკადრონის მეთაურად.

რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილეობისათვის მიღებული ჰქონდა შემდეგი ჯილდოები:

,,წმ.ანას,, მე-IV (მამაცობისათვის-1904 7 ნოემბერს) და მე-II ხარ.(მახვილებით);

,,წმ.სტანისლავის,, მე-III (1903) და მე-II ხარ.(მახვილებით-1905);

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV ხარ.(მახვილებითა და ბაფთით-1905 წლის 7 თებერვალს);

1907 წლის 8 მაისს წელთა ნამსახურეობის გამო მანსურ მირზა ყაჯარს მიენიჭა როტმისტრის წოდება.

1908 წლის 20 თებერვალს ავადმყოფობოს გამო გავიდა თადარიგში მაგრამ იმავე წლის 30 აპრილს კვლავ იქნა მიღებული ობერ- ოფიცრად განსაკუთრებულ დავალებათა დარგში ბაქოს ქალაქის თავთან (ფულადი კმაყოფის გარეშე).

1908 წლის 18 სექტემბრიდან ჩარიცხული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროში როტმისტრად.

1910 წლის 15 ოქტომბერს მანსურ მირზა ყაჯარს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება.

1913 წლის 13 იანვარს საბოლოოდ გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წლის 23 სექტემბერს პრინცი მანსურ მირზა ყაჯარი იქნა აყვანილი კიევის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში. იქნა დაჭრილი.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა:

გიორგის ოქროს იარაღით (1916 წლის 7 თებერვალს)

*,,....იმისთვის, რომ 1915 წლის 10 ივნისის ბრძოლაში სოფელ რუძვიანისთან 3 ესკადრონით გადავიდა შეტევაზე მასზე კონტრშტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეზე...და მიიღო რა თვითონ კონტუზია, დარჩა მწყობრში, უკუაგდო მოწინააღმდეგე*

*მდინარე დნესტრის ნაპირამდე და გამაგრებული იქნა დაკავებულ სანგრებში დღე-ღამის განმავლობაში და შეტევისას ხელთ იგდო 100-ზე მეტი ტყვე.,,*

რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებით, სტაროდუბოვსკის დრაგუნთა მე-12 პოლკის პოლკოვნიკი მანსურ-მირზა იქნა დანიშნული ახტირსკის ჰუსართა მე-12 პოლკის მეთაურად.

თანახმად მოწმობისა, რომელიც გაიცა ოდესაში, პოლკოვნიკი მანსურ მირზა ყაჯარი რჩებოდა პოლკის მეთაურად 1917 წლის დეკემბრამდე (მოწმობა ინახება აზერბაიჯანის ეროვნული ისტორიის მუზეუმში).

1918 წლის მარტში იმყოფებოდა ბაქოში. მოგვიანებით მუშაობდა სამოქალაქო სამსახურში. გარდაიცვალა მიოკარდიტისგან. დაკრძალულია ბაქოში.



**სეიფულა მირზა ყაჯარი**
**(აზერბ. Seyfulla Mirzə Qacar)**
**(06.03.1864–09.07.1929)**
**პოლკოვნიკი (19.07.1915)**

დაიბადა ქ.ტფილისში, სპარსეთის პრინცის, ბაჰმან მირზას ოჯახში.

საერთო განათლება მიიღო მშობლების სახლში და კავკასიის სასწავლო ასეულში.

1880 წლის 10 დეკემბერს უმაღლესი ბრძანებულებით ჩაირიცვა პრაპორშიკად საარმიო ქვეითებში.

1881 წლის 28 მარტს სეიფულა მიეზა ყაჯარი მივლინებული იქნა შავიზღვის 149-ე ქვეით პოლკში.

1882 წლის 25 დეკემბერს, მივლინების დამთავრებისთანავე დაინიშნა ყუბანის კაზაკთა ჯარის კავკასიის 1-ლ ცხენოსან პოლკში,მე-3 სზეულის სუბალტერნ-ოფიცრად.

1884 წლის 24 მარტიდან 1885 წლის 10 იანვრამდე სეიფულა მიეზა ყაჯარი მივლინებული იქნა პოლკის 4 ასეულთან ერთად იმიერკასპიის ოლქის მერვის სიმაგრეში.

1885 წლის 18 დეკემბერს მივლინებულ იქნა ყუბანის კაზაკთა ჯარის პოლტავის 1-ლ ცხენოსან პოლკში.1886 წლის 4 თებერვალს დაინიშნა მე-3 ასეულის სუბალტერნ-ოფიცრად.

1884 წლის 30 აგვისტოდან პოდპორუჩიკი იყო. მონაწილეობდა 1884-1885 წწ. კამპანიაში.1888 წლის 30

აგვისტოდან პორუჩიკი იყო, 1899 წლის 15 მარტიდან შტაბს-კაპიტანი და 1900 წლის 6 მაისიდან -კაპიტანი.

1900 წლის 20 ოქტომბერს სეიფულა მირზა ყაჯარი გადაყვანილ იქნა ყურინის 79-ე ქვეით პოლკში,ასეულის მეთაურად,(სადაც იმსახურა 10 წ.4 თ.13 დ.)

1913 წლის 15 მაისიდან იმავე წოდებით მსახურობდა ლორეს 208-ე ქვეით პოლკში.

სეიფულა მირზა ყაჯარი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში.

1916 წლის 8 იანვარს გადაყვანილ იქნა შამაქის 205-ე ქვეითი პოლკში, ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე.

1917 წლის 19 თებერვალს დაჯილდოვდა გიორგის იარაღით:

*,,იმისთვის, რომ პოდპოლკოვნიკად ყოფნისას, 1915 წლის 22 აპრილს ბრძოლის დროს, სოფელ სედალსკისთან, როცა მის პოლკს ებრძანა უკან დახევა, ხოლო მოწინააღმდეგემ დაიწყო შეტევა მის ბატალიონზე, მიუხედავად მიღებული კონტუზიისა, ენერგიულად გადავიდა კონტრშეტევაზე გერმანელების დაკავების მიზნით და მიეცა საშუალება მეზობელ ბატალიონებისათვის მშვიდობიანი გადაადგილებისთვის. მოწინააღმდეგის მიერ ალყაშემორტყმულმა მოახერხა ალყის გარღვევა და შეუერთდა თავის პოლკს.,,*

1917 წლის 6 მარტს სეიფულა მირზა დაინიშნა იმიერამურის მე-15 სასაღვრო-ქვეითი პოლკის მეთაურად.

დაჯილდოებული იყო ორდენებით: ,,წმ.ანას,, მე-III(1910) და ,,წმ.სტანისლავის,, მე-II ხარ.(1913);

1918 წლის 15 ნოემბერს სეიფულა მირზა ყაჯარი დაინიშნა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი შტაბის საინტენდანტო სამსახურის უფროსად.

1920 წელს ასრულებდა დავალებათა შტაბ-ოფიცრის მოვალეობას აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრთან.

აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ დადადგა სამხედრო სამსახურიდან. გარდაიცვალა და დაკრძალულია ბაქოში.



**ვეზირ ისა ოღლი სადიევი**
**(06.06.1961 - 19.02.1993)**
**მაიორი (1992)**
**აზერბაიჯანის ეროვნული გმირი**
**(15.01.1995)**

დაიბადა მარნეულის რაიონის, სოფელ აშაღი გულარში.

ვეზირ სადიევი მსახურობდა ოფიცრად საბჭოთა ჯარში, იყო სარაკეტო და საარტილერიო ჯარების სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსის მოადგილე.

1986-87 წლებში მსახურობდა ავღანეთში, 66-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადის საარტილერიო ბატარეის მეთაურად. საბრძოლო დამსახურებისთვის ვეზირ სადიევი დაჯილდოვდა ,,წითელი ვარსკვლავისა,, და 1 ავღანური ორდენით.

1992 წელს შევიდა აზერბაიჯანის არმიის რიგებში მსახურობდა მაიორად საარტილერიო და სამხედრო-საჰაერო ძალების სისტემაში. ვეზირ სადიევი აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლებში ლაჩინის, გუბადლის, ფიზულისა და აგდერინის მიმართულებებზე.

1993 წლის 19 თებერვალს ვეზირ სადიევი გმირულად დაეცა აღდერინის რაიონის სოფელ ათერქისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის 1995 წლის 15 იანვრის № 262 ბრძანებით ვეზირ ისა ოღლი სადიევს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ,,აზერბაიჯანის ეროვნული გმირის,, წოდება.

დაკრძალულია ქ.ბაქოში, შეჰიდების ხეივანში.



**ჯანგირ აჰმედ ოღლუ სალაჰლი**
**(23.09.1919 - 1989)**
**სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი**

დაიბადა ქ.ტფილისში.

1937 წელს, ჯანგირ სალაჰლი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადავიდა საცხოვრებლად ქ.ბაქოში და ჩააბარა აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო-პროფილაქტიკურ ფაკულტეტზე.

წითელ არმიაში მსახურობდა 1941 წლის სექტემბრიდან სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის 38-ე არმიის, 199-ე მსროლელი დივიზიის, 492 მსროლელი პოლკის სამხედრო ექიმად, სანიტარული ასეულის მეთაურად, სანიტარული სამსახურის უფროსად.

1942-43 წლებში მსახურობდა სტალინგრადის, დონის და სამხრეთის ფრონტებში შემავალ 23-ე და მე-18 კავალერიის გვარდიული კორპუსების უფროს სამხედრო ექიმად.

1943-44 წლებში გაიარა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში წითელი არმიის სამედიცინო შემადგენლობის დახელოვნების კურსები და გაგზავნილ იქნა მე-3 უკრაინის ფრონტის 46-ე არმიაში, სადაც გააგრძელა სამსახური სამედიცინო გაძლიერების 79-ე ცალკეული სამედიცინო ასეულის (ОРМУ-79) და №3637 ევაკოჰოსპიტლის ქირურგად.

1944-45 წლებში მსახურობდა 1-ი ბელორუსიის და მე-2 უკრაინის ფრონტში შემავალ № 432 ევაკოჰოსპიტლის უფროს ქირურგად.
1945-47 წლებში მსახურობდა ცენტრალური ბანაკის სამედიცინო სამსახურის უფროსად საბჭოთა მოქალაქეთა რეპატრიაციის საკითხებში (ქ.გროდნო, ბსსრ).
დამსახურებისათვის სამსახურში დაჯილდოებული იყო ,,სამამულო ომის,, მე-II ხარ.ორდენით.
მინიჭებული ჰქონდა
,,აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული ექიმის,, (1960) და ,, სსრკ შსს დამსახურებული მუშაკის,, (1963) წოდებები.
1979 წელს გავიდა თადარიგში.
გარდაიცვალა და დაკრძალულია ბაქოში.



*პოლკოვნიკ ჯ.სალაჰლის საფლავი ქ.ბაქოში*



აჰმედ საფაროვი

დაიბადა საქართველოში.

აჰმედ საფაროვი გადიოდა სამხედრო სამსახურს რიგითად III-ე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონში.

მოცემული ბრიგადა ასრულებდა ISAF-ის (საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები) სამშვიდობო მისიის ფარგლებში ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, (ჰილმანდის პროვინციაში), ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში საბრძოლო დავალების შესრულების აჰმედ საფაროვი მძიმედ დაიჭრა. ნაღმზე აფეთქებისას მან ორივე ქვედა კიდური დაკარგა.

აჰმედ საფაროვმა სარეაბილიტაციო კურსი ქალაქ ვაშინგტონში, უოლტერ რიდის სამხედრო ჰოსპიტალში გაიარა.



**ჯალილ აზის ოღლუ საფაროვი**
**(28.01.1962 - 15.05.1992)**
**აზერბაიჯანის ეროვნული გმირი**
**(07.06.1992)**

დაიბადა მარნეულის რაიონის, სოფელ ლექბედინში (საქართველოს სსრ).

ამ მამაც აზერბაიჯანელს ერთდროულად შეიძლება დაარქვა აზერბაიჯანისა და საქართველოს შვილი.

ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად ქ.სუმგაითში, როცა ჯალილი ჯერ ბავშვი იყო.

1977 წელს, საშუალო სკოლის 8 კლასის დამთავრების შემდეგ, ჩააბარა ჯ. ნახჩევანსკის სახელობის სამხედრო სკოლაში.

მოგვიანებით დაამთავრა საზენიტო-სარაკეტო ჯარების სამეთაურო უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი (რსფსრ-ის სარატოვის ოლქის, ქ.ენგელსი), რომლის დამთავრების შემდეგ 1984-92 წლებში მსახურობდა ყაზახეთის სსრ, ქ. ბალხაშში. შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში.

1992 წელს ჯალილ საფაროვმა მიაღწია აზერბაიჯანში გადმოყვანას და დაიწყო სამხედრო სამსახური აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს აპარატში.

1992 წლის 7 მაისს მიიღო რა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგე იმყოფებოდა ქალაქ შუშას მისადგომებთან, ის დაუფიქრებლად წავიდა მოხალისეების დასახმარებლად, რომლებიც შედგებოდნენ ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობისაგან, რომლებიც ამ დროს ქალაქში აწარმოებდნენ თავდაცვით ბრძოლებს.

მიუხედავად აზერბაიჯანული ჯარების უსასტიკესი წინააღმდეგობისა, 8 მაისს შუშა იქნა ოკუპირებული მოწინააღმდეგის ჯარების მიერ.

იყო რა გამოცდილი ოფიცერი, ჯალილ საფაროვი მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში ლაჩინის დაცვისათვის, სადაც აწარმოებდა წერტილოვან ცეცხლს და ანადგურებდა მის საცეცხლე წერტებს. ცნობილია რომ, ქალაქ შუშას ოკუპაციის შემდეგ, მოწინააღმდეგემ ყველა ღონე იხმარა ლაჩინის ხელში ჩასაგდებად. ლაჩინის ხელში ჩაგდებას ერთი მიზანი ჰქონდა - გახსნილიყო დერეფანი, რომელიც აკავშირებდა სომხეთს ყარაბაღთან. იცოდნენ რა მოწინააღმეგის ეს ხრიკი, მოხალისეები უწევდნენ მას სასტიკ წინააღმდეგობას.

15 მაისს მზვერავთა ჯგუფი, ჯალალ საფაროვის ხელმძღვანელობით წაიწია წინ რათა მოწინააღმდეგეს ვერ განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი. ჯალილი დარწმუნებული იყო, რომ ოპერაციის დაწყებისას მას აღმოუჩენდნენ დახმარებას და მოწინააღმდეგის ძალები იქნებოდა განადგურებული. მაგრამ ასე არ მოხდა და ბრძოლის მსვლელობისას ის დაიღუპა.

როგორც გამოცდილი ოფიცერი (მაიორი), ჯალილი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას შუშას დაცვაში.

1992 წლის 15 მაისს შუშას სოფელ თურსუ-სარიშლის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლეში, ჯალილ საფაროვი გმირულად დაიღუპა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის 1992 წლის 7 ივნისის ბრძანებით ჯალილ აზიზ ოღლი საფაროვს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ,,აზერბაიჯანის ეროვნული გმირის,, წოდება.

სუმგაითში არის სკოლა, რომელიც ატარებს აზერბაიჯანის ეროვნული გმირის ჯალილ საფაროვის სახელს.

საქართველოს მარნეულის რაიონის, სოფელ ლეჯბედინში აგებულია ძეგლი მის საპატივსაცემად. გვერდი გვერდ იმ ლეჯბედინელთა ძეგლისა, რომლებიც დაიღუპნენ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, რომელთა შორისაა ჯალილ საფაროვიც - ეროვნული გმირის პაპა.



**იანვარ ორუჯის-ძე უმბათოვი**
**(აზერბ. Ənvər Oruc oğlu Hümbətov)**
**(01.01.1950-04.07.1993)**

დაიბადა მარნეულის რაიონის, სოფელ ალგეთში (საქართველოს სსრ). იანვარ უმბათოვის დაბადების შემდეგ, ოჯახი მალევე გადავიდა საცხოვრებლად ქ.რუსთავში. იქვე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა №12, რომლის დამთავრების შემდეგ იანვარ უმბათოვი მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, პარალელურად სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (რუსთავის ფილიალი) მეტალურგიულ ფაკულტეტზე. მუშაობდა ქიმიური წარმოების მთავარ მექანიკოსად. მსახურობდა საბჭოთა ჯარში (პოლონეთში).

1992 წელს, აფხაზეთში გამწვავებული კონფლიქტის დროს, როგორც თადარიგის ლეიტენანტი იანვარ უმბათოვი წავიდა საბრძოლველად. მონაწილეობდა ბრძოლებში ტყვარჩელთან, ლაბრასთან და შრომასთან.

დაიღუპა 1993 წლის 4 ივლისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს. საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა 30 ქართველი მებრძოლი.

1994 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის ბრძანების თანახმად -,,ბრძოლის ველზე გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის,, იანვარ უმბათოვი დაჯილდოვდა ,,ვახტანგ გორგასლის,, მე-III ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ). დაკრძალულია მშობლიურ სოფელში.

მისი სახელი უკვდავყოფილია ქ.თბილისში გმირთა მემორიალზე.

**ჰალიდ მუუსა ოღლი უსუბოვი**
**(დ. 08.08.1939)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა დმანისის რაიონის სოფელ საათლოში (საქართველოს სსრ)
1966 წელს დაამთავრა ხარკოვის სამხედრო სასწავლებელი.
1975 წელს დაამთავრა ზურგისა და ტრანსპორტის სამხედრო აკადემია.
1989 წლამდე მსახურობდა საბჭოთა ჯარში.
აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იქნა გაწვეული თადარიგიდან ნამდვილ სამხედრო სამსახურში.
1997-99 წლებში მსახურობდა საარმიო კორპუსის მეთაურის მოადგილედ ზურგის დარგში.
იღებდა აქტიურ მონაწილეობას სამხედრო ინსტრუქციების და სხვა დოკუმენტაციის შექმნაში და მათ თარგმნას აზერბაიჯანულ ენაზე.



**ჰაჯი მამედ იბრაჰიმ ოღლი ფადაროვი**
**(1908-1954 წ.შ.)**
**პოლკოვნიკი (1944)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიაში. აზერბაიჯანელია.

1933 -54 წლებში ფადაროვი მსახურობდა შინსახკომის სისტემაში, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე;

1933-34 წლებში -მუშაობდა კუტკაშენის რაიგანყოფილების უროსად.(აზერბ.სსრ)

1935-36 წლებში მუშაობდა კახის რაიგანყოფილების უროსად.(აზერბ.სსრ)

1936 წელს მუშაობდა ვართაშენის რაიგანყოფილების უროსად.(აზერბ.სსრ)

1937-38 წლებში მუშაობდა შემახის რაიგანყოფილების უროსად.(აზერბ.სსრ)

1938-39 წლებში მუშაობდა გეოქჩაის რაიგანყოფილების უროსად.(აზერბ.სსრ)

1939-41 წლებში მუშაობდა ქიურდამირის რაიგანყოფილების უროსად. (აზერბ.სსრ)

1941 წელს მსახურობდა სახ.უშიშროების კომიტეტის შემახის სარაიონთაშორისო განყოფილების უფროსად.

1941-42 წლებში მსახურობდა სახ.უშიშროების კომიტეტის შემახის რაიგანყოფილების უფროსად.

1943 წელს მსახურობდა ნახჭევნის ასსრ სახ.უშიშროების სახალხო კომისრის მ.შ.

1943-1944 წლებში მსახურობდა ნახჭევნის ასსრ სახ.უშიშროების სახალხო კომისრად.

1944-50 წლებში მსახურობდა აზერბ.სსრ სახ.უშიშროების სახალხო კომისარიატის (შსს) მილიციის სამმართველოს საგამოძიებო სამსახურის უფროსად.

1950-52 წლებში მსახურობდა აზ.სსრ სახ.უშიშროების მინისტრის მოადგილედ.

1952-53 წლებში მსახურობდა სახ.უშიშროების სამინისტროს ბაქოს ოლქის სამმართველოს უფროსად,

1953-54 წლებში მსახურობდა აზერბ.სსრ სახ.უშიშროების სამინისტროს - აზ.სსრ შსს მილიციის სამმართველოს საგამოძიებო სამსახურის უფროსად.

1954 წლის აპრილიდან პენსიასი იყო. ცხოვრობდა ქ.ბაქოში.

დაჯილდოებული იყო:

,,წითელი დროშის,, (1951),

,,სამამულო ომის,, მე-II ხარ.(1949),

,,წითელი ვარსკვლავის,, (1946)

,,საპატიო ნიშნის,, (1943) ორდენებით და ,,შინსახკომის დამსახურებული მუშაკის,, (1943) სამკერდე ნიშნით (1943).

**რევაზ ველი ოღლი ფაშაევი**
**(17.01.1957 - 13.11.1997)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში (საქართველოს სსრ).

1974-78 წლებში სწავლობდა კიევის უმაღლეს სამხედრო საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებელში.

1989-91 წლებში სწავლობდა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში დაზვერვის ფაკულტეტზე.

1973-92 წლებში რევაზ ფაშაევი მსახურობდა ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონის შტაბის უფროსად და ბატალიონის მეთაურის მოადგილედ, სასწავლო მოტომსროლელი დივიზიის შტაბის უფროსის მოადგილედ დაზვერვის დარგში.

1993 წლიდან რევაზ ფაშაევი მსახურონდა აზერბაიჯანის ჯარში თავდაცვის სამინისტროს დაზვერვისა და რადიოელექტრონული საშუალებათა სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საარმიო კორპუსის დაზვერვის უფროსად, საარმიო კორპუსის უფროსის მოადგილედ.

რევაზ ფაშაევი აქტიურად მონაწილეობდა ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებების დროს.

გარდაიცვალა ქ.ბაქოში. დაკრძალულია შეჰიდების ხეივანში.



**უზეირ მუსას-ძე შაბანბეგოვი**
**(1902 –20.01.1942)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიაში.
1920 წელს დაამთავრა 4-წლიანი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი ქ.ზაქათალაში.
1920-37 წლებში მსახურობდა შინსახკომის სისტემაში.
1936-37 წლებში მსახურობდა ალმა-ათას ოლქის შინსახკომის სამმართველოს უფროსად.
1927 წლის 14 ოქტომბერს დააპატიმრეს და ყაზახეთის შინსახკომის საოლქო სამხედრო ტრიბუნლის 1939 წლის 22 დეკემბრის რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17-58-8,58-2 დადგენილებით მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. გარდაიცვალა პატიმრობაში.
დაჯილდოებული იყო აზერბაიჯანის სსრ ,,შრომის წითელი დროშის ,, ორდენით.

**ტოფიგ ბილალ ოღლი შაჰბაზოვი**
**(დ. 17.06.1950)**
**პოლკოვნიკი**

დაიბადა ბოლნისის რაიონის სოფელ დამირლიში (საქართველოს სსრ).
იქვე დაამთავრა სოფლის სკოლა.

1972 წელს დაამთავრა თბილისის უმაღლესი წითელდროშოვანი სამეთაურო საარტილერიო სასწავლებელი.

1972-92 წლებში მსახურობდა პენზის უმაღლეს საინჟინრო-საარტილერიო სასწავლებელში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

1992-94 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანისეროვნულ არმიაში: თავდაცვის სმაინისტროს შეიარაღებისა და ტექნიკის სამმართველოს შტაბის უფროსის მოადგილედ, შემდეგ სამმართველოს უფროსად.

1995-98 წლებში მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს სარაკეტო და საარტილერიო შეიარაღების სამმართველოს უფროსად.

1998-2000 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის აპარატში, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად.
აქტიურად მონაწილეობდა ყარაბაღის ომში.

## პერსონალიათა სია, რომლებიც მოთავსებულნი არიან წიგნის II-ე ნაწილში

1. ელდარ ასქერ ოღლი აღაევი
2. ჰასან ბეგი აღალაროვი
3. ფარჰად ბეგ აბულფათ ბეგ ოღლი აღალაროვი
4.შამისთან ალიზამანლი
5.რამიზ ჩობან ოღლი ალმაზოვი
6.ამრაჰ ქარა ოღლი ასლანოვი
7.ვაგიფ ადილ ოღლი ბაირამოვი
8. აბას ყული აღა ბაქიხანოვი
9.ზიათხან ალი ოღლი  ბექიროვი
10.  ბორის ალექსანდრეს-ძე ბეგ-სოფიევი
11.ხუდია ბორჩალოელი
12.აბდულ გამიდ ბეგ გაითაბაში
13.ადილ ჯემშიდ ოღლუ გასანოვი
14. ნადირი გულამ ოღლი გულამოვი
15.ასადულა ბეგ ედიგაროვი
16.ველი ბეგ  ედიგაროვი
17.ჰასან ბეგ ედიგაროვი
18.დავუდ ბეგ სადიყ ბეგ ედიგაროვი
19.ისრაფილ ბეგ ედიგაროვი
20. ფირიდუნ ბეგ ჯალალ ბეგ კიაიას ოღლი ვეზიროვი
21.ალიამბარ იზმაილის-ძე ვეზიროვი
22.იბრაჰიმ ბეგ ფაშა ბეგ ოღლი ვექილოვი
23.იბრაჰიმ ხან ზენდი
24.იუსიფ ზია ბეგ თალიბ ზადე
25.ჰალილ ბეი მირ ალი ხან ოღლი თალიშხანოვი
26.აივაზ გარა ოღლი ისმაილოვი
27. მაგომედ ნაბი ოღლი ისრაფილოვი
28. აჰმედ ბაირამ ყული ოღლი მამედოვი
29.ჰაჯირაგიმ  სამედ ოღლი მამედოვი
30.ჯევანშირ გაჰრამან ოღლი  მამედოვი
31.ნიზამი სალეჰ ოღლი მამედოვი

32.ეივაზ აბდურაჰმან ოღლი მამედოვი
33.მინურ მუსა ოღლი  მამედოვი
34.მეჰრალ იბეი
35.თეიმურ რამიზ ოღლი მეჰთიევი
36.რაფაელ ჰალიდ ოღლი  მირზოევი
37.თებრიზ ტარიელის-ძე  მუსა ზადე
38.მუსა ალაზ ოღლი  მუსაევი
39.ბექირ დურსუნ ოღლი მუსტაფაევი
40.ჰაიდარ ნაბიევი
41.ნარიმან ქერბალაი ნაჯაფ ოღლი ნარიმანოვი
42.ნაბი ალი რზა ოღლი ნასიბოვი
43. თეიმურ ბეგ  ნოვრუზოვი
44.მამედ ოსმან ოღლი ოსმანოვი
45.მანსურ მირზა ყაჯარი
46. სეიფულა მირზა ყაჯარი
47.ჯანგირ აჰმედ ოღლუ სალაჰლი
48. აჰმედ საფაროვი
49.ჯალილ აზიზ ოღლუ საფაროვი
50.იანვარ ორუჯის-ძე უმბათოვი
51.ჰალიდ მუსა ოღლი უსუბოვი
52.ჰაჯი მამედ იბრაჰიმ ოღლი ფადაროვი
53.რევაზ ველი ოღლი ფაშაევი
54.უზეირ მუსას-ძე შაბანბეკოვი
55.ტოფიქ ბილალ ოღლი შაჰბაზოვი

# ნაწილი III

## აზერბაიჯანელები-გამოჩენილი სამხედრო მოღვაწეები, დაკრძალულები ქალაქ ტფილისში (თბილისში)



**ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე აღაევი**
**(ფარაჯულა ბეგ აღა ოღლი)**
**(04. 12. 1814 – 26. 11.1891)**
**გენერალ-ლეიტენანტი (29. 11. 1882)**

დაიბადა ელიზავეტპოლის გუბერნიის, ქ.შუშაში, კეთილშობილურ ოჯახში.
ფარაჯულა ბეგ აღაევმა დაწყებითი განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში.

1834 წლის 1 მაისს ჩაირიცხა ამიერკავკასიის მუსლიმ ცხენოსანთა პოლკში, რომელიც განლაგებული იყო ქალაქ ვარშავაში (პოლონეთის სამეფოში).

1840 წლის გაზაფხულზე კორნეტი ფარაჯულა ბეგ აღაევი გაიგზავნილ იქნა სანქტ-პეტერბურგში იმპერატორის ბადრაგის მუსლიმთა ლაიბ-გვარდიის გუნდის შემადგენლობაში.

1844 წლის 27 აპრილს შტაბს-როტმისტრმა ფარაჯულა ბეგ აღაევმა მიიღო მართლმადიდებლობა.
ნათლიები იყვნენ იმპერატორი ნიკოლოზ I და მარიამ ალექსანდრეს-ასული. ნათლობისას მიიღო ახალი სახელი - *ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე* და გადაყვანილი იქნა ლაიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკში.

1847 წელს როტმისტრი ფარაჯულა ბეგ აღაევი იმყოფებოდა კაზაკთა ლაიბ-გვარდიის ლაიბ-ესკადრონის მეთაურის თანამდებობაზე.

1849 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1850 წელს ფარაჯულა ბეგ აღაევი ირიცხებოდა განსაკუთრებულ დავალებათა ოფიცრად კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალთან.

1853 წელს, ყირიმის ომის (1853-1856) დაწყებისთანავე (პოლკოვნიკმა ფარაჯულა ბეგ აღაევმა ყარაბაღის ძირძველი მცხოვრებლებისგან შეადგინა ირეგულარული ცხენოსანი პოლკი.

1854 წელს მის პოლკს შეუერთდა ოსების მილიციელთა პოლკი.

1862 წლის 25 ივნისს ფარაჯულა ბეგ აღაევს მიენიჭა ,,გენერალ-მაიორის,, წოდება.

1871-72 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის მორიგე გენერლის სამმართველოში.

1874-82 წლებში- ფარაჯულა ბეგ აღაევი მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში განსაკუთრებულ დავალებათა გენერლის თანამდებობაზე.

1882 წლის ნოემბერში გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით.

სიცოცხლის ბოლომდე ფარაჯულა ბეგ აღაევი იყო ტფილისის მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი.
საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის ფარაჯულა ბეგ აღაევი დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით (მამაცობისათვის -1856) და ორდენებით:

,,წმ.ანას,, მე- II ხარ.(მახვილებით-1868);

,,წმ.სტანისლავის,, I-ი ხარ.(1866);

,,წმ.ვლადიმერის,, მე-III ხარ.(1859);

მიღებული ჰქონდა სპარსეთის ,,ლომისა და მზის,, მე-II ხარ. (ვარსკვლავით-1864) და თურქეთის ,,მეჯიდიეს,, I-ი ხარ.

ფარაჯულა ბეგ აღაევი ცხოვრობდა ტფილისში. დაქორწინებული იყო მსხვილი მემანუფაქტურის მანუხინის შვილზე -მარიამ ნიკოლოზის-ასულზე.

ფარაჯულა ბეგ აღაევი დაკრძალული იყო ტფილისში, ამაღლების ეკლესიის გალავანში (სოლოლაკის რაიონში). ეკლესია დახურეს 1917 წლის რევოლუციის შემდეგ და იყენებდნენ არადანიშნულებისამებრ.

1969 წელს ეკლესია ძირფესვიანად დაანგრიეს. დღევანდელ დღეს ყოფილი ეკლესიის ფუნდამენტის ნარჩენებზე აშენდა ამაღლების ახალი ეკლესია. სამწუხაროდ გენერალ აღაევის საფლავი ითვლება დაკარგულად (ავტ. შენიშვნა).





**ამაღლების ეკლესია გუშინ და დღეს**



**მირზა ფათალი აჰუნდოვი**
**(აზერბ. Mirzə Fətəli Axundov)**
**(12.07.1812-09.03.1878)**
**პოლკოვნიკი (1873)**

დაიბადა ქ.შექიში, ცნობილი აჰუნდის ოჯახში.

1814 წელს მირზა ფათალი აჰუნდოვის ოჯახი გადადის საცხოვრებლად სოფელ ჰამნეში (თავრიზის ახლოს, სპარსეთში).

როცა იგი შესრულდა 7 წლის, დედა გაეყარა თავის ქმარს და მირზა ფათალისთან ერთად დაბრუნდა ქალაქ შექიში სადაც ცხოვრობდა მისი ბიძა- ჰაჯი ალესქერი, რომელიც გახდა მისთვის ,,მეორე მამა,, ასწავლიდა ბავშვს ყურანს, არაბულს და სპარსულ ენებს, ასევე შუა საუკუნეების აღმოსავლურ მეცნიერებებს.

1832 წელს, როცა მირზა ფათალი აჰუნდოვი გადიოდა სწავლებას მედრესეში, ის ეცნობა თავის მასწავლებელს, ცნობილ აზერბაიჯანელ პოეტ მირზა შაფი ვაზეჰს. მან გააცნომო მომავალ მწერალს დასავლეთის მაღალი საზოგადოების არსი.

მირზა შაფი ვაზეჰმა ურჩია მას უარი ეთქვა რელიგიურ კარიერაზე.

1833 წელს, ჰაჯი ალესქერის დაბრუნების შემდეგ, მირზა ფათალი აჰუნდოვი ეწყობა სახაზინო სასწავლებელში, და ერთი წლის შემდეგ გადადის ტფილისში. აქ ის შედის სახელმწიფო

სამსახურში კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში სამოქალაქო აღმოსავლური ენების თარჯიმნად, ხოლო შემდგომში სამხედრო ნაწილში შტატიან თარჯიმნად. ამ თანამდებობაზე მან იმსახურა სიცოცხლის ბოლომდე.

საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ-ადიუტანტ, ბარონ გრიგოლ ვლადიმერის-ძე როზენის, 1834 წლის 1 ნოემბრის განკარგულებაში ნათქვამი იყო: ,,...*როგორც კარგად განსწავლული: არაბულ, სპარსულ, თურქულ და თათრულ ენებში, დაინიშნოს დროებით შტატიანი თარჯიმნების დასახმარებლად,,*

1836 წლიდან აჰუნდოვი იწყებს მასწავლებლობას ტფილისის გიმნაზიაში, სადაც ასწავლიდა აზერბაიჯანულ და თურქულ ენებს.

1837 წელს იმყოფებოდა საქართველოს მთავარმართებელ, გენერალ-ადიუტანტ, ბარონ გ.ვ.როზენთან აფხაზეთის ექსპედიციაში. მონაწილეობდა ადლერის კონცხზე დესანტის გადმოსხმაში.

1840 წლის მარტში ტფილისის სამხედრო გუბერნატორის მიწერილობით, თურქეთის მხარესთან ერთობლივი სადემარკაციო ხაზის დადგენისათვის, მირზა ფათალი აჰუნდოვი როგორც გენერალური შტაბის თარჯიმანი მივლინებული იქნა კაპიტან ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან, გურიაში.

1840 წლის 15 დეკემბერს, მირზა ფათალი აჰუნდოვი იქნა დამტკიცებული აღმოსავლური ენების შტატიან მწერალ-თარჯიმნად ამიერკავკასიის მხარის მმართველობის დაწესებულებაში.

1842 წლის 2 თებერვალს ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლის, ინფანტერიის გენერლის გოლოვინის მიერ იქნა მივლინებული I -ი რანგის კაპიტან პუტიატინთან ერთად ასტრაბადის ყურეში, ასტრაბადისა და მაზენდარანის სპარსულ პროვინციებზე თურქმანული ტომების შემოსევების აღმოსაფრქვევად.

1842 წლის 2 ოქტომბერს ,,გულმოდგინე და ბეჯიდი სამსახურისათვის,, მიენიჭა პრაპორშჩიკის წოდება.

1846 წლის 1 მარტს გადაყვანილ იქნა მწერალ-თარჯიმნად კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში.

1846 წლის 30 ივნისს ,,გულმოდგინე და ბეჯიდი სამსახურისათვის,, მირზა ფათალი აჰუნდოვს მიენიჭა პოდპორუჩიკის წოდება.

1846 წლის 26 ივლისს მას ნება დართეს ეტარებინა სპარსეთის შაჰის მიერ ბოძებული ,,ლომისა და მზის,, ორდენის მე- III ხარისხი (ალმასებით).

კავკასიის მეფისნაცვლის, უბრწყინვალესი თავადის, მ.ს.ვორონცოვის ნება-სურვილით, 1848 წლის 4 ნოემბრიდან 1849 წლის 7 მარტამდე, მირზა ფათალი აჰუნდოვი მივლინებული იყო სპარსეთში გენერალ-ლეიტენანტ შილინგის თანხლებით, რომელიც წარგზავნილი იყო *,,... ხელმწიფე იმპერატორის საკაბინეტო წერილით მისი უდიდებულესობის ნასრედინ-შაჰის ტახტზე ასვლის გამო,,*

1850 წლის 10 მარტს დაჯილდოვდა *,,უმაღლესი ბრძანებით დაჯილდოვდა პორუჩიკის წოდებით,,.*

1852 წლის 19 აგვისტოს მირზა ფათალი აჰუნდოვს ებოძა შტაბს-კაპიტნის წოდება, ხოლო 1854 წლის 30 დეკემბერს კაპიტნის წოდება.

1856 წლის 12 ივლისს კავკასიის ცალკეული კორპუსის მეთაურის, გენერალ-ადიუტანტ ნ.ნ.მურავიოვის წარდგინებით, აგრეთვე *,, აზიურ თურქეთში 1855 წლის გასული კამპანიის მსვლელობისას მოწინააღმდეგის წინაშე ბრძოლებში გულმოდგინე და ბეჯიდი სამსახურისათვის უმაღლესი ბრძანებულებით დაჯილდოვდა ,,წმ.სტანისლავის,, ორდენის მე- III ხარისხით.*

1857 წლის 16 სექტემბერს, 1856 წლის 26 აგვისტოს მანიფესტის საფუძველზე, მირზა ფატალი აჰუნდოვმა მიიღო ღია ბრინჯაოს ფერის მედალი, გიორგის ბაფთაზე.რომელიც დაწესდა 1853-1856 წლების ომის სამახსოვროდ.

1857 წლის 5 ნოემბრიდან 1858 წლის 5 ოქტომბრამდე კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით, ერევნის გუბერნიის სამაზრო დაწესებულებებში რევიზიის ჩატარების პერიოდში,

მივლინებულ იქნა ნამდვილ სასტატო მრჩეველ, ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრთან -კოცებუსთან.

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, 1858 წლის 31 დეკემბერს, მირზა ფათალი აჰუნდოვი დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში გადამწერ თარჯიმნად.

1859 წლის 10 იანვარს *,,გულმოდგინე-ბეჯიდთი,,* სამსახურისათვის მირზა ფათალი აჰუნდოვი დაჯილდოვდა ,,წმ.ანას,, ორდენის III-ე ხარისხით.

1861 წლის 31 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის წარდგენით მას მიენიჭა მილიციის მაიორის წოდება.

1864 წლის აპრილიდან მირზა ფათალი აჰუნდოვი იყო კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის წევრი.

1864 წლის 18 ივლისს უმაღლესი ბრძანებულებით მას ნება დაერთო მიეღო და ეტარებინა მისი უდიდებულესობა სულთნის მიერ ნაბოძები ,,მეჯიდიეს,, ორდენის მე- IV ხარისხი.

სამხედრო უწყებისადმი უმაღლესი ბრძანებულების თანახმად 1864 წლის 15 ოქტომბერს მირზა ფათალი აჰუნდოვი იქნა დანიშნული კავკასიის არმიასთან და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში მყოფ გადამწერ თარჯიმნად.

კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის წარდგინებით, 1866 12 იანვარს მას უბოძეს ,,წმ.სტანისლავის,, ორდენის II-ე ხარისხი. იმავე წლის 26 ნოემბერს ,, არქეოგრაფიული კომისიის შრომებისათვის,, უმაღლესი წყალობით ებოძა ბრილიანტის ბეჭედი.

1868 წლის 1 იანვარს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოსა და მთავარი სამმართველოს გარდაქმნასთან დაკავშირებით, მირზა ფათალი აჰუნდოვი დაინიშნა მთავარი სამმართველოს დეპარტამენტში თარჯიმნად.

1868 წლის 27 აპრილს მას ნება დაერთო მიეღო და ეტარებინა სპარსეთის შაჰის მიერ ნაბოძი ,,ლომისა და მზის,, ორდენის მე- II ხარისხი ვარსკვლავით.

1868 წლის 25 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის შუამდგომლობით *,,ხელმწიფე იმპერატორმა თავისი წყალობით ინება მირზა ფათალი აჰუნდოვისთვის მილიციის პოდპოლკოვნიკის წოდების მინიჭება,,.*

სამხედრო უწყებისადმი უმაღლესი ბრძანებულების თანახმად 1869 წლის 5 აპრილს მირზა ფათალი აჰუნდოვი იქნა დანიშნული კავკასიის არმიასთან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის თარჯიმნად მილიციის დარგში.

უმაღლესი ბრძანებულებით ირეგულარული ჯარებისადმი 1873 წლის 23 იანვარს მირზა ფათალი აჰუნდოვს *,,სამსახურში წარჩინებისათვის,,* მიენიჭა მილიციის პოლკოვნიკის წოდება კავკასიის არმიასთან დატოვებით და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის თარჯიმნად.

1875 წლის 1 თებერვალს მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის თარჯიმნის თანამდებობის გაუქმებასთან დაკავშირებით, კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით მიწერილი იქნა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან აღნიშნული თანამდებობის სახელფასო ანაზღაურების შენარჩუნებით.

1876 წლის 1 იანვარს მირზა ფათალი აჰუნდოვი დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის კანცელარიაში მე- VII კლასის თარჯიმნის თანამდებობაზე.

მირზა ფათალი აჰუნდოვი გარდაიცვალა ქალაქ ტფილისში. დაკრძალულია ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე.

1830-იან წლებში დაიწყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც მიმართული იყო ჩამორჩენილობის წინააღმდეგ და განათლების, თავისუფლებისა და პროგრესისაკენ.

1830-1840 წლებში კლასიკური და აშუღური პოეზიის ტრადიციების საფუძველზე, მირზა ფათალი აჰუნდოვის მიერ იყო დაწერილი რიგი ლექსებისა სპარსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

მის პირველ და სრულყოფილ ნაწარმოებად იქცა ელეგიური პოემა ,,პუშკინის სიკვდილზე,, (1837), რომელიც იქნა

თარგმნილი რუსულ ენაზე, ხოლო შემდგომში გამოქვეყნდა ჟურნალ ,,მოსკოვსკი ნაბლიუდატელის,, XI- ე წიგნში.

განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა მირზა ფათალი აჰუნდოვის ლიტერატურული ტალანტი დრამატურგიაში.

1850-1857 წლების პერიოდში ის ქმნის 6 კომედიას და ერთ მოთხრობას, რომლებშიც აისახა მე-XIX საუკუნის პირველი ნახევრის აზერბაიჯანის ცხოვრების რეალისტიკური სურათი, სადაც იქნა გახსნილი ფეოდალურ-პატრიარქალური საზოგადოების ხასიათი და ყოფა თავისი აღვირახსნილი დესპოტიზმით, ინერციით და დოგმატიზმით. მათ შორისაა:

"მოლა იბრაჰიმ ხალილი, ალქიმიკოსი, ფილოსოფიური ქვის მფლობელი", (1850); "მოთხრობა მუსიე ჟურდენზე-მეცნიერ-ბოტანიკოსზე და დერვიშ მასტალიშაჰზე, ცნობილ ჯადოქარზე,, (1850); მოცემული მოთხრობა იყო დადგმული რუსულ სცენაზე ავტორის თარგმანით 1851 წელს ქალაქ პეტერბურგში და აგრეთვე 1852 წელს ქალაქ ტფილისში.

,,ლენქორანის სახანოს ვეზირის თავგადასავალი,, (1851), დაიდგა 1873 წელს ქალაქ ბაქოში, აზერბაიჯანის პირველი თეატრის სცენაზე, "ყაჩაღის დამჯაბნელი დათვი",(1851); "მუნწის თავგადასავალი" ("ჰაჯიყარა"), (1852), თავის უკანასკნელ კომედიაში "კანონის დამცველები ქალაქ თავრიზში" (,,აღმოსავლეთის ადვოკატები,, 1855) , სატირულ მოთხრობაში ,,მოტყუებული ვარსკვლავები,, (1857)

მირზა ფათალი აჰუნდოვი იქცა ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებლად აზერბაიჯანულ ლიტერატურაში. ის იცავდა ხალხურობისა და რეალიზმის პრინციპებს, აგრეთვე გამოდიოდა ნატურალიზმისა და ფორმალისტური გაფორმების წინააღმდეგ ხელოვნებაში.

ქალაქ ტფილისსი მირზა ფათალი აჰუნდოვი ეცნობა აზერბაიჯანელ მწერლებს აბას ყული აღა ბაქიხანოვს, ისმაილ ბეგ კუთქაშენსკის, კასუმ ბეგ ზაქირს, აგრეთვე გამოჩენილ ქართველ მწერლებს და პოეტებს გიორგი ერისთავს, გრიგოლ ორბელიანს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მწერლებ-დეკაბრისტებს ბესტუჟევ-მარლინსკის, ოდოევსკის და სხვებს.

1911 წლის 2 დეკემბერს საგანმანათებლო საზოგადოება ,,ნიჯათმა,, ორგანიზება გაუკეთა სპეციალურ საიუბილეო საღამოს, მიძღვნილს მირზა ფათალი აჰუნდოვის დაბადებიდან 100 წლისთავს.

1930 წელს ქალაქ ბაქოში დაიდგა აჰუნდოვის ძეგლი, რომლის სკულპტორია პინხოს საბსაი.

მირზა ფათალი აჰუნდოვის სახელობისაა: აზერბაიჯანის ეროვნული ბიბლიოთეკა, აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსული ენისა და ლიტერატურის აზერბაიჯანის პედაგოგიური ინსტიტუტი.

2012 წლს იქნა გადაღებული მხატვრული ფილმი ,,განთიადის ელჩი,,, მიძღვნილი მირზა ფათალი აჰუნდოვისადმი. ამ ფილმში, მთავარი პერსონაჟის მირზა ფათალი აჰუნდოვის სახით, მთავარი როლი შეასრულა აზერბაიჯანის სახალხო არტისტმა რასიმ ბალაევმა.

2012 წელს მირზა ფათალი აჰუნდოვის ძეგლი დაიდგა ქალაქ მოსკოვში, უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ეზოში.



*მირზა ფათალი აჰუნდოვის  დაბადებიდან 150-ე წლისთავის ცერემონია  მის საფლავზე*




*მედალი გამოშვებული   უდიდესი აზერბაიჯანელი მწერლისა და ფილოსოფოსის მირზა ფათალი აჰუნდოვის დაბადებიდან 150  წლისთავის გამო  (1962 წ.)*



*აჰუნდოვის ძეგლი  ქალაქ თბილისში მუსლიმთა სასაფლაოზე*

**აბდულა აღა ბაქიჰანოვი**
**(1824 - 20.07.1879)**
**გენერალ-მაიორი (01.01.1871)**

დაიბადა ბაქოს მე-3 ხანის მირზა მუჰამედ მე-II ოჯახში.
აბდულაღა ბაქიხანოვი გადიოდა სამხედრო სამსახურს კავკასიის არმიაში, საარმიო კავალერიაში.
1843 წლის მარტში მიიღო ოფიცრის წოდება.
1859 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.
მონაწილეობდა კავკასიის სამხედრო კამპანიებში.
მე XIX ს. 50-70-იან წლებში ცხოვრობდა თავის მამულებში, ქ.ყუბაში, იყო ყუბის მაზრის ერთ-ერთი მსხვილი მემამულე.
იყო დაკავებული საგანმანათებლო მოღვაწეობით თავის გლეხებს შორის. ეხმარებოდა ჰასან ბეგ ზარდაბის გაზეთ ,,ექინჯის,, გავრცელებაში, პირველ გაზეთს აზერბაიჯანულ ენაზე.
1876 წლის მაისამდე იმყოფებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებაში.
აბდულაღა ბაქიხანოვი გარდაიცვალა ქალაქ ტფილისში.
24 ივლისს აბდულაღა ბაქიხანოვის მეგობრებმა ითხოვეს დაერთოთ ნება გამოესვენებინათ გენერლის ცხედარი მუსლიმთა მეჩეთიდან ქალაქ ტფილისის მუსლიმთა სასაფლაოზე.
დაჯილდოებული იყო ორდენებით:
,,წმ.ანას,, მე- III (ბაფთით-1857), მე- II (1861) და I-ი ხარ.(მახვილებით-1878);
,,წმ.სტანისლავის,, მე-II ხარ.(მახვილებით -1864);
,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV ხარ.
გარდაიცვალა ტფილისში.

20 сего іюля скончался въ Тифлисѣ состоящій при Его Императорскомъ Высочествѣ Главнокомандующемъ арміею, **генералъ-маіоръ Абдулла-Ага-Бакихановъ**. Друзья покойнаго, извѣщая о семъ родныхъ и знакомыхъ, просятъ пожаловать на выносъ тѣла покойнаго изъ мусульманской шіитской мечети на мусульманское кладбище, 24 іюля, въ 9 часовъ утра. 1127.

**ნიკოლოზ დიმიტრის-ძე გაიბობი**
**(სახელი დაბადებიდან- მირზა ბეგ გაიბოვი)**
**(19. 04. 1864 – 20.10.1915)**
**გენერალ-მაიორი (06.12.1913)**

წარმოშობით ნიკოლოზ დიმიტრის-ძე იყო ელიზავეტპოლის გუბერნიის ბეგებისგან.
განათლება მიიღო ბაქოს რეალურ სასწავლებელში და სანქტ-პეტერბურგის კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელში.

1881 წლიდან გადიოდა სამხედრო სამსახურს რუსულ ჯარში.

1887-91 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკში.

1891-93 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში.

1899-1903 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროს ადიუტანტად.

1903-1904 წლებში ასრულებდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტის თანამდებობას.

1904-1909 წლებში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტია.

1907 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1909-1915 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს თერგის კაზაკთა ოლქის უფროსის და ატამანის უმცროს თანაშემწედ.

1915 წლის 15 აგვისტოს გადადგა სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფობის გამო.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებით:

,,წმ.ანას,, მე- II ხარ, (1911); ,,წმ.სტანისლავის,, მე-II ხარ.(1906); ,,წმ.ვლადიმერის,, მე-III ხარ.(1914).

ნიკოლოზ გაიბოვი გარდაიცვალა და დაკრძალულია ქალაქ ტფილისში, კუკიის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის გალავანში.

Общество гг. офицеровъ и военныхъ чиновниковъ штаба К
скаго военнаго округа извѣщаетъ о смерти ихъ бывшаго сосл
ца, генералъ-майора въ отставкѣ

**Николая Дмитріевича Гаибова.**

Погребеніе въ субботу, 24-го октября, въ оградѣ кукійской Але-
Д. 1863. ксандро-Невской церкви. 7204 1.



**მეჰთიყული - ხან ვაფა**
**(1855 - 1900)**

დაიბადა ქ.შუშაში.

მისი მამა იყო - ჰასაი-ხან უცმიევი (1808-1866), რომელმაც იმსახურა რუსულ ჯარში და მიაღწია პოდპოლკოვნიკის წოდებას.

ვაფა მეხთიყული ხანის დედა - ხურშიდბანუ ნათავანი, მეჰთიყული-ხან ყარაბაღელის გვარიდან იყო, რომლის საპატივსაცემადაც იქნა დარქმეული.

მეფის ჯარში მეჰთიყული-ხანმა მიაღწია პოდპოლკოვნიკის წოდებას.

მეჰთიყული-ხანი წერდა ლექსებს ,,ვაფას,, ფსევდონიმით, რაც ნიშნავს ,,ერთგულს,,

მეჰთიყული ხან ვაფა გარდაიცვალა და დაკრძალულია მუსლიმთა სასაფლაოზე, რომელიც განლაგებულია ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ქალაქ ტფილისში.



**მირზა ჰაჯი ბეგ ადი ბეგ ოღლი ნოვრუზოვი (ნავრუზოვი)**
**(20.07.1832 - 14.01.1902)**
**გენერალ-ლეიტენანტი (14.05.1896)**

წარმოშობით იყო ელისავეტპოლის გუბერნიის ბეგებიდან, ამავდროულად იყვნენ ტფილისის გუბერნიის აზნაურები.

სწავლობდა კერძო სასწავლო დაწესებულებაში.

1847 წელს შევიდა ურიადნიკად კავკასიის მუსლიმ ცხენოსანთა პოლკში, 1849 წელს მიიღო პრაპოშჩიკის წოდება. მირზა ჰაჯიბეგ ნოვრუზოვი არის უნგრეთის კამპანიის მონაწილე (1849)

1852 წლიდან მსახურობდა იმპერატორის მუსლიმთა საკუთარ ბადრაგში, ხოლო 1856 წლიდან მსახურობდა ლაიბ-გვარდიის კავკასიის ესკადრონში.

1863 წლიდან იმყოფებოდა ბაქოს სამხედრო გუბერნატორის განკარგულებაში.

1864-65 წლებში იყო ბაქოს პოლიცმაისტერის თანამდებობაზე, ამავდროულად შუშასა და ნუხას მაზრების სამხედრო უფროსი.

1866-71 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს ნიჟეგოროდის დრაგუნთა მე-16 პოლკში.

1868 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1871-74 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს სევერსკის დრაგუნთა მე-17 პოლკის სარეზერვო ესკადრონის მეთაურად.

1875-78 წლებში იყო ტვერის მე-15 დრაგუნთა პოლკის მეთაური.

მირზა ჰაჯი ბეგ ნოვრუზოვი აქტიურად მონაწილეობდა (1877-78) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1879-93 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს კავკასიის კაზაკთა მე-2 დივიზიის 1-ბრიგადის მეთაურის თანამდებობაზე.

1878 წლის 13 დეკემბერს მიენიჭა ,,გენერალ-მაიორის,, წოდება.

1893-99 წლებში ირიცხებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებთან.

1899 წელს წლოვანების გამო გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით (მამაცობისათვის -1877) და ორდენებით:

,,წმ.ანას,, მე-III (1860),მე- II (1873) და I-ი ხარ. (1886);

,,წმ.სტანისლავის,, მე-III (1856) I-ი ხარ.(1882);

,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV (1877), მე-III (1877) და მე-II ხარ.(1891);

მიღებული ჰქონდა პრუსიის ,,რკინის ჯვარი,, (1871).

მიღებული ჰქონდა იმპერატორ ალექსანდრე II უმაღლესი წყალობა.

მირზა ჰაჯი ბეგ ნოვრუზოვი გარდაიცვალა და დაკრძალულია მუსლიმთა სასაფლაოზე, ქალაქ ტფილისში.

**Отставной полковникъ Керимъ-бекъ Наврузовъ извѣщаетъ родныхъ и знакомыхъ о кончинѣ брата, генералъ-лейтенанта въ отставкѣ**

## Ади-бека Наврузова.

**Выносъ тѣла 16-го числа, въ 11 час. утра, изъ квартиры покойнаго, Крыловская ул., д. № 9.**



### ისა სულთან ნაჯაფ გულუ ოღლი შაჰთაჰტისკი
### (05.05.1851- 17.10.1894)
### პოლკოვნიკი (1891)

დაიბადა ქ.ერივანში (ახლ.ქ.ერევანი)
მამამისი -ნაჯაფ გულუ აღა წარმოშობით იყო ბეგთა გვარიდან და ფლობდა ერივანის გუბერნიის სოფელ შაჰთაჰთს.
ისა სულთანმა მიიღო სახლის დსაწყებითი განათლება. ესწრებოდა მეცადინეობებს ნახჭევნის საქალაქო ორწლიან სკოლაში რუსული ენის სწავლებით.

1865 წელს ისა სულთანი გაამწესეს ცნობილი ქართველი განმანათებლის, დიმიტრი ყიფიანის (1813-87) პანსიონში სწავლების გასაგრძელებლად.

1867 წელს მოეწყო ტფილისის რეალურ გიმნაზიაში.

1871 წელს ეწყობა პირდაპირ მეორე კურსზე სანქტ-პეტერბურგის მიწათმოქმედების ინსტიტუტში. გიმნაზიაში სწავლის დროს დაეუფლა გერმანულ და ფრანგულ ენებს, აგრეთვე ნაწილობრივ ბერძნულ და ლათინურ ენებს, მოგვიანებით ინგლისურსაც.

1874 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ისა სულთანი წავიდა პარიზსა და ლონდონში პოლიტიკურ-ეკონომიკურ მეცნიერებებში ლექციების მოსასმენად. შემდეგ, მიდის ციურიჰში და ისმენს ლექციათა კურსს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ადგილობრივ პოლიტექმნიკუმში. მის მიერ ამ პერიოდში იქნა დაწერილი დისერტაცია ტყეების როლზე ხალხთა ეკონომიურ ცხოვრებაში. მიიღო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მეტყევეობასა და სოფლის მეურნეობის დარგში.

1876 წლის შემოდგომაზე ისა სულთანი ჩამოდის ტფილისში და იწყებს მუშაობას გაზეთ ,,ტიფლისკი ვესტნიკ,,-ში. მალევე ის ხდება ამავე გაზეთის პოლიტიკური განყოფილების გამგე .

1876 წლის 2 ნოემბერს ისა სულთანი იმ მიზნით რომ გამოდიოდეს ახალი გამოცემა-,,კავკასიის ალმანაჰი,, წერილობით მიმართა კავკასიის სამეფინაცვლოს მთავარ სამმართველოს, რათა ნება დაერთოთ მისთვის სამეფისნაცვლოს არქივებში მუშაობა. მაგრამ მას უარი ეთქვა ნიკო ნიკოლაძესთან მეგობრობის გამო. მაგრამ, მან მოახერხა 1877 წლის 1 მარტს მიეღო ალმანაჰის გამოცემის ნებართვა.

,,კავკასიის ალმანაჰის,, წარმატებული გამოცემის შემდეგ ის მუშაობდა მეორე გამოცემაზე.

მაგრამ 1877 წელს დაწყებულმა რუსეთ-თურქეთის ომის გამო, ისა სულთანი, რომელმაც კარგად იცოდა თურქული ენა, მიავლინეს ყარსში.

1878 წლის 1 იავარიდან მსახურობდა ყარსის ოლქის მმართველთან.

1878 წელს თანამდებობის შენარჩუნებით ისა შაჰთაჰთინსკი დაინიშნა კომისიის თავმჯდომარედ, რომელიც განსაზღვრავდა მოსახლეობის ქონებრივ უფლებებს და ვალდებულებებს, რომელიც იყო ძველი ოსმალური მმართველობისას.

1878 წლის ოქტომბერში დაინიშნა ყარსის მთავარმართებლად.

1879 წელს გადაყვანილი იქნა თავის ძველ თანამდებობაზე ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში.

1879 წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ითხოვა გასვლა თადარიგში, მაგრამ მას უარი ეთქვა.

1879 წელს მივლინებული იქნა სტამბოლში, სადაც რამოდენიმე თვე იყო დაკავებული რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიასთან ყარსის და მიმდებარე ტერიტორიების გარშემო სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად.

1880-82 წლებში ხშირად იმყოფებოდა ქალაქ ერზერუმში სადავო ტერიტორიული საკითხების გადასაწყვეტად.

1883 წლის აპრილში დაინიშნა ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის უფროსად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

1882 წელს ისა სულთანმა ორგანიზება გაუკეთა ქალაქ ყაღიზმანში სკოლას რეგიონში ადგილობრივი აზერბაიჯანური მოსახლეობისათვის.

1882 წლის ოქტომბერში ხსნის ტიპოგრაფიას, სადაც ბეჭდავს რუსულ ენაზე გაზეთ ,,ყარსს,,

1887 წელს ისა სულთანი ორი თვით მიდის პეტერბურგში ყარსის ოლქის საგადასახადო სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

ისა სულთანი იქნა არჩეული რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილ წევრად.

გარდაიცვალა ტფილისში, 43 წლის ასაკში და იქნა დაკრძალული 1894 წლის 21 ოქტომბერს ქალაქ ტფილისში მუსლიმთა სასაფლაოზე, ადგილას, რომელიც ცნობილია, როგორც ,,ბოტანიკური ბაღი,,

დაჯილდოებული იყო ორდენებით:

,,წმ.სტანისლავის,, მე-III ხარ. ,,წმ.ვლადიმერის,, მე-IV ხარ.

მიღებული ჰქონდა სპარსეთის ,,შირ-ჰურშიდის,, და თურქეთის ,,მეჯიდიეს,, მე-III ხარ. ორდენები.

## პერსონალიათა სია, რომლებიც მოთავსებულნი არიან წიგნის III-ე ნაწილში

1.ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე აღაევი (ფარაჯულა ბეგ აღა ოღლი)
2.მირზა ფათალი აჰუნდოვი
3.აბდულა აღა ბაქიხანოვი
4.ნიკოლოზ დიმიტრის-ძე გაიბოვი
5.მეჰთი ქული ხანი ვაფა
6.მირზა ჰაჯი ბეგი ნოვროზოვი (ნავროზოვი)
7. ისა სულთან ნაჯაფ გულუ ოღლი შაჰთაჰთინსკი



თათართა (მუსლიმთა) სასაფლაო (,,გორჰანა,,)
ტფილისში მე-XIX-მე-XX სს. დასაწყისში




აზერბაიჯანელების მეგლი მუსლიმთა სასაფლაოზე თბილისში
(1996 г.)

*დანართი1*

«საქართველოდან გამოსულმა აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა ბრალი დასდეს რუსეთს საქართველოზე თავდასხმის გამო»

2008 წლის 12 აგვისტო

"ჩვენ- საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელები, უდიდესი შეშფოთებით ვუყურებთ იმ საშიშ პროცესებს, რომლებიც ბოლო დღეებში ხდება ამ ქვეყნის გარშემო და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ მისი საზღვრების ფარგლებში. ჩვენ გვაქვს ამისათვის ყველა საფუძველი. საქართველოს რესპუბლიკა არის ჩვენი უძველესი მეზობელი და მასში 500 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს.

რუსეთი ცდილობს დამალოს სუვერენული რესპუბლიკის დასახლებული პუნქტების დაბომბვის ფაქტს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შეიქმნას მოსახლეობის პანიკა და ქვეყნის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შელახოს. რუსეთის პოლიტიკური წრეები საქართველოს ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული ძალების შეყვანასთან დაკავშირებით ადანაშაულებენ და აგრესიულ ქმედებებს "სამშვიდობო მისიად" წარმოადგენენ.

ყველამ იცის, რომ საქართველოს რესპუბლიკა დგას ერთ ნაბიჯში ნატოდან და ამიტომ ამ ქვეყნის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის მიზეზი ყველასთვის ნათელია. აზერბაიჯანელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში საქართველოს პოლიტიკა ამ სახელმწიფოს შიდა საქმეა და რეგიონში რუსეთის შემოჭრა მიუღებელია.

ჩვენ გვჯერა, რომ მსოფლიო საზოგადოება ქართველი ხალხის დაცვაზე დადგება და რუსეთის იმპერიალიზმს თავის ადგილ მიუჩენს. ჩვენ გვჯერა, რომ ქართული სახელმწიფო თავის ტერიტორიულ მთლიანობას მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერის გზით აღადგენს. ქართველ ხალხს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელები სოლიდარულები არიან მასთან. გაუმარჯოს საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკას! "

ამაზეა ნათქვამი საქართველოში დაბადებულ აზერბაიჯანელ მეცნიერთა მიმართვაში, რომელიც მიმართულია მსოფლიო თანამეგობრობასა და დემოკრატიული ქვეყნების ხელმძღვანელობასთან.

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ რუსი იმპერიალისტები, რომლებიც აჩაღებენ ყარაბაღში, სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში ეთნიკურ სეპარატიზმს, რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ, გამოდიან ცრუ განცხადებებით "სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაცვაზე" და "სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების შესახებ".

მიმართვას მოაწერა ხელი 226 ადამიანმა, მათ შორის

აკადემიკოსმა რამიზ მამედოვმა, პროფესორებმა ფარმან ჯეირანლიმ, ველი ისმაილოვმა, საჰიბ მუსაევმა, ლათიფ თალიბოვმა, თაფთიღ აჰმედოვმა, ველი მუსაევმა, ლოღმან მამედლიმ, ალიშერ მუსაევმა, მაჰად სოფიევმა, ნურფაშა ნოვრუზოვმა, ბადირჰან მუსაევმა, ველი გურბანოვმა, გიდაიათ ნურიევმა, ჰამსა ჰალილოვმა, მიაჰაბათ მამედოვმა, შამისთან ალიევმა, მამედ იბრაჰიმოვმა, მამედ ჩირაღოვმა, ვექილ ხალილოვმა, ჰამედ გეზალოვმა, ფარჰად ალიევმა, აბდულა მეჰრაბოვმა, დუნიამალი იბრაჰიმოვმა, ალეზ დაშდემიროვმა, აკიფ ბაირამოვმა, აფლათუნ ამაშოვმა, ჯალალ აბდულაევმა, ელდარ მამედოვმა, იბადეთ მეილელიმ, მუსა მეჰრაბოვმა, ჰალადინ იბრაჰიმლიმ, ნასიბ ნასიბლიმ.

*დანართი 2*

## რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ჯილდოები, რომლებითაც იყვნენ დაჯილდოებულნი საქართველოში დაბადებულნი აზერბაიჯანელები

### ,,წმ.ვლადიმერის,, ორდენი (მუსლიმებისათვის)

დაარსდა 1782 წლის 22 სექტემბერს, იმპერატრიცა ეკატერინე II- ის კორონაციის მეოცე წლისთავთან დაკავშირებით და მიზნად ისახავდა სამხედრო და სამოქალაქო სამსახურის წახალისებას. მას ჰქონდა 4 ხარისხი, რომლის პირველ ორს ეწოდა დიდი ჯვრის ხარისხი. ორდენის ბაფთა ერთნაირი ზოლის სიგანისა იყო შავი - წითელი-შავი.




Крест IV степени Императорского ордена Святого Равноапостольного Князя Владимира для нехристиан

დაჯილდოებათა რაოდენობა: I-ი ხარისხით. დაახლოებით 700 ადამიანი დაჯილდოვდა, მე-II ხარისხით. - დაახლოებით 3 ათასი, მე-III ხარისხით. - დაახლოებით 10 ათასი, მე -IV ხარისხით - დაახლოებით 30 ათასი ადამიანი.

## ,,წმინდა ანას,, ორდენი
## (მუსლიმებისთვის)

,,წმინდა ანას,, ორდენი დააარსა 1735 წელს ჰერცოგმა კარლ ფრიდრიჰ გოლშტინელმა, პეტრე I-ის შვილის, ანა პეტრეს-ასულის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

1797 წელს პავლე I ოფიციალურად შეიყვანა ,,წმინდა ანას,, ორდენი რუსეთის ჯილდოების სისტემაში.









1913 წელს, ოქროს იარაღით დაჯილდოებულებმა მიიღეს ნებართვა წმინდა გიორგის თეთრი ჯვრის მიმაგრება. ამასთან ერთად ,,წმინდა ანას,, მე-IV ხარისხის ორდენის კავალერს შეეძლო ამავდროულად იმავე იარაღზე ანას წითელი ჯვრის მიმაგრება. I-ლ ხარისხს მე-XIX საუკუნეში და 1917 წლამდე ღებულობდნენ მხოლოდ გენერალ-მაიორის რანგის მქონე პირები, რაც უტოლდებოდა სამოქალაქო სამსახურის ნამდვილი სასტატო მრჩევლის წოდებას. სულ I-ლი ხარისხის კავალრებად გახდა 10 ათასამდე ადამიანი.



**,,წმ.სტანისლავის,, ორდენი**
**(მუსლიმებისთვის)**

,,წმინდა სტანისლავის,, ორდენი დაარსდა 1765 წელს პოლონეთის მეფე ავგუსტ პონიატოვსკის მიერ პოლონეთის წმინდა მფარველის სტანისლავის პატივსაცემად. 1831 წელს ნიკოლოზ I-მა მიუერთა რუსეთის იმპერიულ და სამეფო ორდენებს. 1831 წლიდან 1917 წლამდე I-ი ხარისხით დაჯილდოვდა 5 ათასზე მეტი ადამიანი. რუსეთის იმპერიის ყველაზე გავრცელებული

ორდენია. ასახვითი მაგალითისთვის, შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების დაჯილდოების სტატისტიკა, როდესაც იქნა გაცემული 37,475 ,,წმ.სტანისლავის,, ორდენი, მათ შორის 84 ჯილდო მახვილებით (1 არაქრისტიანებისთვის), 823 მახვილების გარეშე (15 არაქრისტიანებისთვის), 5391 მე-II ხარ. ნიშანი მახვილებით (272 არაქრისტიანებისათვის), 6 122 მე-II ხარ. ნიშანი მახვილების გარეშე (143 არაქრისტიანებისათვის), 11 312 მე-III ხარ. ნიშანი მახვილებით (344 არაქრისტიანებისათვის) და 12 620 მე-III ხარ. ნიშანი მახვილების გარეშე (261 არაქრისტიანებისათვის).

### ,,წმ.გიორგის,, ორდენი (მუსლიმებისთვის)




დაწესდა 1769 წლის 26 ნოემბერს იმპერატრიცა ეკატერინე მე- II და რომელიც განკუთვნილი იყო დაჯილდოებისთვის მხოლოდ სამხედრო დამსახურებისთვის, როგორც იყო მითითებული სტატუტში.

I-ი ხარისხი  გადაეცა 25-ჯერ (23 დაჯილდოება და 2 მირთმევა - ეკატერინე II-ს  და ალექსანდრე II-ს), მე -II ხარისხის კავალერი გახდა  124 ადამიანი, მე -III ხარისხის კავალერი - 640 და მე -IV ხარისხის დაახლოებით 15 ათასი ადამიანი.

საბრძოლო დამსახურებისათვის განხორციელდა  6,700-ზე მეტი დაჯილდოება, ,,25-წლიანი,, უმწიკვლო სამსახურისათვის - 7,300-ზე მეტი,  "18 კამპანიისათვის,, -600 -მდე დაჯილდოება და
 ,, 20 კამპანიისათვის,, 4 დაჯილდოება.




**ოფიცერთა წოდებებში უმწიკვლო სამსახურის XV, XXV, XXX, XL და L წლის  წარჩინების  სამკერდე ნიშანი წმინდა გიორგის ორდენის ბაფთაზე**



**გიორგის ოქროს იარაღი ,,მამაცობისათვის,,(მარცხნივ) და ანას იარაღი ,,მამაცობისათვის,,(მარჯვნივ)**



**ბაფთა და წმინდა გიორგის ორდენის ნიშანი წმინდა გიორგის ოქროს იარაღისათვის (,,მამაცობისათვის,,)**

ოქროს იარაღი "მამაცობისათვის,," -წარმოადგენს რუსეთის იმპერიის დასაჯილდოებელ იარაღს, რომელიც 1807-დან 1917 წლამდე სარგებლობდა ორდენის სტატუსით.

1913 წლიდან მოყოლებული ოქროს იარაღი "მამაცობისათვის" ოფიციალურად იწოდებოდა გიორგის იარაღად და ითვლებოდა წმინდა გიორგის ორდენის ერთ-ერთ განსხვავებად. 1904-05 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს

ოქროს იარაღი ,,მამაცობისათვის,, მორთული ბრილიანტებით გადაეცა 4 გენერალს, ბრილიანტების გარეშე - 406 ოფიცერს,
1914-18 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს ეს ჯილდო მიიღო მხოლოდ 8 ადამიანმა.





**ველი ბეგ ედიგაროვის ჯილდოები**

## საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ორდენები, რომლებიც ჰქონდათ მიღებული საქართველოში დაბადებულ აზერბაიჯანელებს



«წითელი არწივის»,







«რკინის გვირგვინის », «ლეოპოლდის»,,,საპატიო ლეგიონის,,








,,დანებროგის,,(დანია), ,,ამომავალი მზის,, I-ი და მე-II ხარ. (ბუხარა)



\

,,ლომისა და მზის,, I-II-III-IV-Vხარ.(სპარსეთი)



,,ოსმანიეს,, და ,,მეჯიდიეს,, ორდენები (ოსმალეთის იმპერია)

## სამეფო გენერალიტეტის სამხრეები 1917 წლამდე

## (ინფანტერია, არტილერია, საიჟინრო ჯარები)









გენერალ-მაიორის (მარცხნივ), გადამდგარი სრული გენერლის და ნიკოლოზ II ამალის გენერალ-ლეიტენანტის (მარჯვნივ) სამხრეები

*დანართი 3*

## საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჯილდოები, რომლითაც იყვნენ დაჯილდოებულნი საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელები სამხედრო დამსახურებისათვის



საბჭოთა კავშირის გმირის მედალი ,,ოქროს ვარსკვლავი,,




**,,ლენინის,, ორდენი**
(დაწ.1939 წლის 1 აგვისტოს)

**,,წითელი დროშის,, ორდენი**
(დაწ.1918 წლის 16 სექტემბერს)

**,,წითელი ვარსკვლავის,, ორდენი**
(დაწ.1930 წლის 5 მაისი)




**,,ალექსანდრე ნეველის,, ორდენი**
(დაწ.1942 წლის 29 ივლისი)




**,,სამამულო ომის,, ორდენის**
**I -ი და მე-II-ხარ.**
(დაწ.1942 წლის 20 მაისს)




**,,სამამულო ომის,, ორდენის**
**I -ი და მე-II-ხარ.**
(დაწ. გამარჯვების 40-წლისთავთან დაკავშირებით
1985 წლის 12 აპრილს)



**,,დიდების,,I-II-III-ე ხარ.ორდენი**
(დაწ.1943 წლი 8 ნოემბერს)






**,,აზერბაიჯანის სსრ წითელი დროშის,, ორდენი (1920)**
**,,საქართველოს სსრ წითელი დროშის,, ორდენი (1921)**

## ავტორების შესახებ:



მამუკა ჯემალის-ძე გოგიტიძე

დაიბადა 1963 წლის 21 ნოემბერს ქ.თბილისში, (საქარველოს სსრ), არის საქართველოში ცნობილი სამხედრო დინასტიის წარმომადგენელი.

ბაბუა-ნიკოლოზ გოგიტიძე (1908-1944), ქართველი საბჭოთა და პარტიული მოღვაწე, გვარდიის კაპიტანი (1942). 1934-1936 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამსახურში აზერბაიჯანში (ქ.ბაქო). 1941 წლამდე მუშაობდა ქ.თბილისის 26 კომუნარების რაიონის რაიკომის მდივნად. მეთაურობდა რა ბატალიონს, დაიღუპა 1944 წლის 12 თებერვალს უკრაინის განთავისუფლებისას.

მამა-ჯემალ გოგიტიძე (1933-1996), იუსტიციის პოლკოვნიკი (1978), იუსტიციის უფროსი მრჩეველი (1989), 1975-1988 წლებში მსახურობდა თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორად. პროფესიონალი სამხედრო იურისტი და პროკურატურის საპატიო მუშაკი (1987), ის 1991 წლის 29 მაისს დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველ მთავარ სამხედრო პროკურორად -გენერალური პროკურორის მოადგილედ და კოლეგიის წევრად. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება (1988).

ძმა - ნიკოლოზ გოგიტიძე (დ.1960), პროფესიონალი სამხედრო იურისტი და დიპლომატი, იუსტიციის გენერალ-მაიორი (1995), 1994-1997 წლებში მსახურობდა მთავარ სამხედრო პროკურორად - გენერალური პროკურორის მოადგილედ და კოლეგიის წევრად.

2003-2004 წწ.-მუშაობდა საქართველოს კონსულად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

2007-2011 წწ. მუშაობდა საქართველოს დესპანად და 2009-2011 საქართველოს დროებით რწმუნებულად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

2014 - 2017 წწ. მუშაობდა საქართველოს კონსულად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

მამუკა გოგიტიძემ 1980 წელს დაამთავრა ქ.თბილისის № 64 რუსული საშუალო სკოლა.

1985-1991 წწ. მსახურობდა ოფიცრად საბჭოთა არმიაში (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში), სადაც მას 1990 წლის 19 სექტემბერს მიენიჭა კაპიტნის სამხედრო წოდება.

1989 წელს დაამთავრა წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი ოფიცერთა დახელოვნების მე-8 ცენტრალური კურსები (ქ.სარატოვი, რსფსრ).

1991-2010 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს ქართულ ჯარში.

2003 წლის 28 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ეკავა რიგი პასუხისმგებელი თანამდებობებისა, მათ შორის იყო: ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სამხედრო კომისარიატის მე-3 ქვეგანყოფილების უფროსი, უშიშროების აკადემიის მუზეუმის უფროსი, სასაზღვრო ძალების შტაბის საორგანიზაციო-სამობილიზაციო განყოფილების უფროსი, დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის პრორექტორი -სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი.

2006 წელს ასრულებდა სამშვიდობო მისიას საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში. არის სამხედრო ძალების ვეტერანი.

ყოფილი ხელისუფლების დროს, 2010 წლის 30 იანვარს შეეწირა ე.წ. «კადრების ოპტიმიზაციას», რომელიც გაატარა შეიარაღებულ ძალებში თავდაცვის სამინისტროს იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ, და 25-წლიანი უმწიკვლო სამხედრო სამსახურის შემდეგ (მათ შორის ქართულ ჯარში 18-წლიანი), დათხოვნილი იქნა რეზერვში.

2010 წლის 13 მაისიდან მუშაობს შსს-ს სისტემაში, შსს მინისტრის ბრძანებით მინიჭებული აქვს პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება (02.07.2010).

აქვს 4 უმაღლესი განათლება. 1992 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი (დაუსწრებლად), უშიშროების სამინისტროს აკადემიის ოპერატიული ფაკულტეტი (1996), გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სახმელეთო ფაკულტეტი (სასაზღვრო ძალების სამეთაურო-საშტაბო სპეციალიზაციით (ექსტერნად- 1999), და უკრაინის თავდაცვის ეროვნული აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი (2002).

2006 წლის 17 აპრილს დაიცვა დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე ,,ქართველი ოფიცრები რუსეთის იმპერიის არმიაში მე-XVIII-XIX სს.დასაწყისში,, და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

*,,უმაღლესი განათლების შესახებ,,* კანონის 89-ე მუხლის, მე-9 პუნქტის თანახმად, 2006 წლის 31 დეკემბრამდე, მის მიერ დაცული ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია ისტორიის აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხთან.

ქართველ ისტორიკოსებიდან მან პირველმა გამოიკვლია ქართველების სამხედრო მოღვაწეობა რუსეთის არმიაში XVIII-XIX სს.დასაწყისში, რითაც საგრძნობლად გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია.

არის 12 მონოგრაფიის, 1 დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოს, 60 სამეცნიერო სტატიისა და 40

ენციკლოპედიური სტატიის ავტორი საქართველოს და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებში.

ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი მამუკა გოგიტიძე არის საკმაოდ ხშირი სტუმარი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, მას კარგად იცნობენ სამეცნიერო წრეებში როგორც თავის სამშობლოში, ასევე საზღვარგარეთაც.

2007-2012 წლებში მიჰყავდა საქართველოს საპატრიარქოს რადიო ,,ივერიაზე,, საავტორო გადაცემათა ციკლი სამხედრო-პატრიოტულ თემაზე.

2005-2010 წლებში აქტიურად მონაწილეობდა სამხედრო ტელევიზია ,,საქართველოსთან,, ტელეპროექტებ ,,პროფესია-ჯარისკაცი,, და ,,მიზანი,,-ს მომზადებაში.

არჩეულია საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრად (2013) და საქართველოს რუსულენოვან ლიტერატორთა კავშირის წევრად (2013)

არის რამოდენიმე დისერტაციის ოპონენტი, მონოგრაფიების რედაქტორი, რეცენზენტი, სამხედრო კონსულტანტი და სამეცნიერო გრანტების მფლობელი, საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე.

პერიოდულად გამოდის საქართველოს ცენტრალური ტელევიზიით, სადაც აშუქებს საქართველოსა და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებს.

2015 წლის 29 დეკემბერს არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სამხედრო მეცნიერების საბჭოს წევრად.

2011 წლიდან არის მოწვეული პროფესორი საქართველოს სამხედრო ხელოვნების საგანში რუსთაველის ეროვნულ უნივერსიტეტში.

2018 წლიდან არის მოწვეული პროფესორი საქართველოს სამხედრო ხელოვნების საგანში დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში.

არის საზღვარგარეთის რიგ სამხედრო - სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოების წევრი.

არის ,,ქართული სამხედრო-ენციკლოპედიური ლექსიკონის,, ავტორი, შემდგენელი და სამუშაო ჯგუფის წევრი (2017).

მისი გვარი შესულია ,,ქართულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში,,

2018 წელს აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწებისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა მას -,,ქართული კულტურის ამაგდარის,, წოდება.

2018 წელს აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა წიგნისათვის ,,საქართველოს 100 ბრძოლა,, (დამხმარე სახელმძღვანელო) მიანიჭა მას ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია.

საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის განკარგულებით დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (01.06.2003), საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II მიერ დაჯილდოებულია წმინდა გიორგის ვერცხლის მედლით (30.04.2008), მიღებული აქვს საქართველოს და უკრაინის უწყებრივი ჯილდოები.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი -ნიკოლოზი (2001) და მარიამი (2008)

ისტორიის აკადემიური დოქტორის, ასოცირებული პროფესორ მ.ჯ.გოგიტიძის მონოგრაფიები:

1. Гогитидзе М. Грузинские генералы русской императорской армии, Тб., 1999 (ред.Ю.Толиашвили), на груз.яз.,138 с. Изд. «ОПИЗА»

2. Гогитидзе, М. Грузинский генералитет (1699 – 1921) : библиограф. справочник / отв. ред. И. Дивный. – Киев : Ин-т укр. археографии и источниковедения им. М. Грушевского Нац. АН Украины, 2001, 213, 195 стр.

3. Гогитидзе, М. Военная элита Кавказа : в 2 т. – Т. I : Генералы и адмиралы из Грузии / ред. Н. Джавахишвили. – Тбилиси : НИЦ ист. груз.-кавказ. отношений, 2007., 353 стр.

4. ,,Национальной Академии Обороны -15 лет,, (ред.К.Осепайшвили), (Глава 1) ,,От юнкерского училища до военной академии,, стр.16-25,Тб.,, 2008.

5. Гогитидзе, М.. Военная элита Кавказа : в 2 т. – Т. II : Генералы и адмиралы народов Северного Кавказа / НИЦ ист. груз.-кавказ. отношений; гл. ред. Н. Джавахишвили. – Тбилиси : Меридиани, 2011, 197 стр.(грант Кавказского фонда)

6. Бежиташвили Г.,Гогитидзе М., Военная элита Азербайджана, (к 90-летию со дня рождения Г.А.Алиева),Тб.,2013, изд. "СВЕТИ"

7. Гогитидзе М.- Черкесские военные деятели, гл.ред.М.Чухуа,-Тб., 2013,Изд. «Меридиани», 355 стр.(грант Черкесского (Адыгского) культурного фонда)

8. Гогитидзе М.,Бежиташвили Г.- Верные воинской присяге, Тб., 2015, /Гл.ред. полковник М.Самхарадзе/, -На груз.яз., Изд. «СВЕТИ +», 306 стр.

9. Гогитидзе М.,Бежиташвили Г.- Верные чести и долгу (военнослужащие грузинской национальности, удостоенные генеральских званий в постсоветской России), Самара., 2015 под общей редакцией генерал-полковника С.Раева, изд. СаГА, 85 стр.

10. Грузинский военно-энциклопедический лексикон, (ред. генерал-майор Э.Медзмариашвили).,Тб.,2017 (грант Фонда Руставели)(на груз.яз.) член авторской группы, автор и составитель)

11. Гогитидзе М.,Джапаридзе З., Кузница военных кадров (ред.генерал-майор В.Чачибая),Тб.,2018 изд. МО Грузии (на груз.яз.)

12. Гогитидзе М.,Бежиташвили Г.,Гоголадзе М., 100 битв Грузии (ред.Э.Мамукелашвили.),Тб.,2018 (на груз.яз.)

## ისტორიის აკადემიური დოქტორის, ასოცირებული პროფესორ მ.ჯ.გოგიტიძის მიერ აზერბაიჯანში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:

1. Международная научная конференция "Геноцид тюрко-мусульманского населения Азербайджана и восточной Анатолии (1914-1920) ". г.Губа, Азерб. Республика, 8-12 апреля 2015 г.

2. Международная научная конференция "Актуальные проблемы истории Кавказа". г.Гянджа, Азерб. Республика, 15-16 октября 2015 г.

3. Международная научная конференция «Геноцид тюрко-мусульманских народов в XX» г.Лянкярян, Азерб. Республика, 22-27 апреля 2017 г.

4. Международная научная конференция в Бакинском госуниверситете (БГУ) «К 100-летию АДР –первого демократического государства на мусульманском Востоке» с 21-23 мая 2018 года



**ირადა მეხთი ყიზი ჰუსეინოვა**

დაიბადა 1965 წლის 24 მაისს ქ.ნახჭევანში (ნახჭევანის ასსრ, აზერბაიჯანის სსრ).

1980 წელს წარჩინებით დაამთავრა  ქალაქ ბაქოს № 8 საშუალო სკოლა.

თავისი ცხოვრების 38 წელი გაატარა მშობლიური უნივერსიტეტის კედლებში.

იმავე 1980 წელს ჩააბარა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დასწრებულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლისას იღებდა აქტიურ მონაწილეობას უნივერსიტეტის ცხოვრებაში, სამეცნიერო საზოგადოების ცხოვრებაში, აგრეთვე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

